

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
საქართველოს საისტორიო საზოგადოება

გიორგი გოზალიშვილი

ლაზიკის საბარეო ურთიერთობა
მეექვსე საუკუნეში



გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1973

წიგნში გამორკვეულია ის დიდი სამხედრო, ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა, რომელიც გააჩნდა ძველ საქართველოს (იბერიისა და ლაზიკის სახელმწიფოებს) IV—VI საუკუნეების საერთაშორისო ურთიერთობაში და, კერძოდ, მსოფლიოში გაბატონებისათვის ურთიერთ შორის მოქიშპე ორ დიდ იმპერიას—ბიზანტიასა და ირანს (სპარსეთს) შორის წარმოებულ ბრძოლაში. დადგენილია, რომ VI საუკუნეში ბიზანტია-ირანის ინტერესთა აღმოსავლეთში მკვეთრმა დაპირისპირებამ გამოიწვია საუკუნოვანი სისხლისმღვრელი ომი, რომელიც ძირითადად იბერია-ლაზიკის ტერიტორიაზე და იქ გაბატონებისათვის მიმდინარეობდა. მითითებულია, რომ ქართველი ხალხი ამ მსოფლიო მნიშვნელობის ომში მხოლოდ პასიური ელემენტი კი არ იყო, არამედ აქტიურად იბრძოდა საკუთარი ბედ-იღბლის სასურველად წარსამართავად. ამ მხრივ თვალსაჩინო მოვლენას წარმოადგენს ბიზანტიელების მიერ ლაზიკის (ეგრისის) მეფის, გუბაზის მოკვლა და ამის ირგვლივ დატრიალებული ამბები, რომელთა შესახებ პირველწყაროებშიც არეკლილია ჩვენ წინაპართა განვითარებული პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების დონე.



შესავალი

მეხუთე საუკუნის გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის პეტრე იბერის ცხოვრების აღმწერი, მისი მოწაფე იოანე რუფუსი, რომელიც შთამომავლობით უცხოელი იყო, თავის თხრობას ასე იწყებს: „...პეტრეს სამშობლო იყო ცნობილი ქვეყანა იბერია, იმ ჩრდილოელთა, რომელნიც მზის აღმოსავალთან ცხოვრობენ; ამ ქვეყანას მუდამ დავა ჰქონდა რომაელებთან და სპარსელებთან, ვინაიდან ეს ხალხები დახმარების მოთხოვნის საბაბით, თვით ქვეყანას ჭთვისებდნენ“¹.

ამ უცხო კაცს, რომელმაც პეტრე იბერის ცხოვრება VI საუკუნეში დაწერა, ზედმიწევნით ზუსტად ჰქონია შეგნებული მაშინდელი ორ დიდ სახელმწიფოს შორის ბრძოლის მიზეზი და შინაარსი, ბრძოლისა, რომელსაც ეს სახელმწიფოები V—VI საუკუნეების განმავლობაში აწარმოებდნენ საქართველოს ირგვლივ. ქართველ მკვლევართა მიერ დადგენილია, რომ ბიზანტიასა და ირანს შორის წარმოებული სისხლისმღვრელი ბრძოლის მიზანი იყო ძველი საქართველოს (იბერია-ლაზიკის) ხელში ჩაგდება და იქ გაბატონება.

იანსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ლაზიკას. ამ ქვეყანას მოსახლე ლაზებზე ამბობს VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია, რომ ისინი ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის: „დავის საგანი გახდნენ ამ ჩვენს დროში და მეტი წილი ბრძოლებისაც სწორედ მათი ქვეყნის გამო მოხდაო“².

ამ ბრძოლამ მრავალი გაჭირვება და სიღუბნეობა არგუნა ქართველ ხალხს, რომელიც ორ ცეცხლ შუა იყო მოქცეული და გმირული თავგანწირული ბრძოლით ცდილობდა თავი დაედგინა უცხოელ-

¹ Georgica, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. ტომი II, გვ. 248, თბილისი, 1965.

² გეორგიკა, ტ. III, გვ. 28.

თა ბატონობისაგან. ქართველი ხალხის ასეთი ბრძოლის ერთი ფრიად თვალსაჩინო ეპიზოდია ბიზანტიელების მიერ ლაზიკის მეფე გუბაზის მოკვლა. ეს ეპიზოდი მოგვითხრობს გუბაზ მეფის გამირობაზე, რასთანაც გადაჯაჭვულია ქართველი ხალხის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების მრავალი თვალსაჩინო მომენტი.

საქართველოს ტრაგიკული წარსულის მრავალ ეპიზოდთაგან ბიზანტიელთა მიერ ლაზთა მეფის გუბაზის მკვლელობასა და მის ირგვლივ შექმნილ ვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ხალხის ისტორიაში.

ამ ფაქტით ჩვენ დამოწმებული გვაქვს არა მხოლოდ იმ დროინდელი საერთაშორისო სიტუაციის მძაფრი სურათი; გადმოცემული გვაქვს არა მხოლოდ ბიზანტიის (ისე როგორც ირანის) ლაზიკით უაღრესად დაინტერესების ფაქტი და საკუთარ მიზანთა მისაღწევად ბიზანტიის მიერ უკიდურესი ზომების ხმარება, არამედ, — რაც საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით ფრიად საინტერესოა — ამ ფაქტის ირგვლივ ისტორიის მიერ ჩვენამდე შემონახული მასალა ლაღადებს იმ აქტივობას, რომელსაც ქართველი ხალხი იჩენდა საკუთარი ხვედრის გამოკვეთის საქმეში. ამასთანავე, ვეცნობით იმ რთულ პოლიტიკურ, სოციალურსა და კულტურულ ვითარებას, რომლის დუდილშიაც უზღებოდა ქართველ ხალხს საკუთარი მეობის შესანარჩუნებლად ბრძოლა; ვეცნობით შინაგან ძალთა კიდილს, საგარეო ფაქტორით გართულებულსა და გამძაფრებულს; ვეცნობით ისტორიული განვითარების ერთ-ერთ უდიდეს გზაჯვარედინზე შემდგარ დასაველეთ საქართველოს ცხოვრების სურათს.

მაგრამ, რათა გუბაზის მკვლელობა და მასთან დაკავშირებული ამბები გასაგები გაზდეს, ამისათვის საჭიროა თვალი მიმოვაგლოთ იმ ისტორიულ ვითარებას, რომლის წიაღშიაც წარმოიშვა ეს მოვლენა.

დავიწყოთ მოსახლეობის საკითხით.

ლაზიკა და მისი მოსახლეობა

როგორც უკვე ვნახეთ, აგათია სქოლასტიკოსი ლაპარაკობს ლაზიკაში მოსახლე ლაზებზე. მართლაც: „პირველი საუკუნიდან ბერძნებისა და რომაელების მწერლობაში ლაპარაკი არის ლაზებზე, როგორც მამაც ტომზე და ისეთ ხალხზე, რომელიც დიდ დოვლათს

ჰქმნიდა თავის ქვეყანაში. ეს ტომი, რომელიც პირველი საუკუნიდან იხსენიება ბერძენთა ნაწარმოებებში, მალე მოიპოვეს უპირატესობას მთელ დასავლეთ საქართველოში და სათავეში ჩაუდგება მთელ სახელმწიფოს. თუ მანამდე კოლხთა ტომი მეთაურობდა ქვეყნის სახელმწიფოებრივ ცხოვრებას, ახლა პირველ საუკუნეებიდან ლაზები არიან სახელმწიფოს სათავეში. და თუ წინათ ამ სახელმწიფოს ერქვა „კოლხეთი“ (ბერძნულად „კოლხიკე“), ეხლა სახელმწიფოს ჰქვია „ლაზეთი“ (ბერძნულად „ლაზიკე“)³.

ბიზანტიელი ისტორიკოსები მოგვითხრობენ, რომ ლაზები არა მხოლოდ პოლიტიკური მეგვიდრეები არიან კოლხებისა, არამედ, როგორც ისინი ირწმუნებიან, ლაზები იგივე კოლხები არიან, რომლებიც ახლა ახალი სახელწოდებით გვევლინებიან.

ზემოხსენებული აგათია სქოლასტიკოსი გადმოგვცემს: „ლაზებს, რომ ძველად კოლხები ეწოდებოდათ და სწორედ ისინი არიან, ამაში ეჭვი არ შეეპარება არავის, თუკი ის ფაეცნობა ფაზისის, კავკასიის და მათ გარშემო მდებარე ქვეყნების მოსახლეობას“⁴.

იგივე აგათია მეორეჯერ უფრო ვრცელ ცნობას გვაწვდის. ის ამბობს: „ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც ბრძანებლობენ; ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობენ, შესაძლებელია, არც თუ ისე უსაფუძვლოდ. იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და მორკმული, როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვითა, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც მიწაწყლის სიჭარბით და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიმტკიცით... რომაელებთან კავშირის წყალობით თავიანთი ცხოვრებისათვის სახელმწიფოებრივი და კანონითი სახე მიუტყაათ“⁵.

მეხუთე საუკუნის ანონიმ მწერალს ის ტერიტორიაც აქვს მოხაზული, რომელზედაც ლაზები მოსახლეობდნენ.

³ ს ი მ ო ნ უ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი, რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, გვ. 43. თბილისი, 1965.

⁴ გეორგიკა. ტომი II. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. გვ. 27. თბილისი. 1936.

⁵ აგათია გულისხმობს ლაზიკასა და ბიზანტიას შორის ვასალურ დამოკიდებულებას.

⁶ ე. ი. ბიზანტიელებთან. ამ ხანის წყაროებში ბიზანტიელები, ჩვეულებრივ რომაელებთან იხსენიებიან.

⁷ გეორგიკა, ტ. III, გვ. 50—51.

იგი გვამცნობს: „დიოსკურიიდან (რომელსაც აგრეთვე სებასტოპოლი ეწოდება) ვიდრე აფსარის წყლამდე წინათ ცხოვრობდა ის ხალხი, რომელსაც კოლხები ეწოდებოდა და (მერე) გადაერქვათ ლაზები“⁸.

აი, ეს ლაზები მოექცნენ სათავეში დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ტომების პოლიტიკურ ორგანიზმს, რომელსაც უცხო წყაროები „ლაზიკის“, ქართული წყაროები კი „ეგრისის“ სამეფოს სახითაც იცნობენ. ამ შავი ზღვის სანაპიროს, შედარებით მცირე სახელმწიფოს, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მაშინდელ საერთაშორისო ურთიერთობაში. ეს მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა V—VI საუკუნეებში, როდესაც აღმოსავლეთის სარბიელზე მკვეთრად დაუპირისპირდა ერთიმეორეს ორი დიდი იმპერიის — ბიზანტიისა და სპარსეთის ინტერესები; დაპირისპირებამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია VI ს-ში. სწორედ VI ს-ში წარმოებს მსოფლიოში გაბატონებისათვის სასტიკი და ხანგრძლივი ბრძოლა ხსენებულ ორ დიდ იმპერიას შორის. მაშინდელ ვითარებაში მსოფლიოში გაბატონების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა აღმოსავლეთის სარბიელზე გაბატონება, რადგან აღმოსავლეთი მაშინ ცხოვრობდა, დასავლეთთან (ევროპასთან) შედარებით, უფრო აქტიური ეკონომიური და კულტურული ცხოვრებით. ეს ის დროა, როდესაც დრომოქმედი, გარდასული მონათმფლობელური ფორმაციის ნანგრევებზე უკვე აღმოცენებულია და თანდათან წელში იმართება ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორმა ფეოდალიზმის სახით. ძველ ბაზისს თან გადაჰყვამისი ზედნაშენი. ახალმა ბაზისმა წარმოშვა ახალი ზედნაშენი, თავისი ახალი მისწრაფება-მიზანდასახულებითურთ. ამ ახალმა სიტუაციამ განაპირობა ბიზანტიასა და იარსს შორის ბრძოლის აუცილებლობა, ისწრაფოდა რა თითოეული მათგანი მოეპოვებინა თავისთვის ახალი ეკონომიური რესურსები, სამხედრო ძლიერება და მსოფლიო სარბიელზე გაბატონება. ამ სახელმწიფოთა შორის აღმოსავლეთში ბრძოლის მთავარ ობიექტს ძველი საქართველო წარმოადგენდა, რომელიც მაშინ ორი პოლიტიკური ერთეულით:

⁸ გეორგაკა. ტ. II. გვ. 6. თბილისი, 1965.

6. კეკელიძე ამ ადგილს ასე თარგმნის „დიოსკურიიდან ან სებასტოპოლიდან მდინარე აფსიროსამდე ცხოვრობდა ხალხი, კოლხებად წოდებული, ახლა ლაზებად სახელმწიფოილი“. ფ. ლ. ა. ე. უ. ს. ა. რ. ი. ა. ნ. ე. შ. ა. უ. რ. ო. ბ. ა. ნ. კ. ე. ლ. მ. ა. ნ. ს. ა. ნ. თბილისი, 1961.

იპერიით (აღმოსავლეთში) და ლაზიკით (დასავლეთში) იყო წარმოდგენილი. მთელს აღმოსავლეთში და, მაშასადამე, მსოფლიოში გაბატონებისათვის საჭირო იყო, პირველყოვლისა, საქართველოში გაბატონება, რომელსაც ჰქონდა უდიდესი სავზერო-სტრატეგიული, ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა.

ფეოდალიზაციის გზაზე შემდგარი ბიზანტიის სახელმწიფოს მმართველი წრეები, მსხვილ მიწათმფლობელთა სახით, ისწრაფიან საკუთარი სამფლობელოების გაფართოებას. ბიზანტიელთა საგარეო ექსპანსიის სხარტი დახასიათება შემონახულია ძველ წყაროებში. ბიზანტიის ფეოდალურ სახელმწიფოს VI საუკუნეში (527—565) სათავეში ედგა მსხვილ მიწისმფლობელთა წარმომადგენელი იმპერატორი იუსტინიანე პირველი, რომელიც აღნიშნული წრეების სულისკვეთების გამომხატველი იყო. იუსტინიანეზე სპარსეთის მეფე ხოსროსთან მისული აჯანყებულ არმენიელთა წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ: „ამ კაცს მთელი დედამიწა ველარ იტევს: მისთვის ისიც ცოტაა, რომ ერთად ფლოს მთელი მსოფლიო“⁹. ხოლო გუთებას წინამძღოლი, ამავე ხოსროს წინაშე, იუსტინიანეს ასე ახასიათებს: „იუსტინიანე, როგორც ბუნებით დაუდგრომელი ადამიანი, რომელსაც სწყურიათ ყველაფერი, ის რაც მისი არ არის — ყოველგვარ საშუალებას მოიხმარს იმისათვის, რათა ყველა სახელმწიფო დაიპყროს და მთელი მსოფლიო ხელთ იგდოს“¹⁰.

ამ დახასიათებებში გადმოცემულია ბიზანტიის საგარეო ექსპანსიის არსი.

ბიზანტიის აგრესიულ ზრახვებს უპირისპირდებოდა მსგავსივე მიწრაფებები სპარსეთის სახელმწიფოსი, რომელსაც სწორედ აღნიშნულ პერიოდში სათავეში ედგა იუსტინიანეს მსგავსი ენერგიული მმართველი ხოსროს სახით (531—579). პირველწყაროები ხოსროს წარმოვედგენენ როგორც უმამაცესსა და უბედნიერეს მმართველს, რომელმაც ირანის საზღვრები გააფართოვა აღმოსავლეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით, შექმნა ჯარის ახალი ორგანიზაცია, მოახდინა რეფორმა და სამართლიანი განაწილება გადასახადებისა, დაარსა ახალი ქალაქები და გაიყვანა ახალი გზები.

ხოსროს მიერ შექმნილი ძლიერი მონარქიის ინტერესები მას ჯერ თავისთავდ უკარნახებდა ვარკვეულ საგარეო ზრახვებს და, მე-

⁹ პროკ. კესარიელი B. P, II, 15

¹⁰ იქვე II, 2

ორე მხრით, ბიზანტიის ექსპანსია მასში ბუნებრივი წინააღმდეგობის სურვილს იწვევდა, საკუთარი ინტერესებისა და თავდაცვის მიზნით. მართლაც, VI საუკუნეში ირანი ბიზანტიის ღირსეული მოწინააღმდეგე და ზოგ შემთხვევაში მოქმედების ინიციატორიც კია.

იმპერატორმა იუსტიანიანემ იმპერიის დასავლეთ რაიონებში წარმოებული ომების შედეგად მიღწეული სტაბილური მდგომარეობით ისარგებლა და აღმოსავლეთის ფრონტზე აქტიურ მოქმედებას მიჰყო ხელი. ეს კი, პირველყოვლისა, ირანის წინააღმდეგ იყო მიმართული.

აი, რას ეუბნებიან ხოსროს ზემოთ მოხსენებული არმენიელი ელჩები: „როგორც კი... მან შეატყო, რომ დასავლეთელთა დაპყრობა თითქმის დასასრულს უახლოვდებოდა, უკვე ხელი მიჰყო აღმოსავლეთელთა, ე. ი. თქვენს დევნას, ვინაიდან მხოლოდ—სპარსელთა სახელმწიფო დარჩა დასაპყრობი“¹¹.

არანაკლებ აგრესიული ზრახვები უტრიალებდა თავში ხოსროს. პროკოპი კესარიელის მოწმობით, ხოსრომ თურმე: „გადაწყვიტა ქალაქი დარა აეღო მოულოდნელად და ლაზიკიდან კოლხები ყველანი გამოესახლებინა, ხოლო მათ ნაცვლად სპარსელები ჩაესახლებინა“¹². ამასვე იმეორებს ხოსროს მიმართ პროკოპი კესარიელი ამ სიტყვებით: „მას ყველაზე უფრო მიზანშეწონილად მიაჩნდა, რომ თავიდან მოეცილებინა ლაზთა მეფე გუბაზი და ლაზები იქიდან წრულიად გადაესახლებინა“¹³ და ამრიგად იმ ქვეყანაში ჩაესახლებინა სპარსელები 'და ზოგიერთი სხვა ტომებიც'. ასეთი იყო ის საერთაშორისო სიტუაცია აღმოსავლეთში, რომლის საერთო ფონზეც არის განსახილველი ბიზანტია-ირანის ბრძოლა საქართველოსათვის.

ბიზანტია-ირანის ინტერესთა დაპირისპირება აღმოსავლეთში და კერძოდ, ამიერკავკასიაში

მეოთხე საუკუნის 30-იან წლებში რომის იმპერიის დედაქალაქი დასავლეთიდან აღმოსავლეთში იქნა გადატანილი. ამ არჩევანში უკვე ჩამარხული იყო მომავალი ექსპანსიის გეზი: აღმოსავლეთისკენ ლტოლვა, აქ ძიება იმ საშუალებებისა, რომლებსაც იმპერიისათვის

¹¹ პროკ. კესარიელი, De bello persico, II, 3.

¹² იქვე, B. P. II 28; გეორგია, I, გვ. 92, თბილისი, 1961.

¹³ ხაზგასმა ჩემი, გ. გ.

სიციცხლის უნარი უნდა შეენარჩუნებინა. იმპერიის ცენტრის აღმოსავლეთში გადმოტანა იმას ნიშნავდა, რომ სახელმწიფოს სიციცხლის მთავარი ძარღვი ამიერიდან აღმოსავლეთში ფეთქავდა. მართლაც, ბიზანტიის სახელმწიფოს გამძლეობას ხელი შეუწყო იმ ეკონომიურმა რესურსებმა, რომლებსაც ბიზანტია აღმოსავლეთში დაეუფლა და იმ ცოცხალი ძალების აქტიურმა მოღვაწეობამ ბიზანტიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომლებთანაც ბიზანტიამ უშუალო კონტაქტი დაამყარა.

მაგრამ აღმოსავლეთში გადმონაცვლებული იმპერია მეორე იმპერიის, ირანის პირისპირ აღმოჩნდა. ორივე იმპერია ცდილობს ხელთ იგდოს მისთვის ხელსაყრელი პოზიციები. აქ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა ძველი საქართველოს ტერიტორიას. ფრანგი მეცნიერის შარლ დილის თქმით, ირანის ხელისუფლება შეაშფოთა იმპერატორ იუსტინიანეს მიერ მიღწეულმა შედეგებმა და გავლენამ, რომელიც მან მოიპოვა „კავკასიის ოლქებში ლაზებთან, იბერებთან და ჰუნებთანაც კი და სპარსეთის მეფემ იარაღს მოჰკიდა ხელი“¹⁴.

ირანელებს სხვანაირად მოქცევა არ შეეძლოთ, რადგან მათ კარგად ესმოდათ, რომ ბიზანტიის „მისწრაფება მსოფლიო ბატონობისაკენ ადრე თუ გვიან დაემუქრებოდა თვით სპარსეთის სასანიდთა მონარქიას“¹⁵. ორივე იმპერია აძლიერებს თავის აგრესიას იბერია-ლაზიკის მიმართ. იმავე შ. დილის თქმით: „კავკასიონის კალთებთან ლაზიკისა და იბერიის მოსახლეობა ხან ბასილევსების ქვეშევრდომობაში იყო, ხან კი — სასანიდების მფარველობაში. მაგრამ ყველა ეს პატარ-პატარა სახელმწიფო, რომელთაგანაც ბევრი, განსაკუთრებით კი ლაზიკა, წარმოადგენდა მნიშვნელოვან პოზიციებს სავაჭრო და სტრატეგიული თვალსაზრისით, — ამიტომაც სპარსელებიცა და რომაელებიც რიგრიგობით ცდილობდნენ ან გაევრცელებინათ იქ, ან ხელი შეეწყოთ თავისი პროტექტორატისათვის, რასაც თან სდევდა მძიმე ომები“¹⁶.

რუსი აკადემიკოსი თ. უსპენსკი ასე განსაზღვრავს იბერია-ლაზიკის მნიშვნელობას ბიზანტია-სპარსეთის ურთიერთობაში.

14 Ш. Диль, Юстиниан и византийская цивилизация в VI веке, გვ. 133.

15 იქვე, გვ. 220.

16 იქვე, გვ. 216—17.

იგი ამბობს: „ადვილი მისახვედრია. რომ ამ მხარის (ლაზიკის) დაუფლება განიზილებოდა როგორც საშუალება პოლიტიკური და ეკონომიური გავლენისა კავკასიაში და შავი ზღვის სანაპიროზე. ამას გარდა, როგორც ლაზები, ისე იბერიელები იყვნენ ბუნებრივი დარაჯები კავკასიონზე გადმოსასვლელებისა და ამ თვალსაზრისით ძვირფასი მოკავშირეები იყვნენ იმ იმპერიისა, რომლის პოლიტიკურ გავლენასაც ჰქონდა უპირატესობა მოცემულ მომენტში“¹⁷.

ბიზანტიისათვის ეკონომიური თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ძველი საქართველოს ტერიტორიას. დიდი ხანია ლაზები ჩაბმული იყვნენ საგარეო ვაჭრობაში. როგორც პროკოპი კესარიელი ამბობს, ისინი „მუდამ აწარმოებდნენ პონტოში მცხოვრებ რომაელებთან ვაჭრობას“¹⁸.

სტრაბონის მოწმობით. ლაზიკა „...მდიდარია აგრეთვე ნაყოფითაც... და ყველაფერი იმით, რაც საჭიროა გემთმშენებლობისათვის. ტყე თვით ამ ქვეყანაში უამრავია და მდინარეების საშუალებითაც ბლომად მიეზიდებიან. ბლომად ამზადებენ სელს, უამრავია: ძენძი, ცვილი, ფისი. სელის წარმოება აქ განთქმულია — ეს ნაწარმი სხვა ქვეყნებშიც გააქვთ“.

ლაზიკის ქალაქი დიოსკურია წარმოადგენდა დიდ სავაჭრო ცენტრს, სადაც ამ საქმისათვის თავს იყრიდნენ, ძველი წყაროების თანახმად, 70 და უფრო მეტი სხვადასხვა ერის წარმომადგენლები. იმავე ძველი წყაროების თანახმად, (პლინიუს უმცროსი, სტრაბონი) დასავლეთ საქართველოში ოქროს მოპოვებაც შეიძლებოდა. პერსარმენიელებისა და ქანების საზღვართან ყოფილა ოქროს მადნები, რომელთა გამოც დაუსრულებელი დავაა ბიზანტიელებსა და ირანელებს შორის. ეს ადგილები ხელიდან ხელში გადადის, ხან ირანის, ხან ბიზანტიის ხაზინაში შედის აქაური ოქრო.

ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ოქროს წარმოება დადასტურებულია პროკოპი კესარიელისა და ჟამთააღმწერელ მალალას ცნობებით. აქაური ოქროს გამო, ირანელებსა და ბიზანტიელებს შორის დიდი მეტოქეობაა გაჩაღებული სწორედ VI საუკუნეში.

პროკოპის ცნობით „...რომაელებმა დაიპირეს სპარსელთა ადგილები პერსარმენიელთა ქვეყანაში: სიმაგრე ბოლონი და ეგრეთ

17 Ф. И. Успенский, История Византийской империи, т. I, гл. 492.

18 В. Р. II 15; გეორგია, I, გვ. 73.

წოდებული ფარანგიონი, სადაც სპარსელები ოქროს თხრიან და მეფესთან მიაქვთ“.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ ორივე ხსენებული პუნქტი ძველი საქართველოს ტერიტორიაზე მდებარეობდა.

მალალას ცნობით კი, ამ ოქროს მადნების შემცველ მთებს „უწინ იჯარით იღებდნენ ხოლმე ვინმე რომაელთაგან ან სპარსელთაგან ორას ლიტრა ოქროდ. ხოლო მას შემდეგ, რაც მთები ღვთაებრივ ანასტასის ხელში გადმოვიდა, მხოლოდ რომაელები იღებენ დაწესებულ გადასახადს“.

განხილული ცნობებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე შეიძლებოდა იმ დროისათვის შედარებით მნიშვნელოვანი რაოდენობით ოქროს მოპოვება, რასაც მოქიშვე სახელმწიფოების ფინანსებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ ამ ოქროს მიღება, ერთი მხრივ, საბადოების დამუშავებით, მეორე მხრივ ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასთან ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობით შეიძლებოდა. მართლაც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ბიზანტიელებსა და ლაზებს შორის საკმაოდ გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა ყოფილა.

მაგრამ ბიზანტიელებისათვის ლაზების ტერიტორია მხოლოდ სავაჭრო ასპარეზი არა ყოფილა: ეს ტერიტორია მათთვის გზა იყო უფრო დიდი ვაჭრობისა ინდოეთთან, ისე, რომ მათ ირანისათვის გზა აექციათ. ეს კი ფრიალ მნიშვნელოვანი გარემოება იყო, რადგან, ირანთან გამუდმებული ომიანობის გამო, ამ უკანასკნელის საშუალებით ინდოეთთან წარმოებულ ვაჭრობა ხშირად ფერხდებოდა, რასაც ბიზანტიელებისათვის დიდი ზარალი მოჰქონდა. „კოლხეთიდან შეიძლებოდა კასპიის ზღვასთან მისვლა, იქიდან კი, ჩრდილოეთის გზით სოგდიანის ოაზისის გავლა, ისე რომ სპარსეთის ტერიტორია გზაქცეული დარჩებოდა“, აღნიშნავს ფრანგი მეცნიერი შ. დილი¹⁹.

ცნობილია, რომ მართლაც, ინდოეთიდან დიდი სავაჭრო გზა იბერისა და ლაზიკაზე მიემართებოდა შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაპირის ნავსადგურებისაკენ. ეს იყო დიდი სავაჭრო გზა, რომლის საშუალებითაც წარმოებდა საერთაშორისო ვაჭრობა აღმოსავლეთსა და

¹⁹ Ш. Диль, Юстиниан и византийская цивилизация в VI веке, 33-544.

დასავლეთს შორის. ამ გზის ხელში ჩაგდება და იქ გაბატონება ამა თუ იმ იმპერიას უდიდეს საარგებლობას მოუტანდა. გარდა იმისა, რომ ამ ვაჭრობის შედეგად მიღებული მოგება გაამდიდრებდა მის სახელმწიფო სალაროს, რაც ხელს შეუწყობდა დიდი ომის წარმოებას, გაბატონებულ სახელმწიფოს შეეძლო მოწინააღმდეგისათვის დაეხმო არა მხოლოდ ვაჭრობის შედეგად მისაღები შემოსავალი, არამედ მოუსპობდა მას მისთვის საჭირო რესურსებს და ამით დაასუსტებდა მას როგორც ეკონომიურად ისე სამხედრო თვალსაზრისითაც. ისე, რომ ამ დიდ საერთაშორისო სავაჭრო გზაზე გაბატონებას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიოში გაბატონებისათვის წარმოებული ბრძოლის დროს, იგი ამ ბრძოლის ერთ-ერთ თვალსაჩინო ასპექტს წარმოადგენდა.

შამსადაძემ, ირკვევა, რომ ძველი საქართველოს ტერიტორიას ამა თუ იმ იმპერიის ხელში არა მხოლოდ უაღრესი ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა, არამედ პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიულიც. ამიტომაც ორივე იმპერია ცდილობდა ეს ტერიტორია საკუთარ ხელში მოექცია.

პირველად ამ საქმეს ირანი იწყებს. მას კარგა ხანია აღმოსავლეთ საქართველოში (იბერიაში) ფეხი მოკიდებული ჰქონდა და ცდილობდა დასავლეთ საქართველოც (ლაზიკა) ხელთ ეგდო და ამით ზიზანტიისათვის ხმელეთზე გადმოსასვლელ ზედ ხიდის ყურში ჩასაფრებელიყო.

ბიზანტიის აღმოსავლეთში განსაკუთრებული აქტივიზაციის (VI საუკუნის დასაწყისი) განთიადზე ირანს ლაზიკაში გარკვეული გავლენა უკვე აქვს მოპოვებული: ლაზიკის მეფე წათე კავადის მიერ არის დაყენებული მეფედ²⁰.

მაგრამ ბიზანტიასაც თავისი დიპლომატიის მახვილი სწორედ ამ ფრიად საჭირო პოზიციისაკენ მიუპართავს და წარმატებაც მოუპოვებია: წათე კონსტანტინოპოლში მიემგზავრება ად იქიდან თავის ქვეყანაში გაქრისტიანებულ ბრუნდება.

ეს ბიზანტიის დიდი წარმატება იყო, რადგან შაშინდელ ეპოქაში რელიგია საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის მაჩვენებელი იყო. ქრისტიანობის აღიარებით, წათემ გამოხატა თავისი სახელმწიფოს ბიზანტიური

²⁰ გეოგრაფია, IV, გვ. 77.

ორიენტაცია, რაც მკვეთრად დაუპირისპირდა ლაზიკასა და ირანს შორის უწინ არსებულ პოლიტიკურ დამოკიდებულებას.

ირანმა ეს მოვლენა სწორად შეაფასა და სპარსეთის მეფე კავადმა იმპერატორ იუსტინეს პროტესტი განუცხადა, რომ ჩვენს შორის ზავისა და მეგობრობის ვითარებაში შენ ჩვენ ქვეშევრდომებს იბირებო, ე. ი. პოლიტიკურ მომხრეებს გვართმევო.

კავადმა იუსტინე კეისრისაგან კვლავ დიპლომატიური პასუხი მიიღო. თითქოს ბიზანტიას არ ესმოდა წათეს გაქრისტიანების პოლიტიკური მნიშვნელობა და გულგრილად აცხადებდა, რომ საგანგაშო არაფერი მომხდარა: წათე მოვიდა, გვთხოვა გაგვექრსტიანებინა და ჩვენც მოვნათლეთ და თავის ქვეყანაში გავისტუმრეთო. მაგრამ თუ რამდენად კარგად ესმოდა ორივე მხარეს ამ ფაქტის მნიშვნელობა, იქიდან ჩანს, რომ, როგორც თეოფანე უამთაალმწერელი გვაუწყებს: „აი, იმ დროიდან დაიწყდა მტრობა რომაელებსა და სპარსელებს შორის“²¹.

ამით იწყება სერია ორივე იმპერიის მხრივ ლაზიკის მიმართ იმ აგრესიულ მოქმედებათა, რომლებითაც აღსავსეა VI საუკუნის პირველი ნახევარი.

პირველყოვლისა ირანელებმა გაილაშქრეს ლაზიკაზე 520 წელს: „სპარსელთა მეფემ ომი დაუწყო ლაზთა მეფეს წათეს, იმის გამო, რომ უკანასკნელი რომაელების მხარეზე გადავიდა და აი, იუსტინიანე მეფემ გაუგზავნა მას დამხმარე ჯარი“.

წათეს ბიზანტიაში წასვლა და გაქრისტიანება, რაც მის მიერ ბიზანტიური ორიენტაციის აღიარებას ნიშნავდა,—ეკვეს გარეშეა,— ლაზიკის საზოგადოების გარკვეული ნაწილის თანხმობითა და თანადგომით მოხდა. მაგრამ საზოგადოების ნაწილი სპარსული ორიენტაციის მომხრე ყოფილა. ამგვარად. ლაზები ორ ბანაკად იყვნენ გათიშული და თითოეული მათგანი სულ სხვადასხვა მხრით მიისწრაფოდა.

საგარეო ორიენტაციის გამო ატეხილი უთანხმოება ის საბუდისწერო ღერძი შეიქნა, რომლის ირგვლივაც საუკუნეების განმავლობაში ლაზიკის ბედი ტრიალებდა. ეს გარემოება მეტად საზიანო იყო ლაზიკისათვის, რადგან, შინაგან ძალთა კონსოლიდირების ნაცვლად, ძალების დაქსაქსულობა ამ, ისედაც პატარა, ქვეყანას მეტად ასუსტებდა, რითაც აგრესორ მხარეებს მათი საქმის კეთება

21 იქვე, გვ. 79.

უადვილდებოდათ, ციხის შიგნიდან გატეხა ადვილად ბერხდებოდა. მაგრამ ლაზთა საზოგადოების სხვადასხვა საგარეო ორიენტაციის ბანაკებად დაყოფას, ჩანს, საფუძვლად ედგა მეტად სერიოზული სოციალური, ეკონომიური და კულტურული მომენტები, რომ მათი ურთიერთშერიგება-თანხმობა ადვილი მოსაგვარებელი ყოფილიყო.

ამ ბანაკთა, თუ დასთა არსებობა თვალსაჩინოდ გამოვლინდა გუბაზ მეფის მოკვლის გამო ლაზთა სახალხო კრებაზე გამართული კამათიდან. მაგრამ ამის წინამორბედი ცალკეული მომენტების აღნიშვნაც შეიძლება.

არქეოპოლისის (ნოქალაქევის) ზღუდესთან გამართული ბრძოლის დროს შემდეგი ეპიზოდი მოხდა.

ირანელებმა სარდალ მერმეროეს მეთაურობით ქალაქს ყოველ-მხრივ შეუტყეს და იქ მყოფი ბიზანტიელთა ჯარი უკიდურეს მდგომარეობაში ჩააყენეს. მაშინ ბიზანტიური ჯარის გარნიზონის უფროსებმა ოდონაქემ და ბაბამ შემოიკრიბეს უკანასკნელი ძალები და მტრის წინააღმდეგ გამობრძომა მოახდინეს... მაგრამ იძულებული იყვნენ, ჯარისკაცთა ისედაც მცირე რაოდენობიდან, ნაწილი ქალაქში დაეტოვებინათ, იქ გაჩენილი ხანძრის ჩასაქრობად.

ამ ხანძრის შესახებ პირველწყარო მოგვითხრობს: „...წინა დღით ერთი ლაზი, ლაზებს შორის წარჩინებული, რომელიც არქეოპოლისში ცხოვრობდა, მოღალატურად შეუთანხმდა მერმეროეს, რომ ის თავის საშობლო ქვეყანას გასცემდა. მერმეროემ დაავალა მას მხოლოდ შემდეგი სამსახური გაეწია სპარსელებისათვის—როდესაც ისინი იერიშს მიიტანდნენ კედელზე, ჩუმად მიეცა ცეცხლი სადგომებისათვის, სადაც პური და სხვა სურსათი იყო მოთავსებული“.

„მოღალატე“ ლაზს პირობა შეუსრულებია, თუმცა ირანელებს ამან სასურველი შედეგი ვერ მოუტანა. ვფიქრობთ, აქ ჩვეულებრივი მოღალატეობის აქტი არ უნდა იყოს. ეს წარჩინებული ლაზი სპარსული ორიენტაციის მომხრე დასის წარმომადგენელია და მისი მოქმედება ამ დასის მიზანდასახულებასთან უნდა იყოს შეფარდებული.

შეორე ანალოგიური ეპიზოდი.

ირანის მეფის ხოსროს განზრახვა ვინმე ფაბრიცის საშუალებით გუბაზ მეფის მოკვლისა (რაზედაც ქვემოთ იქნება საუბარი); მარცხით დამთავრდა. გუბაზმა ამის შემდეგ აშკარა ბიზანტიური ორიენტაციის გეზი აიღო. მაგრამ „დანარჩენი ლაზები კი, — როგორც ამ-

ას პირველწყარო მოგვითხრობს — მეტწილად სპარსელების მოძარეობას იჩენდნენ, არა იმიტომ, რომ სპარსელობა მოსწონდათ, არამედ. რადგან რომაელთა ბატონობისაგან თავის დაღწევა სურდათ. აირჩიეს ის უბედურება, რომელიც მანამდე არ ენახათ“. აქ საისტორიო წყაროს მიერ ფიქსირებულია ლაზთა საზოგადოების მერყეობა საგარეო ორიენტაციის ირგვლივ.

საინტერესო ის არის, რომ ბიზანტიელთა ბატონობისაგან განთავისუფლებას ლაზთა დიდი ნაწილი (აკი წყარო ამბობს „მეტწილად სპარსელების მომხრეობას იჩენდნენ“) სპარსელების საშუალებით ფიქრობს, ამისათვის იმასაც კი არ ერიდებიან, რომ „აირჩიეს ის უბედურება, რომელიც მანამდე არ ენახათ“. ე. ი. იცოდნენ, რომ სპარსელებისაგანაც უბედურების მეტს არაფერს უნდა მოელოდნენ, მაგრამ, ეგებ, ეს უბედურება სჯობდეს იმას, რომელიც ბიზანტიელთაგან უკვე საკმაოდ იგემეს.

ყველაფერი ეს ეხება მოსახლეობის ფართო მასებს და ეს მომენტი სწორედ ამით არის ჩვენთვის საინტერესო, რადგან გვიმოწმებს ლაზების აქტიურ მონაწილეობას თავიანთი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და მისი ხვედრის ძიების საქმეში... თორემ საზოგადოების ზედა ფენებში სხვადასხვა ორიენტაციის მომხრეობა კარგა ხნის ფაქტი იყო.

აქ მოთხრობილთან დაკავშირებულია სპარსული ორიენტაციის მომხრე ბანაკის კიდევ ერთი წარჩინებული ლაზის სახელი. ეს არის თეოფობი (თუმცა სახელი ბერძნულია). იგი იყო „...ლაზთა შორის არა უგვაროთაგან“, რომელმაც აღუთქვა მერმეროეს, რომ იგი მას უქიპერიონის²² ციხეს ხელში ჩაუვადებდა.

ამ სამსახურისათვის თეოფობს აღუთქვეს მატერიალურ სარგებლობასთან ერთად, პოლიტიკურ სარბიელზეც დაწინაურება. ეს უკანასკნელი მომენტი ფრიად საინტერესოა. მას შემპირდნენ, რომ იგი ამით „ხოსრო მეფის საუკეთესო მეგობარი გახდებოდა... ძალიან დაწინაურდებოდა სახელითაც, სიმდიდრითაც და ძალაუფლებითაც.

ამ მოვლენის პოლიტიკური მოტივი აშკარაა.

თეოფობმა, მართლაც ყალბი მონათხრობის საშუალებით იმას შესახებ, რომ ვითომც ხოსრო მოსულიყოს მრავალი ჯარით და ბიზანტიელებსა და ლაზებს საქმე ეუდად წაუვიდათ, — მოახერხა

²² უქიპერიონის ციხე იგივე ონოგურის ციხე უნდა იყოს.

დაერწმუნებინა უქიმერიონის ლახთა და ბიზანტიელთაგან შემდგარი გარნიზონი, საკუთარი სიცოცხლის შენარჩუნების გარანტიით, ციხე უბრძოლველად სპარსელებისათვის გადაეცათ.

სპარსელებმა უქიმერიონს სკვიმნია და სვანიაც ზედ მიაყოლეს²³.

უქიმერიონისა, სკვიმნიასა და სვანიას შემდეგ სპარსელების ხელში აღმოჩნდა მთელი მიწაწყალი „მოხირისიდან ვიღრე იბერიამდე“²⁴.

მაგრამ სპარსელებს ამით დაკმაყოფილება არ შეეძლოთ. არ შეეძლოთ, რადგან ამ ბრძოლის დროს საქმე ეხებოდა არა ცალკეული ციხე-სიმაგრეებისა და რაიონების. ხელში ჩაგდებას, არამედ მთელ ლაზიკაზე სპარსეთის ძალაუფლების გავრცელებას. ეს იყო საბოლოო მიზანი სპარსელებისა.

ასეთსავე მიზანს ისახავდნენ თავის მხრივ ბიზანტიელებიც.

სპარსელთა ზრახვები ლაზიკის მიმართ კარგად არის გამოხატული მერმეროეს წერილში გუბაზისადმი.

მტერთაგან შევიწროებულ, მთებში გახიზნულ გუბაზს მერმეროე სწერს: „...ეთაყვანე შენს მბრძანებელს ხოსროს, ვითარცა ნეფეს, გამარჯვებულსა და ბატონს“. ე. ი. გუბაზს უნდა მოეხდინა კაპიტულაცია და ეცნო ირანის სრული პოლიტიკური ბატონობა ლაზიკაზე. ხოლო თუ გუბაზს უმძიმდა ასეთი გადაწყვეტილების მიღება, ამ შემთხვევისათვის მერმეროე ურჩევდა მას, გასცლოდა იგი თავის ქვეყანას. ე. ი. გუბაზს უნდა მიეტოვებინა ხელისუფლება, სამშობლო, გადახვეწილიყო და მტრისთვის დაენებებინა თავისი ქვეყანა, სადაც პროკოპი კესარიელის სიტყვით, ირანელი გარის სარდალი მერმეროე „ყველაფერს ისე მართავდა სრულის უზრუნველყოფითი, თითქოს ამ კუთხის ბატონ-პატრონი ყოფილიყოს“²⁵.

მერმეროე დაჟინებით ურჩევს გუბაზს, შეურიგდეს იგი ლაზიკაში სპარსელთა ბატონობას და ხოსროს წინაშე თავი მოიხაროს, მაგრამ „თუ... ეს გზა არ მოგწონს — ეუბნება იგი გუბაზს — წადი რომელიმე სხვა ქვეყანაშიო“²⁶. მერმეროე, ირანის ხელისუ-

23 გეორგია II. გვ. 201—202.

24 იქვე, გვ. 206.

25 იქვე, გვ. 207.

26 იქვე.

ფალთა დავალებით, ცდილობს გუბაზი პოლიტიკურ მოღვაწეობას ჩამოაშოროს და ეს ძლიერი პიროვნება თავიდან მოიცილოს, რითაც სპარსელებს გაუადვილდებათ ლაზიკაში თავიანთი მიზნების მიღწევა.

ამასთანავე, მერმეროე გუბაზს მიუთითებს იმ ძალის სისუსტეზე და არაეფექტურობაზე, რომლის იმედიც ამ შემთხვევაში გუბაზსა ჰქონდა.

იგი სწერს გუბაზს: „მატუნებელ იმედს არ მიეცე: ვგულისხმობთ რომაელების მოშველებას. ისინი ხომ ვერას დროს ვერ შესძლებენ დაგებმარონ თქვენ ისე როგორც დღემდე ვერ შესძლეს ეს“²⁷.

მერმეროეს წერილი მსაინტერესოა როგორც ბიზანტია-ირან-ლაზიკას შორის პოლიტიკური სიტუაციის ამსახველი და იმ ეპოქის დიპლომატიური ურთიერთობის ერთი თვალსაჩინო ნიმუში. ამ წერილის სრული შინაარსის გაცნობა ზედმეტი არ იქნება.

მაგრამ, ვიდრე წერილის შინაარსს გავეცნობოდეთ, საჭიროა გიცოდეთ: სად და რა მდგომარეობაშია ამ დროს გუბაზ მეფე.

პირველწყაროს თანახმად, სპარსელთა ჯარის სარდალმა მერმეროემ, ხელთ იგდო რა დასავლეთ საქართველოში რამდენიმე ციხე-სიმაგრე, მთელი თავისი ჯარით ბიზანტიელებისა და ლაზების წინააღმდეგ გაემართა, როგორც წყარო მოგვითხრობს: „ეს რომ გუბაზმა და რომაელთა ჯარის სარდლობამ გაიგეს, მტრის იერიშის მოგერიება კი არ სცადეს, არამედ გაიფანტნენ და თავს უშველეს, ვისაც როგორ შეეძლო. გუბაზი მთის წვერზე ავიდა და იქ დაიზამთრა თავისი ბავშვებით, ცოლითა და მახლობლებით, და შექმნილი მდგომარეობით გაპირვებაში ჩავარდნილი, ებრძოდა ზამთრის სუსხს,—მომავალს კი რწმენით უცქერდა ბიზანტიონის იმედით ამით ინუგეშებდა აწინდელ უბედურებას—როგორც ეს ადამიანს სჩვევია, — და უკეთესის მოლოდინში იყო. დანარჩენმა ლაზებმა, გუბაზ მეფის პატივისცემით, ზამთარი აგრეთვე მწვერვალზე გაატარეს; მტრებისაგან კი იქ არაფერი განუცდიათ, რადგან თავდამსხმელთათვის ეს მთები — საზოგადოდ და კერძოდ ზამთარშიც — მოუხერხებელი და სრულიად მიუვალაია, ხოლო შიშ-შილმა სიცივემ და სხვა უბედურებამ კი სუკცილის პირამდე მიიყვანა ისინი“²⁸.

²⁷ გეორგიკა, II, გვ. 207.

²⁸ იქვე, გვ. 204—205.

აი, ასეთ ვითარებაში მისწერა მერმერომ გუბაზს ეს საინტერესო წერილი. რომელიც პროკოპი კესარიელს ასე აქვს გადმოცემული თავის თხზულებაში: „ორი რამ აწესრიგებს ადამიანის ცხოვრებას — ძალა და გონიერება. ერთნი, რომელნიც ძლიერებით სჯობნიან მეზობლებს, თვითონაც ცხოვრობენ ნებისამებრ და მათზე უფრო სუსტებსაც ამოქმედებენ ისე, როგორც სურთ; ხოლო მეორენი, რომელნიც თავიანთი სისუსტის გამო მათზე უფრო ძლიერთ ემონებიან და უძლურებას გონიერებითა სწამლობენ, მლიქვნელობით ელოლიავებიან მბრძანებელთ და მშვენივრად ახერხებენ ცხოვრებას თავიანთ მაშულში და მლიქვნელობის წყალობით იგემებენ ხოლმე ყველაფერს, რასაც უძლურების გამო მოკლებული არიან. ზოგიერთ ერთან ასე და სხვებთან სხვანაირად კი არ უხდებათ მათ მოქცევა; არამედ ყველა ადამიანს, შეიძლება ითქვას, ყველგან დედამიწის ზურგზე, ეს ბუნებით აქვს თანდაყოლილი ისევე, როგორც ზოგი რამ სხვაც. და აი, ძვირფასო გუბაზ, თუ ფიქრობ, რომ სპარსელებს აჯობებ ომში, ნულარ აყოვნებ და ნურც რამე დაგიდგება წინ. ლაზიკის რომელსამე ნაწილში გვიპოვი ჩვენ, თუ გინდა შენს შემოტევასაც დაუხვდებით და ამ კუთხისათვის საბრძოლველად გავეწყობით, რაც ძალა შეგეწევს. ამგვარად, შემთხვევა მოგეცემა შეგვებრძოლო და შენი სივაჟაკე დააპტიყო ჩვენს წინაშე. თუ კი თვითონ გრძნობ, რომ უძლური ხარ სპარსელთა ძალის წინააღმდეგ, მაშინ, ჩემო კარგო, აირჩიე მეორე გზა, შეიცან შენი თავი და ეთაყვანე შენს მბრძანებელს ხოსროს, ვითარცა მეფეს, გამარჯვებულსა და ბატონს. შევედრე გაპატიოს შეცოდებანი, რათა ამიერიდან მინც შექალო აირიდო შეცოდებანი. რომლებიც მინმე ტვირთად გაწვეზიან. მეც, ჩემი მხრით გარწმუნებ, რომ ხოსრო მეფე შეგიწყალებს ზელს. არ გახლებსა და მხევლებად მოგვჯეროს სპარსეთის მთავართა შვილებს; შენც ყოველმხრივ იქნები უზრუნველი და შენი სამეფოც გექნება სამუდამოდ დაცული. ხოლო, თუ შენ არც ერთი ეს გზა არ მოგწონს, წადი რომელიმე სხვა ქვეყანაში და ამათ საშუალება მიეცი შენი უგუნურების წყალობით გაწამებულ ლაზებს, ერთხელაც არის, ამოისუნთქონ და განთავისუფლდნენ მოწოლილ სიძნელეთაგან, მაგრამ გულში არ გაივლო მათთვის უსაზღვრო უბედურების მინიჭება და მაცთუნებელ იმედს არ მიეცი: ვგულისხმობ რომაელების მოშველიებას. ისინი ხომ ვერაძროს;

ვერ შესძლებენ დაგეხმარონ, თქვენ, ისე როგორც დღემდე ვერ შესძლეს ეს“

ამ წერილში, სხვა ყველაფერთან ერთად, ყურადღებას იპყრობს ის, რომ მერმეროე აღუთქვავს გუბაზს ლაზიკაში მისთვის სუვერენული ხელისუფლების შენარჩუნებას, — წარჩინებულ სპარსელთა მძევლების მიცემასაც კი ჰპირდება — თუ კი გუბაზი სპარსულ ორიენტაციას მიიღებს. ეს აღქმა რომ გულწრფელი ყოფილიყო და მისი შესრულების რამე იმედი არსებებულიყო, გუბაზი და ლაზები მის მიღებას არ დააყოვნებდნენ, მაგრამ მათ უკვე განცდილი ჰქონდათ როგორც სპარსელთა ისე ბიზანტიელთა ასეთი დაპირების შედეგები. ლაზებს ისიც ახსოვდათ, როგორ აღუთქვეს ბიზანტიელებმა იბერიელებს, რომ მათ სპარსელების ხელში აღარ ჩააგდებდნენ, მაგრამ 532 წელს იმპერიათა შორის დადებული, ე. წ. „საუკუნო ზავის“ პირობების შესაბამისად, ბიზანტიელებმა აღმოსავლეთი საქართველო — იბერია მთლიანად სპარსელების ბატონობაში გადასცეს. ისე, რომ მათი დარწმუნება მერმეროეს შეპირებაზე ადვილი საქმე როდი იყო. და აკი პირველწყაროც გვაუწყებს, რომ მერმეროემ: „გუბაზი ვერ დაარწმუნა და ის დარჩა მალღობებზე და მოუთმენლად ელოდა დახმარებას რომეღოთა მხრიით“.

გუბაზისადმი მერმეროეს წერილი წარმოადგენს ირანის ხელისუფალთა უკანასკნელ ცდას, გადაებირებინათ გუბაზი თავის მხარეზე. მაგრამ ეს არ ხერხდება. ამიტომ, როგორც ირანი, ისე ბიზანტია, — თუმცა ეს უკანასკნელი არა აშკარად, — კვლავ ცდილობდა გუბაზი ან თავის მხარეზე ჰყოლოდა, ან გზიდან ჩამოეშორებინა მისი ფიზიკური მთავრობით.

ამ უკანასკნელი მიმართულებით პირველი ცდა ირანელებს მოუხდენიათ. ზოსრომ საგანგებოდ გამოაჩინა სამასი მამაცი სპარსელი და ფაბრიძის მეთაურობით ლაზიკაში გაგზავნა. ფაბრიძს ზოსროსაგან დავალებული ჰქონდა: „მოეკლა გუბაზი, რაც შეიძლება უფრო მალულად; დანარჩენზე კი ის თვითონ იზრუნებდა. ფაბრიძს უშოვნია ერთი კოლხთაგანი, სახელად ფარსანსი. ამასა და გუბაზს, საისტორიო წყაროს თანახმად, — რაღაც უთანხმოება ჰქონიათ, რომლის გამოც, ფარსანსი გუბაზის წინაშე გამოჩენას ვეღარ შეგვიძლია. ცხადია, ფარსანსი წარჩინებულთაგანია, რომელსაც გუბაზთან ახლო ურთიერთობა აქვს. წი-

ნალმდეგ შემთხვევაში, იგი მეფის მკვლელის იარაღად ვერ გამოდგებოდა.

ძნელი სათქმელია, გუბაზისა და ფარსანისის შორის უკმაყოფილებაში იყო თუ არა ჩარეული პოლიტიკური მომენტი და ამდენად, მაშასადამე, ფარსანისი, შეიძლება, ირანული ორიენტაციის დასის მომხრედ გვევარაუდნა... მაგრამ საყურადღებოა, რომ ფარსანისს — გამომდინარეს საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან, თუ პირადი ზნეობრივი შეგნებიდან — განზრახული მოლაპატურის აქტის ჩადენა აღარ მოუხურვებია და ირანელების ვერაგული განაზრახი გუბაზისათვის უცნობებია.

პირველწყაროში ეს ასეა გადმოცემული: „...აღმოჩნდა კოლხიდის მცხოვრებლებში ერთი დიდებულთაგანი, სახელად ფარსანისი, რომელსაც გუბაზისათვის შეურაცხყოფა მიუყენებია და მასთან ამის გამო დიდს შულღში ჩავარდნილა და სრულიად ველარ ბედავდა მეფეს დანახვებოდა. როდესაც ფაბრიძმა ეს გაიგო²⁹, მან დაიბარა ფარსანისი და გამართა. მოლაპარაკება: მან უამბო საქმის მთელი ვითარება და შეეკითხა მას, თუ როგორ უნდა შესდგომოდა ის საქმეს. მათ ერთად ითათბირეს და დაადგინეს, რომ ფაბრიძი ქალაქ პეტრაში წასულიყო და იქ დაებარებინა გუბაზი, ვითომც იმიტომ, რომ ეცნობებინა მისთვის, თუ რა განზრახვები ჰქონდა მეფეს³⁰ ლაზების საკეთილდღეოდ. მაგრამ ფარსანისიმ ჩუმად აცნობა ეს ამბავი გუბაზს. ამიტომ გუბაზი სრულიად არ მივიდა ფაბრიძთან და ცხადადაც განდგომა განიზრახა“³¹.

ხოლო „...გუბაზმა აცნობა მდგომარეობა იუსტინიანე მეფეს და სთხოვა ეპატიებინა ლაზებისათვის ის, რაც მათ წინათ ჩაიდინეს, და ყოველი ღონით ხელი შეეწყო მათთვის, რომ განათვისუფლებულიყვნენ მიდთა³² ძალაუფლებისაგან. კოლხები ხომ საკუთარი საშუალებებით ვერ შესძლებდნენ სპარსელთა ძალა უკუეგდოთ“.

ამ შემთხვევამ ლაზებსა და ყველაზე მეტად კი გუბაზს სპარსელებზე გული ააყრევინა და მათში კვლავ ბიზანტიოფილური მიდრეკილებანი გააძლიერა. და ან სხვა რა უნდა ექნათ³³. აკი პირველ-

²⁹ უნდა ვიფიქროთ, სპარსელთა მომხრე დასის წევრთაგან.

³⁰ ე. ო. ხოსროს.

³¹ გეორგიკა, I, გვ. 98.

³² სპარსელთა.

³³ იგულისხმება ლაზების განდგომა და სპარსელების მხარეზე გადასვლა.

წყარო შენიშნავს, რომ ლაზებს საკუთარი ძალით არ შეეძლოთ თავი დაეღწიათ სპარსელთა ბატონობისაგან.

სრულიად ბუნებრივად, სპარსელებზე გულაყრილმა გუბაზმა ისევ ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს სთხოვა დახმარება. იუსტინიანემ ლაზებს ირანელებთან ბრძოლაში დასახმარებლად საგრძნობი სამხედრო ძალა გამოუგზავნა. ამით ამ ორ ქვეყანას შორის დროებით მტკიცე პოლიტიკური ურთიერთობა დამყარდა... თუმცა იგი მეტად ხანმოკლე გამოდგა.

ლაზიკის ტრაგედია იმაში მდგომარეობდა, რომ ირანისა თუ ბიზანტიის მხრით ლაზიკის მიმართ ყოველგვარ მოქმედებას მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა: ფაეადვილებინა მათთვის; ლაზიკის ხელში ჩაგდება, იქ გაბატონება. ამიტომ ლაზიკასა და მათ შორის გულითად ურთიერთობის ნიადაგი შერყევი, ხოლო მისი მანძილი ძალიან მოკლე იყო. ამჯერადაც ასე მოხდა. გუბაზი და ლაზები მალე იძულებული გახდნენ ბიზანტიელთა წინააღმდეგ ისევ ირანელებისაკენ დაიწყონ ცქერა.. და ეს პირის მიბრუნებობა ერთი აგრესორიდან მეორისაკენ, დიდუხანს გრძელდება და თან სდევს ლაზიკის პოლიტიკურ ცხოვრებას.

როგორც თავის დროზე ხოსრომ სცადა გუბაზი ფიზიკურად მოესპო და გზიდან ჩამოეშორებინა, ისე ახლა ბიზანტიელები მიდიან ამავე დასკვნამდე.

ბიზანტიელები გულგრილად ვერ შეხვდებოდნენ ლაზიკის პოზიციების დაკარგვას და იქ ირანელების გავლენის განმტკიცებას. ეს მეტად მტკივნეული საკითხი იყო ბიზანტიელებისათვის.

აგათია ეამთა აღმწერელი გადმოგვცემს, რომ იუსტინიანეს ძალიან ეშინოდა, რომ სპარსელები ლაზიკას აიღებდნენ და „...აღარაფერი დააბრკოლებდა მათ უშიშრად შემოეცურათ ექსანის პროტოტი და ძალიან ღრმად გაეკვლიათ გზა რომაელთა სამეფოში“.

ხოლო 550 წელს ბიზანტიასა და ირანს შორის დადებული დროებითი ზავის პირობებით, — რომლის მთავარი პირობაც ის იყო, რომ სპარსელები ლაზიკაში რჩებოდნენ, — ბიზანტიური საზოგადოების უკმაყოფილებას პროკოპი კესარიელი ასე გადმოგვცემს: „...ამბობდნენ, ეს ხელშეკრულება სწორედ მაშინ იქნა დადებული, როდესაც ლაზიკე სპარსელებს ეჭირათ მტკიცედ, და სპარსელებმა დადევს ის იმ მიზნით, რომ ხუთი წლის განმავლობაში ისინი არავინ შეაწუხოს და ამასობაში უშიშრად და იოლად ჩაიგდონ ხელში კოლ-

ბიდის საუკეთესო ადილები. აქედან მათ გაძევებას ვერასდროს და ვერავითარი ხერხით ვერ შეძლებენ რომაელები და ბიზანტიონიც სპარსელებისათვის იქიდან (ლაზიკიდან) ადვილმისადგომი გახდება ამიერიდანო. აი, ამ მოსაზრებით ბევრნი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ და მდგომარეობას უნუგეშოდ თვლიდნენ³⁴.

ბიზანტიელებსა და სპარსელებსაც ლაზიკის მიმართ ანალოგიური მიზანმისწრაფებები ამოძრავებდა და მათი მოქმედების მეთოდებიც ამ ქვეყნის მიმართ ანალოგიური იყო, რაც კერძოდ, გუბაზისადმი დამოკიდებულებაში გამოიხატა.

როგორც ვნახეთ, სპარსელებმა ვერ შესძლეს გუბაზის მოკვლა და მისი გზიდან ჩამოცილება. ეს მოახერხეს ბიზანტიელებმა, მაგრამ სხვანაირ სიტუაციაში.

გუბაზის მკვლელობა და ამის ირგვლივ შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია მრავალმხრივ არის საინტერესო, როგორც კოლხეთის, ისე ბიზანტიის ისტორიის თვალაზრისით. საისტორიო წყაროს ოფიციალური ვერსიის თანახმად, გუბაზის მკვლელობა ბიზანტიელთა ჯარის სარდლების მარტინესა და რუსტიკეს გუბაზისადმი პირადი მტრობისა და უკმაყოფილების გამო შურისძიების აქტს წარმოადგენს.

საქიროა გაიკვეთა: ეს მართლაც, მხოლოდ ასე იყო, თუ გუბაზის მკვლელობაში სხვა რამ გარემოებაც არის საგულისხმებელი.

გუბაზ მეფის მოკვლა ბიზანტიელი სარდლების მიერ

აგათია სქოლასტიკოსი გადმოგვცემს, რომ ბიზანტიელთა ჯარის სარდლებსა და გუბაზს შორის უკმაყოფილება იყო. მაგრამ ძნელი დასადგენია ამ უკმაყოფილების ასპექტები.

აგათია მოგვითხრობს „...მართალია, წინათაც ასე იყო, რომ გუბაზს მარტინესთან და რუსტიკესთან კარგი ურთიერთობა კი არ ჰქონდა, არამედ მტრობა ღვივდებოდა მათ შორის, მძივე და საშინელი, მაგრამ ის ჯერ დაფარული იყო. ეს მტრული ურთიერთობა ჯერ დაიწყო შურით და ცილისწამებით, ხოლო შემდეგ უფრო და უფრო გაიზარდა განუწყვეტელ და უგუნურ იქვნეულობად. თითოეულ მის ჩადენილ საქმეს ისინი უყურებდნენ დაპირილი გულით და სრულიად მტრულად, აღვივებდნენ ბოღმას და აძლიერებდნენ. როდეს-

34. ეს დროებითი ზავი ხუთი წლით იყო დადებული.

საც მან (გუბაზმა) შენიშნა მისდამი მათი სიძულვილა, რასაკვირ-
ველია, სამაგიეროს მიზღვევის საფუძველი მიეცა, და ის მათ აძაგებ-
და როგორც ლაჩრებსა და გაიძვერებს, რომ მათი ხელიდან არაფერი
საქმე არ გამოდის; ნადიმებზე და კრებებზე მუდამ ზიზლით ეპყრო-
ბოდა და როდესაც შემთხვევით მეზობელი ტომების ელჩები მო-
ვიდოდნენ, მაშინაც კი არ ცხრებოდა და არ ეშვებოდა. ისინიც ამ-
ას ვერ იომენდნენ, და განსაკუთრებით აბრაზებდა მათ მეფესთან³⁵
დაბეზლება (გუბაზის მიერ) და რადგან იცოდნენ, რომ ის კვლავაც
გაგზავნიდა საჩივარს, თუ ისინი კიდევ რამეში შესცდებოდნენ, ამი-
ტომ განიზრახეს თავიდან მოეშორებინათ გუბაზი, რათა, ერთი
მხრით მისთვის სამაგიერო გადაეხადნათ მოყენებული უსიამოვნე-
ბისათვის, ხოლო მეორე მხრით, აღარ ჰქონოდათ ამიერიდან შიში³⁶.

აგათიას მონათხრობის მიხედვით, სარდლებმა მარტინემა და
რუსტიკემ გუბაზი დააბეზლეს იუსტინიანე იმპერატორთან, ვით-
ომც იგი სპარსელების მხარეზე გადავიდა და იმპერატორისაგან
მიიღეს დავალება, გუბაზი ბიზანტიაში ჩაეყვანათ, ხოლო თუ იგი
გამგზავრებაზე უარს იტყოდა, უნდა მოეკლათ იგი და მკვლელს
სასჯელი არ მოელოდა. მართლაც მათ გუბაზის მკვლელობისთვის
გამოიყენეს იუსტინიანეს წერილა, რომელიც მათ მიიღეს მისგან
თავიანთი მოციქულის იოანეს ხელით.

აგათია მოგვითხრობს, რომ სარდლებმა: „ბევრი ითათბირეს
ერთმანეთში და ბოლოს იმ აზრს დაადგინეს, რომ სანამ არ ცდილ-
ნენ მეფესთან ამ საქმის მოგვარებას, ხელი არ ეხლოთ მისთვის.
ამიტომ ბიზანტიონში³⁷ გაგზავნეს იოანე — რუსტიკეს ომა, რათა
მას მიეტანა ამბავი, თითქოს გუბაზი სპარსელების მომხრეობას
იჩენდეს. და, აი, როდესაც იოანე ფარულად მივიდა მეფესთან მო-
სალაპარაკებლად, დააბეზლა გუბაზი: გადაგვიდგა და სპარსელებს
მოუძღვედა და საცაა მთელ ქვეყანას მათ გადასცემს, თუ სასწრა-
ფოდ რამე ზომას არ მივიღებთ მის შესაკავებლადო. მეფე ვამ-
ტერებელი დარჩა ამ დაუჭერებელი ამბით, საბოლოოდ არც და-
იჭერა“³⁸.

როგორც ვხედავთ, ბიზანტიელ სარდლებს ვერ გაუხედნიათ
აშკარა ავანტიურისტული გზით გუბაზის მოკვლა, და განუზრახავთ

35 ე. ი. ბიზანტიის იმპერატორთან

36 გეორგიკა, III, გვ. 45—46.

37 ე. ი. კონსტანტინოპოლში.

38 გეორგიკა, III, გვ. 46.

საამისოდ სანქცია მიეღოთ იმპერატორ იუსტინიანესაგან, რითაც პასუხისმგებლობას თავს დააღწევდნენ. მათ მიზანს, თითქოს, კიდევ მიადღწიეს. აგათიას თქმით, იუსტინიანე „რადაც საშუალო აზრს დაადგა“ და იმპერატორისა და სარდლების მოციქულს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა.

იმაზე, რომ საჭიროა გუბაზის წინაღმდეგ სასწრაფო ზომების მიღება, რათა მან ვერ შესძლოს თავისი ქვეყნის სპარსელებისათვის გადაცემაო, იმპერატორმა უთხრა: „მაშ, მიიღეთ ზომები, რომ ის აქ მოვიდეს.“

იოანეს შეეშინდა, ვაი თუ ის რომ აქ მოვიდეს, ჩვენი სივერაგე გამოძევავენდესო და მოახსენა:

— როგორ მოვიქცეთ, ბატონო, რომ თავისი ნებით არ ირჩიოს აქ გამოცხადება?

— ძალა დაატანეთ, უპასუხა მეფემ, ქვეშევრდომია, ყოველი ღონე იხმარეთ და გამომიგზავნეთ.

იოანემ მაშინვე ჩამოართვა სიტყვა:

— ძალას დავატანთ, მაგრამ წინააღმდეგობა რომ გაგვიწიოს, რა ვუყოთ?

— სხვა რა უნდა უყოთ, უთხრა მეფემ, ტირანული საქციელი უნდა დაისაჯოს, სასტიკად უნდა მოისრას.

— მაშ, თქვა იოანემ, არავითარი შიში არ უნდა ჰქონდეს იმას, ვინც მას მოჰკლავს?

— რასაკვირველია, არა, უთხრა მეფემ, თუ ის წინააღმდეგობას გასწევს და ურჩობას დაიწყებს, უნდა მოისპოს, როგორც მტერი.

ასე რომ უპასუხა მეფემ და დაახლოებით იგივე აღნიშნა სტრატეგოსებისადმი მიწერილ წერილში, იოანე მეტს აღარაფერს შეუკითხა. მისი აზრით, მან დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღო იმაზე, რასაც ეძებდა და უკან გასწია კოლხეთისაკენ, თან ეს წერილიც წაიღო³⁹.

იუსტინიანეს ასე ადვილად დარწმუნება გვაფიქრებინებს, რომ გუბაზის ირგვლივ მსგავსი ინფორმაცია მისთვის სხვა წყაროებიდანაც ცნობილი უნდა ყოფილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ასე ადვილად ვერ დათანხმდებოდა გუბაზის მოკვლას და უთუოდ დამატებითი ინფორმაციას მოითხოვდა, რათა ჭერ ნამდვილად დარ-

39 გეორგიკა, III, გვ. 46—47.

წმუნებულები გუბაზის განზრახვაში და მერე რადიკალური ზომა ეხმარა. როგორც ჩანს, სიტუაცია ბიზანტიის მთავრობისათვის ცნობილი იყო უკვე და სარდლების დასმენა საკმარისი გახდა, რათა იუსტინიანეს სერიოზულად მოეკიდნა ხელი საქმიანობის, ლაზიკაში მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად... თუმცა ძნელი სათქმელია, თუ რამდენად ეთანხმებოდნენ იუსტინიანე, ან ბიზანტიის სახელმწიფოს მოღვაწენი ისეთი აქტის შესრულებაზე როგორც იყო მოკავშირე (თუნდაც ქვეშევრდომი სამეფოს) მეთაურს მოკვლა... მაგრამ არც იმის მტკიცება შეიძლება, რომ ისინი პრინციპულად ამის წინააღმდეგი ყოფილიყვნენ⁴⁰.

ერთი სიტყვით, ლაზიკაში შექმნილი გართულებული სიტუაცია, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ ლაზებმა სპარსული ოპიენტაციის გეზი აიღეს; რომ ლაზთა განწყობილების სასწორმა იწყო ირანის მხარეზე გადახრა, — ყურადღებას ითხოვდა ბიზანტიელთაგან. ამ გართულებული სიტუაციით ისარგებლეს ბიზანტიელმა სარდლებმა მარტინემ და რუსტიკემ, რათა გუბაზს გაწორობოდნენ. საფიქრებელია, მათ ამას ის გარემოებაც აიძულებდათ, რომ იუსტინიანე ლაზიკაში შექმნილი ვითარების გარკვევას შეუდგებოდა, გუბაზი კი, არ დააყოვნებდა, სხვა გარემოებებთან ერთად, ბიზანტიელთა ჯარის სარდლების უხეირო მოღვაწეობაც მოეხსენებინა, რაც უმნიშვნელო მიზეზთაგანი როდი იყო ლაზთა შორის ანტიბიზანტიური და პროსპარსული განწყობილების გაღვივებისა.

ამგვარად, ბიზანტიის სამეფო კარზე გუბაზის მიმართ კრიტიკული განწყობილება არსებობდა, რაც ბიზანტიელმა სარდლებმა გამოიყენეს თავის დაზღვევის მიზნით, გუბაზის მკვლელობისათვის.

ასეთი სიტუაცია აშკარად გამოსჭვივის იუსტინიანეს იმ წერილიდან, რომელიც იოანემ ჩამოუტანა მარტინესა და რუსტიკეს.

წერილში ეწერა: „დაუჭერებელი და უცნაურია ის, რაც თქვენ მაცნობთ, სახელდობრ, თითქოს გუბაზს სურდეს გადაუდგეს მამაბაპის ადათს და თავის ძველ, ყველაფერში ერთმოაზროვნე წინამძღოლებს, ე. ი. რომაელებს, და გადავიდეს მისაღმი მტრულად განწყობილ, სრულიად უცხო და სხვა საწმუნოების მიმდევარ სპარსელთა მხარეზე, და ეს ჩაიღინოს იმ დროს, როდესაც ჩვენგან უსი-

40. იუსტინიანესა და იოანეს შორის დიპლომატიკური ამ მხრივ ბევრის მანიშნებელია. ერთი შეხედვით, იოანე თითქოს ძალას ატანს იმპერატორს, მაგრამ ესეც იმდენად თანხმდება ყველაფერზე, თითქოს გულუბრყვილოდ.

ამოვნო არაფერი შეხვედრია. მიუხედავად ამისა, რადგან ვიცით, რომ აღამიანს სჩვევია ცვალებადობა და მერყეობა და გარემოებათა ნაირნაირობასთან ერთად თვითონაც სხვადასხვანაირად იქცევა ხოლმე, ამიტომ ჩვენ საჭიროდ არ ვცანით სრული უნდობლობით მოვპყრობოდით იმ ამბავს (გუბაზის განდგომის შესახებ) და არ გვეზრუნა თავის დაცვაზე მის მიერ განზრახულ თუ უკვე მიღებულ გადაწყვეტილების წინააღმდეგ; ხოლო ჩვენ თვითონ მეტად გვაწუხებს და ყოველმხრივ გვაფიქრებს ეს საქმე, ვინაიდან არ არის ნათელი, თუ რით გათავდება ის. თუმცა შემადრწუნებელი და ამაღელვებელია ის, რომ მტკიცედ ვერავის დაეყრდნობი და მუდამ ეჭვითა და შიშით უნდა იყო აღვსილი თვით ძალიან კარგი მახლობლების მიმართაც კი, მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც მივყვებით ბუნების კანონს (და ეს არის რომ ყველაფერში იმარჯვებს) და უნდობლობას ვიჩენთ. მაგრამ, რათა გუბაზის მიმართ აჩქარებულად არ გადავდგათ მკაცრი და სასტიკი ნაბიჯი და არც სირბილე გამოვიჩინოთ რაიმე შეუფერებელ გარემოებათა გავლენით, ამიტომ, ორივე ამ შემთხვევაში სინანულს თავიდან ასაცდენად, მიზანშეწონილად მივიჩინეთ შუა გზა აგვერჩია და ის კაცი (გუბაზი) აქ დავევბარებინა. ამიტომ გავალებთ გამოგზავნოთ ის რაც შეიძლება მალე, ნებით ან ძალით, მაგრამ თუ ის განზრახვას მიგიხვდებათ, წინააღმდეგობას გაგიწევთ და წამოსვლაზე უარს განაცხადებს, შეიპყარით და წამოათრიეთ (ამის ნებასაც გაძლევთ მე თქვენ ამ შემთხვევაში), ხოლო თუ ის გაგისხლტებათ და თქვენზე იერიშს მოიტანს, და, მაშასადამე, ამა თუ იმ სახით ხელებს აღმართავს თქვენ წინააღმდეგ: მაშინ ჩვენ აშკარა საბუთები გვექნება მის განზრახვათა შესახებ და ამიერიდან შეგვიძლია ჩავთვალოთ მტრად, ისე რომ, თუ მას, ასე გათავხედებულს, ვინმე კიდევაც მოჰკლავს, ამას უკანონო საქციელად არ ჩავუთვლით; ამ საქმისათვის არა თუ დასჯილი არ იქნება, როგორც მკვლელობის ჩამდენი, არამედ ქების ღირსიც იქნება, როგორც ტირანის მომსპობი⁴¹.

ბიზანტიის მთავრობის მეთაურის ეს წერილი ერთი შეხედვით კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. აქ, თითქოს მოსჩანს სიფრთხილე და წინდახედულება, რაც ჰმართებდა იუსტინიანეს ასეთ სერიოზულ შემთხვევაში. მაგრამ არ შეიძლება იმავე დროს უცნაურად არ გვე-

41 გეორგია, III, გვ. 127—129.

ჩვენოს, რომ იუსტინიანე ნებას აძლევს ჯარის სარდლებს მოკლან გუბაზ მეფე, თუ ის მათ არ დათანხმდება იმაზე, რომ მათ იგი ბიზანტიაში წაიყვანონ. ეს, უსათუოდ, ანარეკლია იმ განწყობილებისა, რომელიც ბიზანტიის სამეფო კარზე გუბაზის მიმართ სუფევდა. ხოლო რომ გუბაზიც ბიზანტიის მთავრობის მიმართ ეჭვით და უნდობლობით უნდა ყოფილიყო გამსჭვალული, რაც პოლიტიკური სიტუაციის ნაყოფი იყო, ეს აშკარად გამოსჭვევიის იუსტინიანეს წერილის სათანადო ადგილიდან.

იუსტინიანე, ავალებს რა თავის სარდლებს გუბაზი ძალით თუ ნებით მიიყვანონ ბიზანტიაში, დასძენს: „მაგრამ თუ ის განზრახვას მიგიხვდებათ-ო“... და სხვა. რა განზრახვას უნდა მიხვედროდა გუბაზი?

ვთქვით, აქ, წერილის ავტორის უნებურად, გამომჟღავნებულია მთელი ამ მოვლენის არსი: ეს სიტყვები დააწერინა იუსტინიანეს იმ გადაწყვეტილებაში, რომელსაც იგი გუბაზის მიმართ ატარებდა გულშიც და აზრშიც; რომ ის ურიგდებოდა გუბაზ მეფის ლაზიკიდან მოშორებას.

ამ წერილის შინაარსი ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, იმაში, რომ გუბაზსა და ბიზანტიელ ჯარის უფროსთა შორის უკმაყოფილება არ იყო მხოლოდ მათი პირადი დამოკიდებულების შედეგი, არამედ მას ჰქონდა საერთო ფონი: დამოკიდებულების გართულება ბიზანტიაში და ლაზიკის შორის. ამ საერთო ფონზე ადვილად გაღვივდა გუბაზსა და ბიზანტიელ სარდლებს შორის უკმაყოფილება, რაც შეიქმნა უშუალო საბაზი ტრაგიკული მოვლენისა.

მარტინემა და რუსტიკემ სიამოვნებით წაიკითხეს იუსტინიანეს წერილი და მიიჩნიეს, რომ მათ ეხლა ის ლა დაჩენოდათ, რომელიმე პროვოკაციის შედეგად, საბაზი მისცემოდათ გუბაზის მიმართ იარაღი ეხმარათ. თავიანთი ვერაგი შთანაფიქრის განხორციელებას კიდევ შეუდგნენ. როგორც აგათია გადმოგვცემს: „...მათ მოიხმეს იუსტინე და ბუზე⁴². განზრახული დაუმაღეს, ხოლო უთ-

42 ეს ორივენი აგრეთვე ბიზანტიელთა ჯარის სარდლები იყვნენ და პირველთ ეჭვემდებარებოდნენ. იუსტინე 556 წ. დაინიშნა ლაზიკის სტრატეგოსად, მარტინიანეს გადაყენების შემდეგ.

ხრეს: საჭიროა სასწრაფოდ გუბაზთან წასვლა და მასთან მოთათბირება იმის შესახებ. ონოგურისში მყოფ სარდლებს როგორ დავესხათ თავს ერთადო! ამათაც დაუჭერეს და გაემართნენ: თან წაიყვანეს მცირეოდენი რაზმი. გუბაზმა რომ შეიტყო, მასთან მალე მოვიდოდნენ სტრატეგოსები და სამტროს მათგან არაფერს ელოდა, წავიდა ხობის წყალთან. აქ შეეგება უბედური მათ, უმცველებოდ და გაბედულად, მხოლოდ მცირეოდენი ახლდნენ მისი ამალიდან, ისიც უიარალონი და საბრძოლველად მოუშვადებლნი. მაშ, სხვანაირად, როგორ მიეგებებოდა ის მეგობრებს და მოკეთებებს, ამ ქვეყნის მცველებს, არა მტრებს, არამედ, — პირიქით — უცხო ტომთა განმდევნელებს?⁴³

ამის შემდეგ აგათია გადმოგვეცემს ვერაგი სტრატეგოსების განაზრახვის ფინალს. გუბაზის ტრაგიკულად დაღუპვას.

იგი განაგრძობს: „ასე, ყველანი ცხენებზე ისხდნენ და ისე ესაუბრებოდნენ ერთმანეთს მიმდინარე მდგომარეობის შესახებ. მაშინ რუსტიკემ უთხრა „აბა, გუბაზ, სპარსელების წინააღმდეგ მივდივართ, რომლებიც ონოგურისში ჩამსხდარან: გამოგვეყვი და ჩვენთან ერთად მიიღე მონაწილეობა ამ ლაშქრობაში. სირცხვილი იქნება, თუ ისინი კვლავ თავისუფლად ისხდებიან ჩვენი ქვეყნის შუა გულში, მით უმეტეს, რომ ისინი მცირე რიცხოვანი არიან და ბრძოლის უნარითაც ვერ შეგვედრებიან.“

„ეს ლაშქრობა, შე კაი კაცო, ხომ მარტო თქვენ გეხებათ — მიუგო გუბაზმა, — რადგან მხოლოდ თქვენ მიგიძღვით ბრალი იმაში, რაც მოხდა. რომ თქვენ ასე უგუნურად და დაუდევრად არ მოპყრობოდით საქმეს, არც ეს ციხე იქნებოდა ჩვენ წინააღმდეგ გამაგრებული, არც ასე უსირცხვილოდ და ქუდმოგლეჯილი გაიქცეოდით და არც სხვა რამე მოხდებოდა ამ შეუფერებელი ამბებიდან. ეხლა კი, ძვირფასნო, თუ თქვენ ამბობთ, რომ დადება გიყვართ და სარდლის ღირსების სიმაღლეზე დგახართ, თქვენი შეცდომა უნდა გამოასწოროთ. რაც შემეხება მე, არ გამოგყვებით და არც ომში ჩავებმები, სანამ თქვენ მიერ ჩადენილ ყველა შეცდომას არ უწამლებთ“⁴⁴.

ბიზანტიელი ჯარის სარდალთა უხეირო მოქმედების შედეგად განცდილი მარცხის, რომლის დროსაც ბიზანტიელები, როგორც ავა-

43 გეორგიკა, III, გვ. 47—48.

44 იქვე, გვ. 48—49.

თია ამბობს „სამარცხვინოდ გაიქცენ“⁴⁵, მეტად საწყენი და საზიანო იყო ლაზიკისათვის, ამის შედეგი შეიძლებოდა კატასტროფულიც გამომდგარიყო, ამიტომ, აგათიასავე თქმით: „ლაზთა მეფე გუბაზმა, რომელსაც ასეთი სამარცხვინო საქმე შეუფერებლად მიაჩნდა და რომელსაც ეშინოდა ვაი თუ ამაზე მეტი კიდევ რაიმე შეუფერებელი მოხდესო, მაშინვე აცნობა იუსტინიანეს ყველაფერი, ბრალსა სდებდა სტრატეგოსებს⁴⁶ და ყველაფერს, რაც მოხდა, მათს უგუნურებას შიაწერდა, განსაკუთრებით ამტყუუნებდა ბესას, მის შემდეგ მარტინესა და რუსტიკეს“⁴⁶.

როგორც ვხედავთ, ბიზანტიელ ჯარის სარდლებს საპროვოკაციო საბაბი კარგად შეურჩევიათ: მათ იცოდნენ, რომ წინამავალ ბრძოლებში მათი უხვირო მოქმედების წყალობით განცილდნენ მარცხს, რის შედეგადაც სპარსელებმა ფეხი მოიმაგრეს ლაზიკაში. — გუბაზი არ აპატიებდა და ერთობლივ ლაშქრობაზე არ დათანხმდებოდა იმ პუნქტების დასაბრუნებლად, რომლებიც ამ უქნარა სარდლების უუნარობით იქნა დაკარგული. ეს კი მათ შეეძლოთ ჩაეთვალნათ იმის საბუთად, რომ გუბაზი ბიზანტიელებს გადაუდგა და სპარსელებს მიემხრო. და მართლაც „როგორც კი ეს ითქვა, მაშინვე თითქოს გუბაზის პასუხი საქმაოდ ამტყიცებდა მის მედიზმსა და ტირანობასაო⁴⁷, იმ ითანემ, რომელიც იმ ვერაგთა შიკრიკი იყო, იშიშვლა ჩუმად ხანჯალი და მკერდში ჩასცა გუბაზს, მაგრამ არა სასიკვდილოდ. გუბაზს თურმე ცხენის კისერზე ჰქონდა ფეხები შემოკეცილი და ისე ერთბაშად დაეცა ძირს, მე ვფიქრობ, არა იმდენად ხელის დარტყმისაგან, რამდენადაც იმის გამო, რომ ასე მოულოდნელად დაატყდა თავს ეს ამბავი. გუბაზმა ფოფხვა დაიწყო და ცდილობდა ამდგარიყო, ამ დროს ზედ წაადგა რუსტიკეს მეშუბე, რომელსაც ეს დავალებული ჰქონდა, მახვილით გაუჩეხა თავი და ბოლო მოუღო მის სიცოცხელს. აი, ასეთ პირობებში მოკლეს გუბაზი, როგორც ამბობენ სარწმუნო კაცები, რომელთაც ზემიწევნით იცოდნენ ეს ამბავი“—ო დასძენს აგათია⁴⁸.

ვერაგ სარდლებს გუბაზის მოკვლის დაწერილებითი გეგმა შეუდგენიათ და ამ საქმისათვის განკუთვნილი პირებისათვის თითო-

45 ე. ი. ბიზანტიელ ჯარის სარდლებს.

46 ე. ი. მიდიელების (სპარსელების) მხარეზე გადასვლასა და დაუმორჩილებლობასაო.

47 გეორგიკა, III, გვ. 43.

48 გეორგიკა, III, გვ. 49—50.

ეულისათვის სათანადო დავალება მიუციათ. საქმის დაწყება იოანეს ჰქონია დავალებული. ასე სამარცხვინოდ დააქციეს თავისი ქვეყნისათვის თავდადებული მეფის სიხსლი იმათ, ვინც მის ქვეყანაში მოკავშირეებად და საერთო მტრის წინააღმდეგ თანამებრძოლებად იყვნენ მოსული.

ეს მოხდა 554 წელს. ამ უჩვეულო გაიძვერულმა საქციელმა, სრულიად ბუნებრივად, საშინელი აღშფოთება გამოიწვია როგორც ლაზიკის მოსახლეობაში, ისე ბიზანტიელთა შორის.

აგათია განაგრძობს: „იუსტინეს და ბუზეს ძალიან ეწყინათ, ეს, უბედურებადაც ჩათვალეს ეს ამბავი, მაგრამ მაინც სდუმდნენ, რადგან ეგონათ, ეს უთუოდ იუსტინიანე მეფის დავალებით მოხდაო. ლაზთა მთელი ლაშქარი აღელდა ამ ამბის გამო და ისეთმა უკმაყოფილებამ შეიპყრო ისინი, რომ გადაწყვიტეს აპიერიდან აღარ შერეოდნენ რომაელებს⁴⁹ და არც მათთან ერთად ელაშქრნათ. როდესაც გუბაზის გვამი, თანახმად მათი წესისა, დაკრძალეს, ბრძოლაში მონაწილეობა აღარ მიიღეს, როგორც უაღრესად შეურაცხყოფილებმა და სამშობლოს დიდებმა დამკარგველებმა“⁵⁰.

რასაკვირველია, ლაზებისათვის მათი მეფის მიმართ ჩადენილი ბოროტმოქმედება ადვილი ასატანი არ იყო. აკი თითონ აგათია, ახსიათებს რა ლაზებს როგორც ცივილიზებულ წესზე მცბოვრებთ და პოლიტიკურად და ეკონომიურად მძლავრ ტომს, დაასკვნის, რომ: „...აი, ასეთი არიან ლაზები და ბუნებრივია, რომ მათ შეუწყნარებლად მიიჩნიეს, რომ მათ ასე ვერაგულად მოუკლეს მეფე“⁵¹.

გუბაზის ვერაგული მკვლელობა გაუადვილა სარდლებს იმ გარემოებამ, რომ ლაზიკაში უკვე აშკარად იგრძნობოდა ბიზანტიელთადმი უკმაყოფილება. ამან შექმნა ის სარბიელი, რომელზედაც აღმოცენდა ბიზანტიელი სარდლების ინტრიგა გუბაზის მიმართ და მათ ეს საქმე გაუადვილდათ იმის გამოც, რომ თვით ბიზანტიის სამეფო კარზე კარგად ესმოდათ საფრთხე. რომელიც მოპყვებოდა ლაზიკაში კვლავ საგარეო ორიენტაციის ცვლას, თუ ლაზიკა ბიზანტიის კვლავ ზურგს შეაქცევდა და პირს ირანისაკენ იბრუნებდა.

49 ე. ი. ბიზანტიელებს

50 გეორგიკა, III, გვ. 50.

51 იქვე, გვ. 51.

მაგრამ თუ ბიზანტიის ხელისუფალნი ფიქრობდნენ, რომ გუ-
პაზის გზიდან ჩამოშორებით ლაზიკაში მათი საქმე გაიჩარებოდა
და ლაზები ბიზანტიურ ორიენტაციას მტკიცედ შერჩებოდნენ; რომ
იქ სპარსული ორიენტაციის მომხრე ბანაკი დაითრგუნებოდა, —
ამ მხრივ ისინი სასტიკად შესცდნენ. ლაზები როდის მიაგავდნენ სხვა
ბარბაროსებს, რომლებსაც ბიზანტიელები თავის ნებაზე ათამაშებ-
დნენ. ლაზები, ისევე როგორც აღმოსავლეთში მათი მოძმე იბერი-
ელები, გულხელდაკრეფილი კი არ უცქერდნენ, თუ აგრესორები
როდის რა ბედს განუშადებდნენ მათ, არამედ საკუთარი ბედის გა-
მოკვლევაში თვითონ იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას. ამის მკვერ-
მეტყველური მაგალითია 520 წ. გურგენ მეფის მეთაურობით სპარ-
სეთის წინააღმდეგ იბერიის აჯანყება... სამწუხაროდ მარცხით დამ-
თავრებული. არც ლაზებსა და არც იბერიელებს არაოდეს ხე-
ლი არ აუღიათ აქტიურ ბრძოლაზე თავიანთი ქვეყნის ბედის წარმა-
რთვისათვის, დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის.

მაგრამ VI საუკუნისათვის (ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ერთი
გარემოება, რომელიც მაშინდელ საერთაშორისო ურთიერთობის
დამახასიათებელია). დიდსა და პატარა სახელმწიფოებს შორის ურ-
თიერთობაში დიდი გარდატეხა ხდებდა და ეს თვალაჩინოდ მოჩანს
ბიზანტიასა და ირანის ლაზიკა-იბერიის მიმართ ურთიერთობაში.

უწინ დიდსა და პატარა სახელმწიფოებს შორის დამოკიდებუ-
ლებას უფრო მეგობრობისა და მოკავშირეობის ხასიათი ჰქონდა
და „ქვეშევრდომობა“, როგორც ამას საისტორიო წყაროები აღნიშ-
ნავენ, მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ მფარველი სახელმწიფოს
მეფე ქვეშევრდომ მეფის ტახტზე ასვლზე შემდეგ, ფორმალურ სანქ-
ციას აძლევდა და ინვენტიტურის სათანადო ემბლემას ანიჭებდა,
რაც უეჭველია, ამ სახელმწიფოთა შორის მკვიდრო დიპლომატიური
ურთიერთობის აღმნიშვნელი, მაგრამ იმავე დროს, ქვეშევრდომი სა-
ხელმწიფოს პოლიტიკური ორიენტაციის აღმნიშვნელიც იყო და
ერთგვარ პროტექტორატს ნიშნავდა.

ბიზანტიასა და ლაზიკას შორის სწორედ ასეთი დამოკიდებუ-
ლება სუფევდა, რაც ფორმალურობაზე იყო დამყარებული და
უფრო მფარველობას წააგავდა. ლაზები, ანუ კოლხები არც
ხარკს, არც რამე განსაკუთრებულ გადასახადს არ უგზავნიდნენ
ბიზანტიის კეისარს, არც სხვაფრივ რამეში ემორჩილებოდნენ მას.
ომიანობის დროს ლაზების მოვალეობა იყო თავიანთი ჩრდილოეთი
საზღვრები გაემაგრებინათ, იქიდან ჰუნები და სხვა ტომები არ გად-

მოეშვათ და ამით დაეცვათ ბიზანტიის სამფლობელოები მტრის შემოსევისაგან. ლაზიკის მთავრებს ხელისუფლების ნიშნებს ბიზანტიის კენსარი უგზავნიდა⁵².

ისიც უნდა ითქვას, რომ ამგვარი პატარა სახელმწიფოების მიმართ ჩვენ თითქმის, არ მოგვეპოვება ცნობები, რომ ისინი ერთსა და იმავე დროს ორ დიდ სახელმწიფოსთან ყოფილიყვნენ ხსენებულის მსგავს ურთიერთობაში. დიდი სახელმწიფოებისათვის ეს იმას ნიშნავდა, რომ მეორე დიდი სახელმწიფოს წინააღმდეგ მას თავის დამოკიდებულებაში მყოფი პატარა სახელმწიფო მოკავშირედ გააჩნდა, დიდი სახელმწიფო არ აცხადებდა ქვეშევრდომი სამეფოს მიმართ მის შინაურ საქმეებში ჩარევის პრეტენზიას. ასეთი ურთიერთობა იყო, მაგ., იბერიასა და რომის იმპერიას შორის II—III საუკუნეებში. მაგრამ ამავე დროის მახლობლად არის მოცემული ჩანასახი ახალი მოვლენისა, რომელიც თანდათან თავს იჩენს და რომელმაც უკვე V საუკუნეში თვალსაჩინო გამოვლინება ჰპოვა იმაში, რომ, როგორც პეტრე იბერის ცხოვრება მოგვითხრობს, ბიზანტიელებიცა და სპარსელებიც სულ იმას ცდილობდნენ, როგორმე დაპატრონებოდნენ იბერიას მთლიანად.

ეს ტენდენცია თანდათან ფეხს იკიდებს და VI საუკუნეში მან უკვე მძაფრი ხასიათი მიიღო, რადგან ამ დროს დიდ სახელმწიფოებს შორის ახალი პრობლემა წარმოიშვა. თითოეული მთავანის საკუთარი ბატონობის გაფართოებისა და მეტოქე დიდი სახელმწიფოს რეალური ძალის დაპირისპირების მისწრაფებამ საჭირო გახადა ქვეშევრდომი სამეფოების დაპყრობა, მათთვის დამოუკიდებლობის წართმევა და მათი ისე გამოყენება, როგორც ამას უწინ მფარველი და აწ დამპყრობელი დიდი სახელმწიფოების ინტერესები და მიზნები მოითხოვდა. დიდი სახელმწიფოების მიერ პატარაების მიმართ ასეთი კურსის აღება VI საუკუნის დამახასიათებელი მოვლენაა და რაც პატარა სახელმწიფოებს ამ ნიადაგზე შეემთხვათ, მეტად ზაინტერესოა როგორც ზოგადი, ისე, კერძო ისტორიული თვალსაზრისით.

ბიზანტია და ირანი VI საუკუნეში ამ ახალი თვალსაზრისით იზილავენ ლაზიკა-იბერიის მიმართ საკუთარ ურთიერთობას. თითოეული მოქიშვე იმპერია ცდილობს სასწორი თავისკენ გადახა-

⁵² ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, გვ. 219; პროკოპი კესარიელი, B, P, II, 15.

როს. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით ირანმა გადადგა, რომელმაც იბერიიდან გურგენ მეფე გააძევა და ეს ქვეყანა თავის ხელთ მოიპოვებინა. იგი ამავე პოლიტიკას განაგრძობს ლაზიკის მიმართაც. ამასვე სჩადის ბიზანტიაც. ამ გარემოებით აიხსნება ორივე იმპერიის ლაზიკის მიმართ მოქმედების პარალელები.

სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ამ ახალ ხასიათს პატარა სამეფოებმა ალღო დროზე ვერ აუღეს, და მეგობრობისა და მფარველობის ძებნაში, ჯერ ისევე ძველ ტრადიციებს განაგრძობენ, მაგრამ ამის ნაცვლად დაპყრობით მისწრაფებებს აწყდებიან და ხან აქეთ, ხან იქით დაქანაობენ. მათ მეტად გვიან შეიგნეს, რომ ამ გვარის საფრთხის წინაშე საჭირო იყო მათი—პატარა სამეფოების—ურთიერთშორის გაერთიანება და საკუთარი ძალების კონსოლიდირება, რათა დამპყრობელთა წინააღმდეგ შეერთებულად ემოქმედნათ. ლაზები ხან ირანელებს განუდგებოდნენ და ბიზანტიელებს მიმართავდნენ დახმარებისათვის, ხან კი ბიზანტიელებს შეაქცევდნენ ზურგს და ირანელებს მიადგებოდნენ კარზე, რომელთაგანაც იმაზე უარესს მიიღებდნენ ხოლმე, რისთვისაც ბიზანტიელებს გაექცნენ, თუმცა ან კი რა უნდა ექნათ ორ ცეცხლს შუა მყოფთ?..

გუბაზის მოკვლამ ლაზთა წინაშე მკვეთრად წამოჭრა საკითხი, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ისინი. ეს მთელს ერს უნდა გადაეწყვიტა და მართლაც, კავკასიონის ერთ ხეობაში შეყრილა ლაზთა მოსახლეობა აღნიშნული საკითხის ვანსასჯელად.

ლაზთა ყრილობა (სახალხო კრება)

ერის ამ ყრილობის შესახებ შემონახული ცნობები მრავალმხრივ არის საინტერესო.

პირველ ყოვლისა, ჩვენ ვრწმუნდებით, რომ უამთააღმწერელ აგათიას ამ ამბის აღწერის დროს რომელიღაც წერილობითი წყარო ჰქონია ხელთ. თვით ამ წყაროს სათავესაც ამავე ცნობის საშუალებით შეგვიძლია მივაგნოთ: კრებაზე მომხდარი ამბების აღმწერი ვინმე გარეშე მეთვალყურეა, — იგი ლაზი არ უნდა იყოს, რადგან კოლხებს ბარბაროსებად იხსენიებს. ეს ვილაც ჯაშუსია, ბიზანტიელთა აგენტი, ლაზებში გარეული.

წყაროს შინაარსი თვითვე გვარწმუნებს იმაში, რომ ამბის გადმომცემი თვით დამსწრე და მხილველია. ამაში ადვილად შეგვიძლია დავრწმუნდეთ.

წყაროში მოთხრობილია, რომ შეკრებილებმა წამოაყენეს თუ არა საკითხი — ვის მიმხრობოდნენ: ისევ რომაელებს, თუ ირანელების მხარეზე გადასულიყვნენ, მაშინვე გაცხოველებული კამათი დაიწყო; ზოგი იქეთ, ზოგი აქეთ მხარეს იხრებოდა; შემდეგ საერთო უწესრიგო ხმაური შეიქნა, ისე რომ ძნელი იყო გარჩევა, ვინ ლაპარაკობდა და რას ამბობდა. მაშინ დიდებულებმა, მისცეს რა ბრბოს ნიშანი, მოუწოდეს, ლაპარაკის მსურველნი შუაში გამოსულიყვნენ და საქმიანი წინადადებები გამოეცხადებინათ, ვინც და როგორც არ უნდა ყოფილიყო იგი⁵³.

ეს ამონაწერი დამატებას აღარ საჭიროებს. იგი დამხდურის ხელის აშკარა ბეჭედს ატარებს.

კრებაზე წარმოთქმული სიტყვები ზუსტად უნდა იყოს ჩაწერილი და ეს საკვებით შესაძლებელი იყო, რადგან სწრაფი წერის ხელოვნება მაშინ უცხო არ იყო. როგორც ქვემოთ ვნახავთ, გუბაზის მკვლელთა გააამართლებაზე ლაზიკაში ჩამოსულ ბიზანტიელ უმაღლეს მოსამართლეს თან ისეთი მოხელენიც ახლდნენ, რომელთაც სწრაფი წერა და სწრაფი კითხვა იცოდნენ.

მაგრამ მაინც არ შეიძლება ჩვენ წინაშე არ დაისვას საკითხი, თუ რამდენად ორიგინალს წარმოადგენენ ეს სიტყვები, იქნებ ისინი ისტორიკოსის მიერ არის შეთხზული. ამ კითხვაზე მეცნიერული დასაბუთებული პასუხი რამდენიმე მომენტს მოჰყვება შუქს.

პირველ ყოვლისა, საკითხავია: შესაძლებელი იყო თუ არა მაშინდელ ლაზთა შორის ყოფილიყვნენ ისეთი პირნი, რომელთაც შეეძლოთ რიტორიკულ წესზე გამართული, ესოდენ მწყობრი და შინაარსიანი სიტყვების წარმოთქმა?

თავი რომ დავანებოთ სხვა ყველაფერს, რაც ძველი დროიდანვეა მოთხრობილი კოლხეთის დიდი კულტურის ირგვლივ, დასმულ კითხვაზე პირდაპირ პასუხს იძლევა ის ფაქტი, რომ IV სა-ში კოლხეთში არაებობდა რიტორიკული სკოლა, უმაღლესი განათლების კერა. ამ სკოლაში განათლების მისაღებად თვით საბერძნეთიდანაც მოდიოდნენ და აქ აღზრდილი გამოჩენილი ბერძენი მოღვაწეების სახელებიც იცის მეცნიერებამ.

მაგრამ, რასაკვირველია, ეს სკოლა, პირველყოვლისა, ადგილობრივი და აგრეთვე, უფრო ახლო მეზობელი ხალხების ახალგაზრდებისათვის იყო გახსნილი.

⁵³ გეორგიკა, III, გვ. 63.

სრულიად სამართლიანად ამბობს აკად. ს. ყაუხჩიშვილი, რომ: „თუ კოლხეთში, ფაზისის მახლობლად, ისეთი რიტორიკული სკოლა მოიპოვებოდა, სადაც ბიზანტიიდან მოვლინებული ახალგაზრდები სწავლობდნენ, თავის თავად იგულისხმება, რომ პირველ რიგში იქ თვით ადგილობრივი კოლხები ისწავლიდნენ. ამ რიტორიკული სკოლის ბრწყინვალე მუშაობის შედეგი უნდა იყოს ის, რომ კოლხეთში (ლაზებში) რიტორიკული ხელოვნება დიდ სიმაღლეზე იდგა. აგათია სქოლასტიკოსის „ისტორიაში“ გადმოცემული სიტყვები წარჩინებული ლაზებისა, აიეტისა და ფარტაზისა, რომლებიც მათ წარმოთქვას საიდუმლოდ მოწვეულ კრებაზე გუბაზ მეფის მოკვლის გამო, უბრწყინვალესი ნიმუშებია მკვერმეტყველებისა და უნდა ვიფიქროთ, რომ აიეტსა და ფარტაზს, ისევე როგორც სხვა ორატორებს, რომელთა სიტყვები გადმოცემული აქვთ პროკოპისა და აგათიას, რიტორიკული განათლება უნდა მიეღოს სწორედ ამ ფაზისის რიტორიკულ სკოლაში⁵⁴“.

აღნიშნული სკოლა უნდა არსებულებოდა თვით ფოთში (ფაზისში), რასაც სხვა არგუმენტებთან ერთად, ცხადყოფს ამ სკოლაში აღზრდილის, გამოჩენილი ბიზანტიელი ფილოსოფოსის თემისტოისის 27-ე სიტყვაში ხმარებული გამოთქმა, რომ სკოლა არსებობდა „ფაზისის მახლობლად“, რაზედაც ს. ყაუხჩიშვილმაც მიუთითა. ამ აზრს უფრო ამტკიცებს იმავე თემისტოისის პირველი მითითება, რომ სკოლა არსებობს „პონტოს ბოლოში“. ძველ ბერძნულსა და რომაულ წყაროებში ფაზისი პონტოს უკიდურეს პუნქტად არის, ჩვეულებრივ, მიჩნეული.

ამგვარად, კოლხებს, ლაზებს შეეძლოთ უმაღლესი რიტორიკული განათლება მიეღოთ როგორც საბერძნეთში, — და ეს გზა მათთვის სრულებითაც დაწმული არ იყო, — ისევე შინ, თავის სამშობლოშიც, რის შედეგადაც მათ, აქ გაწვრთნილთ რიტორიკულ ხელოვნებაში, თავი უსახელებიათ „ელინთა დღეობებზე“, როგორც ამას თემისტოისივე მოწმობს.

მასშასადამე, ლაზთა შორის საკმაოდ უნდა ყოფილიყვნენ ისეთნი, რომელნიც დაუფლებული იყვნენ მკვერმეტყველების ხელოვნებას, რასაც ესოდენი დიდი როლი განეკუთვნებოდა ძველ სამყაროში. მათ შეეძლოთ ურთულეს მომენტებთან, დაკავშირებით წარმოეთქვათ

54 გერგია, I, გვ. 52.

55 გეორგია, I, თბ. 1961. გვ. 54.

შესაფერისი სიტყვები, შესაფერისი ფორმისა და შინაარსისა, რასაც ნათლად ვხედავთ აიეტისა და ფარტაზის სიტყვებში:

ნიკოლოზ კანდელაკის ნატიფი თქმით: „აიეტისა და ფარტაზის ორატორული ხელოვნება კოლხეთის რიტორიკული სკოლის გამოწვეულია, რომელიც ამშვენებს ჩვენი ზეპირი სიტყვის საგანძურს და ღირსია ადვილი დაეთმოს მსოფლიო მკერამეტყველების ისტორიაში. კაცობრიობის სულიერი შემოქმედების სარბიელზე იშვიათად მოიპოვება მსმენელისადმი მიმართული ისეთი შედეგები, როგორცაა აიეტისა და ფარტაზის სიტყვები — ბერძნული კამოცდილებს, ლოგიკური უზადობისა და მწყობრი თანამიმდევრობის ეს ღირსეული ძეგლები“⁵⁶.

მაგრამ რა საბუთი მოგვეპოვება, მივიჩნიოთ მათი სიტყვები მართლა მათ მიერ წარმოთქმულად და თანაც ისე, როგორც ამ სიტყვებმა ჩვენამდე მოაღწია?

პატივცემული ს. ყაუხჩიშვილი შენიშნავს „... არ იქნება მართებული, თუ ვინმე იფიქრებს, რომ აგათიას მიერ გადმოცემული სიტყვები, თითქოს, მის მიერ იყოს შეთხზული და არ შეესაბამებოდეს სინამდვილეს“⁵⁷.

რომ აიეტისა და ფარტაზის სიტყვები შესაძლებელია სიტყვა-სიტყვით იყო ჩაწერილი, ეს სულ ადვილი დასაჯერებელია, რადგან სწრაფი წერის ტექნიკა ძველი სამყაროსათვის სრულიადაც უცხო არ იყო, რაც თვით პირველწყაროშივე გვაქვს დამოწმებული. აგათია სქოლასტიკოსი, მოგვითხრობს რა ბიზანტიის მთავრობის მიერ კოლხეთში მოწყობილ საგანგებო სასამართლო პროცესის შესახებ, გუბაზ მეფის მკვლელებს რომ ასამართლებდნენ, გვაუწყებს, რომ ბიზანტიიდან, ჩამოსულ სხვა მოხელეებთან ერთად იყვნენ „კაცნი, რომელთაც იცოდნენ სწრაფი წერა და დაწერილის წაკითხვა სხაპაჩხუპით“⁵⁸.

საესებით ლოგიკურად დასკვნის ნ. კანდელაკი: „...აიეტისა და ფარტაზის სიტყვები წარმოითქვა ლაზიკაში, კერძოდ, „კავკასიის ერთ ხეობაში“, სადაც „შეყარეს დიდძალი ხალხი“, ცხადია, კოლხები და, მაშასადამე, ორატორების ენა მშობლიური უნდა ყოფილიყო კოლხებისათვის.

⁵⁶ ნიკოლოზ კანდელაკი, ქართული კლასიკური მკერამეტყველება, თბილისი, 1961, გვ. 228.

⁵⁷ იქვე, გვ. 55.

⁵⁸ გეორგიკა, III, გვ. 125.

ამრიგად, სურათი ასეთია: აიეტისა და ფარტაზის სიტყვები თავდაპირველად ითქვა ქართულ ენაზე, მაშინვე აღიბეჭდა სწრაფ-მწერთა მიერ და შემდეგ ითარგმნა ბერძნულად. ასეთია მათი დაცვა-შენახვისა და ჩვენამდე მოღწევის გზა⁵⁹.

ლაზთა ყრილობის პირველწყაროს ეს აღწერილობა გვაცნობს ამასთანავე ლაზიკის მოსახლეობის სახალხო კრების სურათს, რომელიც, უნდა ითქვას, ძლიერ ცოცხლად არის გადმოცემული. ძნელი სათქმელია, ასეთი კრება თუ ყრილობა წარმოადგენდა მუდმივ მოქმედ პოლიტიკურ ორგანოს, თუ შექმნილი განსაკუთრებული ვითარებით იყო ნაკარნახევი მისი მოწვევა. ეს ლაზიკის სახელმწიფო წყობილების საკითხია და ცალკე შესწავლას საჭიროებს.

ამ აღწერილობაში მთავარი ის არის, რომ ჩვენ წინ წარმოადგება ლაზიკის მოსახლეობის ორი აშკარად დაპირისპირებული ბანაკი, რომელთაც ერთიმეორისაგან არა მხოლოდ პოლიტიკურ აზრთა სხვადასხვაობა უნდა ჰყოფდეს, არამედ აგრეთვე კულტურული და სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობაც. ყოველივე ამან კი გამოხატულება ჰპოვა პოლიტიკური ორიენტაციის საკითხის განხილვაში. აქვე ჩვენთვის ცხადი ხდება ის გავლენა, რაც ბიზანტიელთა ათიოდე წლის უშუალო ბატონობაჲს ჰქონია ლაზთა ცხოვრებაზე.

კრებაზე უპირატესობა ბიზანტიურ ორიენტაციას მიეცა. ამ გარემოებას საფუძველი ლაზთა საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში მოეპოვებოდა. ლაზებს ერჩიათ თავიანთ ტერიტორიაზე ირანელების მაგიერ ბიზანტიელები ჰყოლოდათ, რადგან იბერია-ლაზიკის ტერიტორია ბიზანტიისთვის უმთავრესად თავდაცვისათვის იყო საჭირო და ამდენად მათი ექსპანსია და ოკუპაციის რეჟიმი შედარებით რბილი უნდა ყოფილიყო. ირანი კი ამავე ტერიტორიას განიხილავდა, როგორც ბიზანტიის წინააღმდეგ შეტევისთვის საჭირო პლაცდარმს, ამის შესაბამისად, ირანის ამ ტერიტორიაზე და მის მოსახლეობაზე გაბატონების მიზნები გულისხმობდა მათ მიმართ გაცილებით მკაცრ ზომებს.

ამას გარდა, ლაზებს კარგად ესმოდათ ბიზანტიელების უპირატესობა სპარსელების წინაშე. ეს უპირატესობა გამოიხატებოდა ჯერ ერთი იმაში, რომ მათ ბიზანტიასთან უფრო მეტი ჰქონდათ საერთო ეკონომიური აღებ-მციემობის თვალსაზრისით, მაგრამ

⁵⁹ ნ. კანდელაკი, მითით. შრ., გვ. 232.

გარდა ამისა, „ლაზებისათვის ისიც ცხადი იყო, რომ ბიზანტია მაშინდელი მსოფლიო კულტურის სათავეში იდგა როგორც თავისი მატერიალური რესურსებით, ისე მაშინ პროგრესულად ცნობილი ქრისტიანული იდეოლოგიით, ხოლო სპარსელების ცეცხლთაყვანისმცემლობა უკან მიაქანებდა მსოფლიოში მაშინ მიღწეულ კულტურულ მონაპოვართ. ყველაფერი ეს კარგად ესმოდათ ლაზებს და უმეტეს შემთხვევაში ლაზები ბიზანტიის ორიენტაციისა იყვნენ“⁶⁰.

ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ლაზებს უკვე ჰქონდათ გაცილებილი ბიზანტიელთაგან განდგომისა და სპარსელების მხარეზე გადასვლის შედეგი.

სხვათა შორის, ყრილობაზე გამართული კამათიდან ირკვევა აგრეთვე, რომ ფარტაში ქრისტიანი, აიეტი კი არაქრისტიანი.

რასაკვირველია, ორიენტაციის საკითხი ლაზებისათვის ახალი არ არის. წათეს მიერ ქრისტიანობის აღიარება, ე. ი. ბიზანტიური ორიენტაციის კურსის აღება, როგორც თავის ადგილზე აღვნიშნეთ, იმას არ ნიშნავდა, რომ იგი ყველა ლაზის მიერ ერთხმად იყო აღიარებული. უსათუოდ მოიპოვებოდა მეორე ბანაკიც, რომელიც ირანულ ორიენტაციას ამჯობინებდა. საზოგადოების ასეთმა დაყოფამ ხელი შეუწყო 539 წელს ლაზების ბიზანტიელთაგან უკუქცევას და ირანული ორიენტაციის მიღებას. არც ამ მდგომარეობამ გასტანა დიდხანს და ლაზები იძულებული იყვნენ ისევ ბიზანტიელებს მიჰყვებოდნენ. მიმართულების ასეთ ცვლას თითოეულ შემთხვევაში, უნდა ვივარაუდოთ, სათანადო ბანაკი მეთაურობდა. განსაკუთრებით გუბაზის მოკვლის გამო კვლავ მწვავედ აღიმართა ლაზების წინაშე საგარეო ორიენტაციის პრობლემა მთელი თავისი სიგრძე-სიგანით, რაც ასე თუ ისე გადაწყვეტას მოითხოვდა. საქმე ის კი არ არის, რომ ფარტაზემ მოახერხა დაერწმუნებინა ლაზები, რომ ბიზანტიელი სარდლების ვერაგობისათვის მთელი ბიზანტიის სამეფო არ არის პასუხისმგებელი, და დამნაშავეთა კეისრის მიერ სასამართლოში მიცემის მოთხოვნით, ლაზთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პერსპექტივებით დაემოწმინებინა ხალხი და ამით მდგომარეობა ჭერაჯერობით მაინც ბიზან-

⁶⁰ ს. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი, რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, გვ. 21—22, თბილისი, 1965.

ტიელთა სასარგებლოდ შეენარჩუნებინა. ჩვენთვის ის არის საინტერესო, თუ რა ტენდენციებმა იჩინა კრებაზე თავი. საინტერესოა, რადგან ამ ტენდენციებს, ცხადია თვით ხალხში და ცხოვრების პირობებში ჰქონდა ფესვები გადგმული და იქიდან მომდინარეობდა.

კრებაზე ორიენტაციის ორი სხვადასხვა ბანაკი მკვეთრად დაუპირისპირდა ერთიმეორეს. ამასთანავე, გაესვა ხაზი, რომ ამგვარი განწყობილება მათ შორის კარგა ხნის ამბავია. ფარტაზი ორჯერ იხსენიებს, რომ აიეტს ყოველთვის ირანელებისაკენ ეჭირათვალნი: „და ეს მრჩეველი (აიეტი), რომელიც დიდი ხანია ირანელებისაკენ მიისწრაფის და ძალზე მოწადინებულია, რომ ჩვენ მათ მხარეზე გადავიდეთ“—ო, ამბობს იგი.

აკი თვით ბიზანტიელი ისტორიკოსიც ამბობს აიეტზე, რომ ის „რომაელთა მოძულე იყო და მუდამ სპარსელების მომხრე“ და ამჯერადაც მან ისარგებლა ხელსაყრელი მიზეზით და პირდაპირ განაცხადა, რომ შექმნილი მდგომარეობა საკამათო არ არის და უნდა საბოლოოდ გადავიდეთ სპარსელების მხარეზე. ხალხს, რასაკვირველია, არ შეეძლო მოუფიქრებლად გადაედგა ნაბიჯი, რომელიც სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ცხოვრებას ეხებოდა და ამიტომ აიეტს შეესიტყვენ, რომ ვიდრე იმ ნაბიჯს გადადგავენ, რომელმაც მათი ცხოვრების გეზი უნდა შეცვალოს, საჭიროა ყველაფერი ზედმიწევნით მოვითათბიროთო. მაშინ აიეტი შუაში გავიდა და საისტორიო წყაროს თანახმად, ილაპარაკა ისე, როგორც სახალხო საბჭოში ლაპარაკობენ. ეს მშვენივრად ლაპარაკობდა, უფრო უკეთ, ვიდრე ბარბაროსებს სჩვევიათ“⁶¹.

ამით დაიწყო კამათი.

აიეტმა უთხრა ლაზებს, რომ გუბაზის მოკვლით გაქრა კოლხთა ძველი დიდება; რომ ეს მოკვლეობა ჩადენილია ბიზანტიელთა მეფის წაქეზებით. მან მიუთითა იმაზე, რომ თუ ლაზები სპარსელებს მიეწრობიან, ბიზანტიელები ამათ წინააღმდეგ ველარაფერს გადხეიან. შემდეგ შეახსენა ვერაგულად მოკლული გუბაზი, რომელიც უხილავად ესწრება მათ კრებას, იგი მიუთითებს თავის ჭრილობებზე და მშობლიურ ხალხს მოუწოდებს, მტერს მისთვის სამაგიერო გადაუხადოს.

თავის გულშემატკივრობას სამშობლოსათვის ასე გამოხატავს აიეტი და ქვეყნის უბედურებას ასე დასტირის: მე ვინატირიდი

⁶¹ გეორგიკა, III, 64.

კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონდეს მისი ძლიერება, რომ მას არ დასჭირვებოდეს უცხო და გარეშე დახმარება და რომ ყოველგვარ საქმიანობაში, როგორც ომიანობის ისე მშვიდობიანობის დროს, მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობოდეს. მაგრამ, როდესაც ჩვენ ეამთა ტრიალის, ან ბედის უკუღმართობის, ან ორივეს წყალობით ისეთს უძღურებაში ჩავევარდით, რომ სხვათა ხელქვეითნი გავხდით, მე ვფიქრობ, უმჯობესია იმათ ხელში ვიყოთ, ვინც უფრო კეთილმსურველია, ვინც ურყევად იცავს კეთილგანწყობილებას თავისიანებსა და მოკავშირეების მიმართ. მან მზურვალედ მოუწოდა თანამემამულეებს სპარსელთა მხარეზე გადასვლა.

აიეტმა თქვა: „რომაელები რომ სიტყვებითა და გეგმებით გვეპყრობოდნენ უსამართლოდ, ჩვენც კარგს ვიზამდით, რომ მუდამ ამგვარივე საშუალებებით დაგვეცვა თავი; მაგრამ ეხლა ნუთუ მისაღებია, რომ, იმ დროს, როდესაც ისინი ყველაფერში საშინლად გვექცევიან, სამაგიეროს გადახდის შემოახვევას ვკარგავთ იმაზე, რომ ვყოყმანობთ და ვთათბირობთ? ხომ არავის შეუძლია იმის მტკიცება, თითქოს მტერი ბოროტ ქცევაში ჯერ არ იყოს შემჩნეული, და თითქოს მხოლოდ ექვეები არსებობდნენ, რომ ის ამგვარ აზრებსა და ზრახვებს ატარებს; არც საბუთების მოგონებაა საჭირო მისი, ვითომც დაფარული, ვერაგობის დასამტკიცებლად: საკმარისია გაიხსენოთ სახელოვანი გუბაზი, რომელიც ასე საცოდავად იქნა მოსპობილი, თითქოს ის ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილიყოს. გაქრა კოლხთა ძველი ღირსება და ამიერიდან ველარ ველირსებით იმას, რომ სხვებს ვმბრძანებლობდეთ: ისიც უნდა ვიკმაროთ, თუ მივალწევთ იმას, რომ ძალიან არ დაგვჩაგრონ იმათ, ვინც წინათ ჩვენი ქვეშევრდომი იყო. ნუთუ უკიდურეს უგუნურებას არ წარმოადგენს, ის, რომ იმათ შესახებ, ვინც ეს ჩაიღინა, ჩვენ ვზივართ და ვმსჯელობთ, მტრებად ჩავთვალოთ ისინი თუ მეგობრებად? უნდა ვიცოდეთ, რომ მათი თავხედობა ამაზე არ შეჩერდება: თუ ჩვენ ამ ბოროტმოქმედებას უყურადღებოდ დავტოვებთ, ისინი არ მოგვეშვებიან, და გულხელდაკრეფილნი რომ ვისხდებით, უფრო შეუპოვრად აგვხდინან ნამუსს. იმათ, ვინც ემორჩილება, ისინი რა თქმა უნდა, უფრო თავხედურად ეპყრობიან და, ჩვეულებრივ ქედმაღლურად უყურებენ მოსამსახურებს. შეფეც ფაიძვერა ჰყავთ, რომელსაც ყოველთვის უხარია ცხოვრების პირობების არეულობა: და ეს მოქმედება რომ ასე ერთბაშად იქნა სისრულეში მოყვანილი, ცხადია, იმის წყალობით, რომ მეფე მხურ-

ვალედ მოუწოდებდა ამას, ხოლო სხვებმა ეს გულმოდგინედ შე-
 ასრულეს. მარტო ის კი არ არის, რომ მათ გაგვანადგურეს, თუმცა
 ჩვენ არც უსამართლობა ჩაგვიდენია და არც რაიმე მტრობა ყო-
 ფილა ჩვენ შორის, არამედ, რა ჩვეულებაც წინათ ჰქონდათ, იმას-
 ვე მისდევენ, თითქოს ერთბაშად შეეპყრას ისინი სიმბეცეს, სიგი-
 ეეს, სიძულვილსა და ყველა სხვა ამგვარ მოვლენას. სპარსელები
 კი ასეთი ხასიათისანი არ არიან; ისინი შორს არიან ამისაგან. თუ
 ვინმე გაიხადეს თავიდან შეგობრად, ისინი ცდილობენ უთუოდ
 დაიცვან სიყვარული; ხოლო მტრის მიმართ რისხვას განაგრძობენ
 მანამ სანამ ის მტრად რჩება. მე ვინატრიდი კოლხეთის სახელმწი-
 ფოს ჰქონოდათ მისი ძლიერება, რომ მას არ დასჭირდეს უცხო და
 გარეშე დახმარება და რომ ყოველგვარ საქმიანობაში, როგორც
 ომიანობის ისე მშვიდობიანობის დროს მხოლოდ საკუთარ თავს
 ეყრდნობოდათ. მაგრამ, როდესაც ჩვენ ეამთ ტრიალის, ან ბედის
 უკუღმართობის, ან ორივეს წყალობით ისეთს უძღურებამი ჩა-
 ვარდით, რომ სხვათა ხელქვეითნი გავხდით, მე ვფიქრობ უმჯო-
 ბესია იმათ ხელში ვიყოთ, ვინც უფრო კეთილის მსურველია, ვინც
 ურყევად იცავს კეთილგანწყობილებას თავისიანებისა და მოკაც-
 შირეთა მიმართ. ამრიგად, ჩვენ გავიმარჯვებთ ჩვენს ნამდვილ
 მტერზე, თუ არავითარ შემთხვევაში არ დაგტოვებთ დაუსჯელად
 იმ ჩადენილ ბოროტმოქმედებას და მივიღებთ საჭირო ზომებს,
 რომ უზრუნველი გავხადოთ ჩვენი მომავალი ცხოვრება. ზედმე-
 ტი და უშეუდეგო იქნება ის გაიძვერობა და ფლიდობა, რომელთაც
 ისინი მზაკერული პირფერობითა და ხელოვნური მოპყრობით იყენე-
 ბენ იმათ მიმართ, ვინც მათ დაენდო, და რომელთა საშუალებით
 ისინი უსამართლო საქციელს სჩადიან, და ისინი ველარ გამოიყე-
 ნებენ იმათ ჩვენ წინააღმდეგ, თუ მტერთან საერთო აღარაფერი
 გვექნება და ამჟამად გამოვეთიშებით მას. თუ ისინი სცდიან
 ჩვენთან შეომებას, მათ მოუხდებათ ბრძოლა ერთსა და იმავე
 დროს ლაზებთან და სპარსელებთან, ისიც მტრის მიწაწყალზე, ე.
 ი. აქ, და ცხადია მათ შემოტევას ვერ გაუძლებენ. აი, ეხლაბან არ
 იყო, რომ მიდიელთა მცირეოდენ ჯარს შეებნენ მთელი თავისი ჯა-
 რით და მაშინვე სამარცხვინოდ გაიქცნენ, ისე რომ დღემდისაც კი
 არ მოუთქვამთ სული იმ რბენისაგან? ისინი, ასე ვთქვათ, ყველა-
 ფერში დამარცხდნენ, მხოლოდ სისწრაფით აჯობეს დამდევნებელს,

ამის ცხად და აშკარა მიზეზად შეგვეძლო ჩაგვეთვალნა მათი სილაჩრე და ის, რომ შეუფერებელ გეგმებს ადგენენ. ეს ცუდი თვისებები ხომ ახასიათებს მათ, როგორც ქვეშეპირად მათი კუთვნილი და თითქოს თანდაყოლილი. გარდა ამისა, ამ ბუნებით თანდაყოლილ, ცუდ თვისებებს ემატება ნებით ჩადენილი ბოროტ-მოქმედება და უსამართლოდ სისხლის დაღვრის გამო უზენაეს მფარველობას მოკლებულებს უორკეცდებათ უბედურება. განარჯვების იარაღი კი არ განამტკიცებს ხოლმე, არამედ სათნოიანობა: მაგრამ არა მგონია ბოროტმოქმედი და სისხლში გასვრილი ადამიანები ოდესმე ეზიარონ ამ კეთილ საწყისს. ამრიგად, თუ ჩვენ გონიერად ვიმსჯელებთ, არ უნდა მივიწინროთ იმათ, რომელთაც კარგად აზროვნების უნარი არ გააჩნიათ და რომელთაც ურისხდება ის, ვინც ყველაფრის გამგებელია⁶². მაშასადამე, რომ სპარსელების მხარეზე გადასვლა ჩვენი თვის ადვილი და სასარგებლოა და რომ ეს უზენაესსაც ესაიამოვნება, ეს მტკიცდება საქმით და არა სიტყვით. ეს არ იქნება ჩვენი მხრით არც უსამართლო საქციელი, არც იმის მაჩვენებელი, თითქოს ჩვენ ვერაგნი გამოვდექით. წინათაც ბევრჯერ მოუყენებიათ შეურაცხყოფა რომაელებს, მაგრამ ჩვენ საჭიროდ ვთვლიდით ძველ მდგომარეობაში დარჩენას: შეუფერებლად მიგვაჩნდა იოლი გადადგომა იმ სხვადასხვა მიზეზთა გამო, რომელნიც, თუმცა საშინელნი იყვნენ, მაგრამ მაინც მოსათმენნი და არც თუ ძალიან აუტანელნი. მაგრამ ჩემის აზრით, არ შეეფერება გონიერ ადამიანებს რომ ჩვენ ქედმოდრეკით ავიტანოთ უდიდესი ვნებანი და აუნაზღაურებელი ზარალი, რომელთაც ჩვენ გვაყენებენ, და არაფრით არ შევებრძოლოთ ამ უწმინდურ და შეუფერებელ საქმეებს: ეს უფრო შეეფერება მხალ და ლაჩარ ადამიანებს, რომლებაც თავისი უქნარობით სახელმწიფო საქმეებისადმი დაუდევრობას ამტკიცებენ. რაც შეეხება ამ უკანასკნელ მკვლელობას, არა მგონია სხვაგან სადმე მომხდარიყოს მაგაზე უფრო დიდი უბედურება, ან რომ მომხდარიყოს, ასე იოლად ჩაევლო. ამიტომ არც ჩვენ უნდა დავტოვოთ უყურადღებოდ ეს საქმე: სამარცხვინო იქნება, თუ ჩვენ მეფეს დავივიწყებთ და მის მკვლელებს პირფერობას დაუწყებთ. ის რომ ახლა აქ იყოს, საყვედურით აგვავესებდა და დავგძრახავდა ჩვენი დაუდევრობის გამო, რომ ეს ბოროტმოქმედი, იმის მაგიერ, რომ დიდი ხნის წინათ ყო-

62 ე. ი. ლმერთი

ვილიყენენ გაძევებულნი, ჯერ კიდევ დაიარებიან ამ მიწაწყალზე. მაგრამ ვინაიდან ამიერიდან ის ველარ გამოჩნდება ჩვენ შორის და ვერც სიტყვით მოგვმართავს, თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ ეს კაცი: დე, ის წარმოუდგეს თქვენს გონებას, თითქოს ის ამ კრებაზე იყოს და მიგვითითებდეს თქვენ თავის კრილობაზე, მკერდზე და კისერზე, და თვის ტომთ სთხოვდეს ანლა მაინც გადაუხადონ მტერს სამაგიერო. მერმე, რომელი თქვენგანი დაუქერს მხარს იმათ, რომელნიც ყოყმანობენ და ჯერ კიდევ მსჯელობენ იმის შესახებ, სამართლიანია თუ არა კოლხების მხრით გუბაზის გლოვა? თუ ჩვენ შეუფერებლად მივიჩნევთ რომაელებისაგან გადადგომას და შეეშინდებით, სიფრთხილე გვმართებს, რომ ამ ბოროტმოქმედების მონაწილეებად არ ჩაგვთვალონ. ვინაიდან დაუდევრობას ვიჩინთ და მიცვალებულის სისხლის აღებას ვაყოვნებთ: რომ მხოლოდ სიცოცხლეში ვეპყრობოდით მას სიყვარულით და სიკვდილის შემდეგ აღარც კი გვახსოვს, ამით უფრო მტკიცდება ჩვენი ორგულობა. თუ საქმეები კარგად მიდის, დიდი უგუნურება იქნება ძველ, ნაცად წესებს ვულაღატოთ; ხოლო როდესაც პირიქითაა. ვფიქრობ, უაზრობა იქნება, თუ ჩვენ, რაც შეიძლება მალე, არ შევეგუებით ახლად შექმნილ მდგომარეობას. სიმტკიცე გონიერების თვალსაზრისით უნდა გავსინჯოთ: არსებული მდგომარეობის მოთმენა ყოველთვის კი არ არის საქები, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც მას გონიერი მოსაზრებები ახლავს თან. მაგრამ როდესაც ისე ხდება, რომ უგულუბელყოფენ, რაც უნდა ახსოვდეთ, ხოლო აკეთებენ იმას, რაც შეუფერებელია. მაშინ უფრო გასაკიცხავია ის. ვინც ძველ ვითარებას მისდევს, ვიდრე ის, ვინც ახალს ემხრობა. და აი, ამას რომ შეიტყობენ ჩვენგან სპარსელები და გაიგებენ, ჯეროვანი სიყვარულით მოგვეპყრობიან და ჩვენთვის იბრძოლებენ. ვინაიდან ისინი კაცთმოყვარენი და გულკეთილნი არიან, და მეზობელთა ზრახვებდაც კარგად იმიუხედებიან ხოლმე; გარდა ამისა. ჩვენი ნებაყოფლობითი მიმხრობით ისინი მოკავშირედ იქნენ უაღრესად გამოსადეგ ქვეყანას და მნიშვნელოვან ჯარს, რაც მათ ფულსა და ქონებას ურჩევნიათ⁶³. მაშ; სხვა ფიქრი რაღა საჭიროა,

63 ეს მართალია, რომ ლაზების მათ მხარეზე გადასვლა სპარსელთათვის დიდი მონაპოვარე იყო, მაგრამ სპარსელების ქებამ მეტისმეტად გაიტაცა აიტი და მას დაავიწყდა, რა ბოროტმოქმედებაც ჰქონდათ ჩადენილი სპარსელებს ლაზიკაში, ისიც კი აღარ გაიხსენა, რომ სწორედ პირველად სპარსელებმა სცადეს გუბაზის მოკლა, მაგრამ ვერ განახორციელეს იმის გამო, რომ მათმა მოსყიდულ-

სასწრაფოდ შეუდექით საქმეს და გამოამყლავნეთ თქვენი გულის ნადები: რომ გავაკეთებთ იმას, რაც სწორი და სამართლიანია და რაც სარგებლობას მოგვიტანს, — ამით ჩვენ უდიდეს სახელს მოვიხვექთ“⁶⁴.

აიეტის სიტყვამ მსმენელნი ადვილად განაწყობ ბიზანტიელთა წინააღმდეგ და როგორც პირველწყარო მოწმობს „ხალხი აღფრთოვანდა და მაშინვე სიხარულის ყვირილი მორთო; იმ დღესვე აპირებდნენ სპარსელების მხარეზე გადასვლას“⁶⁵. მაგრამ ლაზების მხრით ასეთი საქციელი წინდაუხედავი ნაბიჯი იქნებოდა. რადგან საამისოდ არც სპარსელებთან ჰქონდათ წინასწარ დამყარებული კონტაქტი და არც თავის მხრით რამე სპეზადისი გაწეული იმ შემთხვევისათვის, თუ სპარსელების მხარეზე გადასვლის გამო. მათ ბიზანტიელები შეუტევდნენ.

აიეტის ამ სიტყვას, რომელიც გამიზნული იყო იმისკენ, რომ აელეღებინა მსმენელნი, დაუპირისპირდა კოლხთა შორის გავლენიანი და გონიერი ადამიანი, სახელად ფარტაზი. მან გონივრული მოსაზრებებით გააბათილა აიეტის მიერ წამოყენებული არგუმენტები და უსაყდედურა ხალხს, რომ ეგრე ადვილად აღმოჩნდა მოტყუებული. მან ამხილა აიეტი, რომელიც, მისი სიტყვით, მუდამ იმის ცდაში იყო, რომ თანამემამულეები სპარსელთა მხარეზე გადაებირებინა. ფარტაზიმ მიუთითა იმ სავალალო შედეგებზე, რაც მოჰყვებოდა მოუფიქრებლად და ნაჩქარევად სპარსელთა მხარეზე გადასვლას, რომ ეს გამოიწვევდა მთელი სახელმწიფო წყობილებისა და ცხოვრების შეცვლას, ქრისტიანული სარწმუნოების შერყევას და დათრგუნვას. ეს დაარღვევდა იდეოლოგიურ ერთიანობას, რასაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოთა და ერთა შორის ურთიერთობაში, — ამის წყალობით კი გამეფდებოდა ლაზებსა და სპარსელებს შორის უნდობლობა-უთანხმოებანი.

ფარტაზიმ არც ის დავიწყა, რომ საპირო არ არის გმირი გუბაზ მეფე ლაჩრულად წარმოვადგინოთო, ის რომ ჩვენ შორის იყოს, სასოწარკვეთილების ნაცვლად, კეთილგონიერებისა და ვაკაცობისაქენ მოგვიწოდებდაო.

მა ლაზმა მათი ვერაკი განზრახვა გუბაზს აცნობა, როგორც ზემოთ იყო მოთხრობილი.

⁶⁴ გეორგიკა, III, გვ. 64—70.

⁶⁵ იქვე, გვ. 70—71.

და ურჩია ფარტაზიმ შეკრებილთ: ყველაფერი ბიზანტიის იმპერატორს ვაცნობოთ და სამართალი ვთხოვოთ, ზოლო, თუ ის უარს იტყვის გუბაზის მკვლელთ დანაშაულისამებრ მიეზლოს, მაშინ მოვითათბიროთ, თუ როგორ უნდა მოვიქცეთო.

ფარტაზის სიტყვა: „ჩვეულებრივი ამბავი დაგემართათ, კოლხებო, რომ მეტად მოხერხებულად და წარმატად თქმულმა სიტყვებმა გონება შეგირყიეს. უძლეველი რაღაც არის მკვერმეტყველება და ის თითქმის ყველას ამარცხებს, განსაკუთრებით კი იმათ, ვისაც წინათ მისი ძალა არ გამოუცდია, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მას ვერ დაეუპირისპირებთ გონიერ მოწაზრებას, რომელიც საქმის ნამდვილ ვითარებას ემყარება. ნათქვამი იმიტომ კი არ უნდა მოიწონოთ, რომ ის თავისი მოულოდნელობითა და უჩვეულობით მიგაჩნიათ დამარწმუნებლად, არამედ მხოლოდ მაშინ, თუ ის მიზანშეწონილია და სასარგებლო. კარგად უნდა შეიგნოთ, რომ რაგინდ სასიამოვნოც არ უნდა იყოს ნათქვამი, უნდა ამოიჩინოთ იქიდან ის, რაც უმჯობესია: იმის აშკარა საბუთად, რომ თქვენ მოსტყუედიტ, ის გამოდგება, რომ თქვენ ასე ადვილად დაარწმუნებინეთ თავი აიეტს. ვინც ყალბ რჩევა-დარიგებას იძლევა, მას ესაჭიროება მეტი მოკაზმულობა და სიკრელე: რაც უფრო მეტ წარმატ სიტყვებს იხმარს ის, მით უფრო სწრაფად მიიზიდავს გულუბრყვილო მამენელს. ასე დაგემართათ თქვენც: აიეტი რომ მაცდურსა და შემპარავ სიტყვებს მოგახსენებდათ, ვერც კი შეამჩნიეთ, როგორ მოტყუედიტ. სხვა თუ არაფერი, ის კი მაინც ნათლად უნდა შეგემჩნიათ, რომ მან იმთავითვე წამოაყენა სულ სხვა საკითხი, სრულიად განსხვავებული იმ საკითხთაგან, რომელთა გამოც ჩვენ აქ მოვსულვართ. მისი სიტყვებით ისე გამოდის, თითქოს თქვენ ყველანი ამტკიცებდეთ, რომ მომხდარი ამბავი არ იყოს საშინელება, რომ ამ საზიზღარ მკვლელობას არა ჰკიცხავდეთ და მხოლოდ იმის შესახებ მსჯელობდეთ, დამნაშავენი არიან თუ არა გუბაზის მკვლელები: თვითონ კი მკვლელობის დანაშაულს არ ებება და უამრავ სიტყვას ხარჯავს იმაზე, რაც ცნობილია. მე კი ვამბობ, რომ წყეული და შეჩვენებული არიან ისინი და რომ მე უდიდესი სიამოვნებით ვუყურებდი მათ საშინელ სასჯელს, ვუყურებდი არა მარტო იმათ დაღუპვას, რომელთაც განგმირეს. გუბაზი და საკუთარი ხელებით ჩაიღინეს ეს მკვლელობა, არამედ ყველა იმათაც, რომელთაც შეეძლოთ შეეფერხებინათ ეს მკვლელობა და არ შეაფერხეს, და აგრეთვე იმათ-

საც, რომელთაც ეს მკვლელობა გაეხარდათ და არც თუ ისე აღშფოთლდნენ, თუმცა მე ამას ვფიქრობ, მაგრამ სპარსელების მხარეზე გადასვლა, მაინც არ იქნება სასარგებლო: არავინ არ მიიჩნევს საკიროდ მივიღოთ და გავიზიაროთ ის აზრი, თითქოს თუ იმათ (რომაელებმა) ჩაიდინეს უკანონობა, აუცილებელი იყოს ჩვენც გამოვეთხოვოთ მშობლიურ წესებს და იმ ვერაგებს კი არ გამოვუცხადოთ ჩვენი გულისწყრომა, არამედ თვითონ მოვიპოვოთ ამგვარივე სახელი. ეხლა აღარ არის საჭირო, იმაზე ფიქრი, რაც მოხდა და დასრულდა და უკვე აღარ შეიძლება დაბრუნებულ იქნას (თითქოს არ მომხდარიყოს); ნუ აყუყუბით. მსჯელობის დროს, მოწოლილ ბოლმას და გულის ტკივილს, რომ არ დავკარგოთ მოსაზრების უნარი და დავაბუნდოვანოთ ჩვენი მსჯავრი: შევიწინააღმდეგოთ უნარი უკეთესის არჩევისა. გამოვიჩინოთ ჩვენი მწუხარება, რამდენადაც ეს საჭიროა იმის დასამტკიცებლად, რომ დაუდევრობას არ ვიჩენთ, და მოვისაზროთ მომავლისათვის, თუ როგორ მოვაგვაროთ საქმეები უფრო უკეთ. უგუნური ადამიანები სულ მუდამ დასტირიან განვლილ უბედურებას, ხოლო გონიერნი შეიცნობენ ხოლმე ბედის უკუღმართ ტრიალს და მათ არ აშფოთებს ცვლილებები, და, როდესაც წინანდელ მდგომარეობას ჰკარგავენ, არ ისპობენ მომავლის იმედებს.

მაგრამ ეს მრჩეველი (აიეტი), რომელიც დიდი ხანია მიდიელების მომხრეობას იჩენს და მოწადინებულია. ჩვენც გადავიყვანოს მათ მხარეზე, ცდილობს შეგვაშინოს, თითქოს ბავშვები ვიყუვეთ და გვიმტკიცებს რომაელები არ იკმაყრებენ იმას, რაც გაბედეს, კიდევ მეტი უბედურება მოგველისო. ამბობს იმასაც, რომ მათ დიდი გაიძვერა მეფე ჰყავთ, რომელიც თვითონ არის ამ მკვლელობის სულის ჩამდგმელი; დიდი ხანია ეს მკვლელობა მომზადებული და მოფიქრებული იყო. ამას ამბობს ის და აქებს და აღიდებს სპარსელებს: ის ფიქრობს, რომ ამ გზით დაგვარწმუნებს ჩვენ და ჩვენც ეხლავე საკუთარი ფეხით ვეახლებით ამ აშკარა მტრებს და ხვეწნას დაუწყებთ. ამ მიზნისათვის ხმარობს ის ყოველგვარ საშუალებას; იმთავითვე იღწვის და ცდილობს იმისათვის. რომ განახორციელოს ის, რაც მას განზრახული აქვს, მოუფიქრებლად გვიდგენს გეგმებს, არღვევს და ანგრევს კრების წესრიგს და ამ კრებას მიზანს უკარგავს. კრება ხომ, ჩვეულებრივ. წინასწარ იხილავს მუდამ და მსჯელობს, რომ კარგად გასინჯოს ის, რაც არ არის ნათელი, ხოლო როგორც კი მიაგნებს იმას, რისი გა-

კეთებაც არის საჭირო, მაშინ გემართებს გამოვიჩინოთ სურვილი და შევასრულოთ დადგენილება. ამან კი ბოლო თავში გადაიტანა. და ვიდრე ჩვენ საბოლოოდ რასმე გადაწყვეტდეთ, ის უკვე შეუდგა შესრულებას. რაღა აზრი აქვს კრებას, თუ ჯერ დადგენილება იქნება და მერე კრება? თქვენ კი, კოლხებო, არასდროს არ უნდა დაუკავშიროთ თქვენი აზრები გარეშე მოსაზრებებს, უნდა უყუროთ ერთს რომელიმე წინდასახულ მიზანს და ისე წარმართოთ თქვენი მსჯელობა. განა შესაძლებელია ვითარების შეტრიალება ძალით და მისი ისე მოქცევა როგორც გვესიამოვნება? თქვენ, პირიქით, სხვა წესს უნდა მისდიოთ: წმინდა და დამოუკიდებელი მსჯელობა იხმაროთ ისე, რომ ზედმიწევნით გაარჩიოთ საქმე და დაადგეთ იმ გზას, რომელიც სასარგებლო იქნება. თუ ჩვენ ასე ვიმსჯელებთ, მაშინვე ცხადი გახდება, რომ არც რომაულ რაზმებს, არც სტრატეგოსებს, საერთოდ აღებულს, მით უმეტეს არც მათ მეფეს არ მოუწყვიათ შეთქმულება კუბაზის წინააღმდეგ, ხომ თვით მათ შორისგვა გავრცელებული ხმები და ერთხმად აღიარებული, რომ რუსტიკე და მარტინე, რომელთაც შურდათ მისი წარმატება, აპყენენ თავიანთ ბოროტ ზრახვებს და დანაჩენი სარდლები არა თუ მათ არ ეხმარებოდნენ, არამედ აშკარადაც სწუხდნენ. უმართებულო იქნებოდა, ჩემის აზრით, და ამასთანავე ერთად, მიზანშეუწონელიც, ერთი ან ორი კაცის დანაშაულის გამო, შევსწყრომოდიოთ საზოგადოებრივ კანონებს. რომელთა დაცვა აკვილია თავზე, და ასე იოლად შეგვეცვალოს მთელი სახელწიფო წყობილება და ცხოვრება, რომელსაც მშვენივრად შევუგუეთ, იმათ მიმართ კი, რომლებიც ამ ქვეყანას სდარაჯობენ და მრავალნიარ ზიფათში ვარდებიან იმის გულისათვის, რომ ჩვენ უდარდელი ცხოვრება მოგვანიჭონ, გამცემლები გამოვსულიყავით. ყველაზე უფრო უწმიდური საქმე ის იქნება, რომ ასეთი საქციელით ჩვენ შევბღალავთ მართლმორწმუნეობასა და წმინდა საიდუმლოთა უმწიკვლობას. აბა, სხვა რას დაემსგავსება ჩვენი საქციელი, თუ მივემხრობით უზენაესი არსების სასტიკ მტრებს? თუ ისინი აგვიკრძალავენ ჩვენი საღმრთო წესების შესრულებას და თავიანთ წესებზე გადაგვიყვანენ, ამაზე უფრო სამძიმო რა უნდა განვიცადოთ ჩვენ, რომლებიც ცოცხლები ვიქნებით და ამავე დროს მკვდრებიც? რას მოვიგებთ იმით, რომ, ვთქვათ, სპარსეთი შევიერთოთ და სულელები კი წავიწყმიდოთ? რომ კიდევაც ნება დაგვრთონ და ჩვენ ნებაზე მოგვიშვან, სულ ერთია, — მაინც არ ექნებათ ჩვენ მიმართ

კეთილი განწყობილება და ნდობა: მათი მოპყრობა ჩვენდამი ვერაგული და არასაიმედო იქნება და მარტოოდენ სარგებლიანობის თვალსაზრისით გამოანგარიშებული. ადამიანები ვერ იწყნარებენ ხოლმე აზრთა სხვადასხვაობას და ნაშინაც კი, როდესაც გაკირვება ან რაიმე, მოპირდაპირის მიერ ჩადენილი კეთილი საქმე აიძულებს მათ კავშირში ყოფნას, მათ შორის ნდობა არაადროს არ არის მტკიცე; ეს შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ შორის აზრთა ერთიანობაა. თუ ვინიცობაა ეს ერთიანობა არ არსებობს, მათი დაახლოება და მეგობრობა ცარიელი სიტყვაა: საქმით ისინი ერთმანეთისათვის უცხონი რჩებიან. ჰოდა, აბა რის გულისათვის უნდა გადავიდეთ, კოლხებო, სპარსელების მხარეზე, თუ კი ისინი მაინც ჩვენ მტრებად დარჩებიან და ასეთ ვითარებაში მხოლოდ ის და გვექნება, რომ ისინი უფრო ადვილად მოგვაცენებენ ვნებას, ვინაიდან ფარული მტრისაგან უფრო ძნელიათვის დაცვა, ვიდრე აშკარასაგან? მაგრამ, ვთქვათ, თუ გნებავთ, რომ ეს საქციელი არც უსამართლო იქნება და არც არასაკადრისი, და დავუშვათ, რომ სპარსელები თავისი ხასიათით მტკიცენი და სანდონი არიან და ჩვენთან დადებულ პირობებს ყოველთვის შეასრულებენ. ესეც რომ მივიღოთ, და, მაშასადამე, აღარაფერი დაბრკოლება აღარ გვედობებოდეს, მაინც ჩვენი ძალები საკმარისი არ იქნება იმისათვის, რომ ჩვენი განზრახვა სისრულეში მოვიყვანოთ და სპარსელების მხარეზე გადავიდეთ. როგორ შევძლებთ სხვის მხარეზე გადასვლას, როდესაც თავზე გვადგანან. რომაელები, რომელთაც ამდენი ვაჟკაცი ჰყავთ დარაზმული საუკეთესო სტრატეგოსების ჯელმძღვანელობით? როგორღა შევძლებთ საქმიონელი სასაჯელის თავიდან აცდენას, როდესაც ისინი, რომლებმაც უნდა აღმოგვიჩინონ დახმარება, ჯერ კიდევ შორს, იბერიისაში აყოვნებენ და ზღაპრით მოიწვევენ წინ, ხოლო ისინი კი, რომელთაგანაც სასაჯელს უნდა ველოდეთ, მთელ ამ ქვეყანას ფლობენ და ჩვენ ქალაქებში ცხოვრობენ?

მართალია, ეს საბელოვანი კაცი გვიმტკიცებს, რომაელები ჩვენ იერიშს ვერ გაუძლებენო, და საბუთად მოპყავს ამას წინათ მომხდარი შემთხვევა. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ბრძოლის შედეგები უთუოდ განსაზღვრულ პირობებს არ ექვემდებარება და რომ, ვინც ეხლა შემთხვევით დამარცხება განიცადა, მუდამ იმნაირივე უბედურების ლუკმა არ იქნება? პირიქით, ხშირად გამარჯვება ბედის უკუღმართობას გამოასწორებს ხოლმე და დამარცხებულებს

ხედება წილად. ამიტომ ჩვენ იმ იმედით, რომ რომაელები ამიერიდანაც ყოველთვის დამარცხებულნი აღმოჩნდებიან ბრძოლებში. არ გვმართებს ზომიერ მეტად ვიყოთ დამშვიდებულნი. რომ ისინი დამარცხდნენ მხოლოდ იმის გამო, რომ კარგად არ მოიფიქრეს ის, რაც საჭირო იყო, ჩვენ ეს უნდა გამოგვადგეს კარგ მაგალითად და წინასწარი ზომები მივიღოთ, რათა მოუფიქრებლობის გამო ხიფათი არ შეგვემთხვეს; და, რასაკვირველია, აქედან ჩვენ ის დასკვნა არ უნდა გამოვიტანოთ, რომ ადვილად ვაჯობებთ მათ. ხომ საფიქრებელია, რომ, რახან წინათ შეცდომები დაუშვეს, გამოცდილებით ისწავლიდნენ, თუ რას უნდა ერიდონ, და ამიერიდან იზრუნებენ, რომ შეცდომა გამოასწორონ. ხოლო თუ მათ ღვთაება უწყობდა ამ საზიზღარი მკვლელობის ჩადენისათვის და ამით აიხსნება მათი უბედურება, რაღა საჭიროა ჩვენც არ მივეშველოთ ღვთაებას, თითქოს მსჯავრის დასადებად მას თავისი ძალა არა ჰყოფნიდეს და ჩვენ დახმარებას საჭიროებდეს? რა საქციელის ჩადენის შესაძლებლობადა დარჩება სხვებს, თუ ჩვენ გადადგომით ვუპასუხებთ რომაელთა იმ წყალობას, რომელიც გვიცავს ჩვენ. როგორც საჭიროა და რომლის მეოხებითაც ჩვენ მშვიდად ვცხოვრობთ? ამიტომ, ნურავინ ნუ ცდილობს წარმოგვიდგინოს აქ მიცვალებული გუბაზი სრულიად არა ვაჟკაცურად მოტირალი, რომელიც თითქოს თავის ქრილობას უჩვენებს თვისტომთა და ევედრება მათ შეიბრალონ იგი. იქნებ ეს შეეფერებოდეს საცოდავ და სუსტ არსებათ, მაგრამ ეს არ შეეფერება მეფეს, ისიც ლაზთა მეფეს, მით უმეტეს გუბაზს. ის რომ აქ იყოს, უეჭველია, ის, როგორც ღვთისნიერი და გონიერი ადამიანი, გავკიცხავდა ჩვენ ამგვარი ზრახვებისათვის; მოგვიწოდებდა არ მივეყვოდით სასოწარკვეთილებას და გულაჩუყებას, და მონების მსგავსად, კი არ გავქცეულიყავით, არამედ აღვჭურვილიყავით კოლხის თავისუფალი შეგნებით, ვაჟკაცურად აგვეტანა უბედურება და არაფერი სამარცხვინოდ და მამა-პაპური წესების შემბილწველი არ ჩაკვედინა, არსებულ მდგომარეობაში დავრჩენილიყავით და იმედი გვქონოდა, რომ უზენაესის თვალი არ მოაკლდება ერს. ნუთუ რამენაირად დასაჯებელია, რომ გუბაზი, რომელსაც ძალადობამ მოუსპო სიცოცხლე, ყველაფერს ამას შესაწყინარებლად სთვლის. ხოლო ჩვენ, რომლებიც მას სიყვარულით ვეპყრობით, წინააღმდეგ ვფიქრობთ? მაგრამ მე მეშინია, ვაი თუ მხოლოდ იმის გამოც, რომ ასეთი რამ გავფიქრეთ და განვიზრახეთ, უდიდესი სასჯელი მოგ-

ვეზლოს. თუ ჩვენ შევეუდგებით გადადგომას ისეთი იმედებით, რომლებიც ბუნდოვანია და გულისხმობენ საქმის წარმართვისას სასწორის ან აქეთ ან იქით გადახრას, მაშინ ხომ საშინელება იქნება ასეთ გადამწყვეტ წუთებში მხოლოდ ბედზე ცყოფილიყავით დამოკიდებული; ან და, იქნება, იმათ, ვინც ეს გზა აირჩია, უფრო გაბედულად შესძლონ ამ სამარცხვინო საქმის შესრულება. ხოლო თუ ეს ბოროტება წინასწარ უკვე ყოველმხრით ნათელია, ნუთუ ზიზღის ღირსნი არ არიან ისინი, ვინც ეს გაფიქრებინათ? როგორ განვთავისუფლდეთ ამათგან, მე უკვე საკმაოდ ვილაპარაკე. მე იმ აზრისა ვარ, რომ საჭიროა რომაელთა მეფეს ვაცნობოთ მომდარი აზრები, რათა იგი სათანადოდ მოეპყრას იმათ, ვისაც ამ მკვლელობაში მთავარი დანაშაული მიუძღვის, და თუ ის ამას იზამს, ამიერიდან მოისპობა ჩვენი უთანხმოება რომაელებთან: კვლავ ერთად ვილაშქრებთ, ძველებურად ერთად გავწევთ ცხოვრების ქაპანს. თუკი ის უარყოფს ჩვენ თხოვნას, მაშინ უნდა მოვითათბიროთ, მიზანშეწონილი იქნება თუ არა მეორე გზას დავადგეთ. თუ ასე მოვიქცევით, იმასაც დავამტკიცებთ, რომ ცხონებული გუბაზი არ დავვიფიწყნია, და იმასაც, რომ საქმეებს მოფიქრებით ვავარებთ და არა წინდაუხედავად⁶⁶.

ფარტაზის აზრმა გაიმარჯვა და სრულიად სამართლიანადაც. რადგან არ არსებობს არავითარი საბუთი, ვიფიქროთ, რომ გუბაზის მკვლელობა, მართლაც, ბიზანტიელი წინდაუხედავი სარდლების პირადი ბოროტმოქმედების საქმე არ იყო უმთავრესად. შეუძლებელია, ამ ბოროტმოქმედებაში ბიზანტიის უძალესი ხელისუფლება აშკარად და შეგნებულად გარეული ყოფილიყო. მართალია, ჩვენ გვაქვს მაგალითი, როდესაც სპარსეთის მეფემ განიზრახა გუბაზის მოკვლა, და სხვა პირობებში ეგების ბიზანტიისათვისაც ხელსაყრელი იქნებოდა ისეთი ძლიერი პიროვნების გზიდან ჩამოშორება როგორც გუბაზი იყო, მაგრამ მას შეეძლო, რაც გუბაზმა მთელი თავისი სიმამაცე, ბიზანტიელთა მხარეზე, ირანელების წინააღმდეგ ბრძოლას შეაღწია, — ძლიერ საეჭვოა, რომ ბიზანტიის მთავრობას ასეთი საიმედო მკლავი საკუთარი ხელით მოეკვთა. ბიზანტიელებმა ისიც კარგად იუოღნენ, რომ ლაზიკას მხოლოდ ლაზებთან კეთილგანწყობილების ნიადაგზე შეიძინა ჩუნიზდენეშ... თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იუსტინიანეს აჩქარება, რითაც მან გუბაზის მოკვლის დასტური მისცა, სიმპტომატურია. მაგ-

⁶⁶ გეორგია, III, გვ. 72—81.

რამ ამ შემთხვევაში იუსტინიანეს სჯეროდა თავისი ჯარის სარდლებისა და ვერ წარმოედგინა, რომ სარდლები მის დასტურს ან ვერაფერად გამოიყენებდნენ. იუსტინიანე ფიქრობდა, რომ სარდლები სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად მოქმედებდნენ და მამასადამე, გუბაჯს ადვილად არ მოიშორებენ თავიდან. თუკი ეს უკიდურესმა საჭიროებამ არ მოიპოვავა.

ჯათეს დანიშვნა ლაზთა მეფედ

რაკი ლაზებმა კვლავ ბიზანტიური ორიენტაცია აძეობინეს: „...ერის წარჩინებულმა და კეთილშობილმა კაცებმა აცნობეს იუსტინიანე მეფეს ის, რაც გუბაჯის გარშემო მოხდა“⁶⁷. მათ აცნობეს ბიზანტიის მთავრობის შესვეურს, რომ გუბაჯი არასოდეს სპარსელების მომხრე არა ყოფილა და არც რომაელების წინააღმდეგ რამე განუზრახავს; რომ მხოლოდ სარდლებმა რუსტიკემ და მარტინემ შეთხზეს მის წინააღმდეგ ბრალდება, რადგან იგი ხშირად ამბელდა მათ შეცდომებს.

დიდებულებმა სთხოვეს იუსტინიანეს, დაუსჯელად არ დაეტოვებინა ეს ბოროტმოქმედება და ლაზებს კი მეფედ დაუნიშნოს: „...წათე, გუბაჯის უმცროსი ძმა, რომელიც ამჟამად ბაქანტიაში ცხოვრობს, რათა დაცულ იქნას მამა-პაპური წესი და ძველი სამეფო გვარი შეურყენელი დარჩესო“⁶⁸.

იუსტინიანემ არ დააყოვნა ლაზთა თხოვნის შესრულება.

ჯერ ერთი გამოიგზავნა ლაზიკაში ბიზანტიის „ერთი პირველკაცთაგანი დარბაჯის შესაკრებელისა“, სახელად ათანასი, რომელსაც დაეველა გუბაჯის მკვლელობის საქმის გამოკვლევა და გარჩევა. მაგრამ ეს მაშინვე ვერ შესრულდა, რადგან ამ დროს დასავლეთ საქართველოში მოვიდა ირანელი სარდალი მერმეროე, შეკრიბა ჯარები და შეუდგა დიდი ლაშქრობისათვის მზადებას.

მეორეც, იუსტინიანემ ლაზების მეფედ დანიშნული წათე სამშობლოში გამოისტუმრა. ამაზე პირველწყარო მოგვითხრობს: „წათეც დაბრუნდა ბიზანტიიდან სტრატეგოს სოტერიქესთან ერთად; რომელთა მეფისაგან მიეღო მას, როგორც ეს ძველთაგანვე დაწესებული იყო, მამა-პაპის სახელო და სამეფო ნიშნები. ეს ნიშნებია: ოქროს გვირგვინი, თვალმარგალიტით შემკული; კოკება-

⁶⁷ გეორგიკა, III, გვ. 81.

⁶⁸ იქვე, გვ. 82.

დე გრძელი კიტონი, ოქრომკედით მოქარგული; მიტრა, აგრეთვე ოქროთი და თვლებით შემკული, და წითელი წაღები. ძოწეული ქლამიდის ტარების ნება კი არა ჰქონდათ ლაზთა მეფეებს, მხოლოდ თეთრისა შეეძლოთ; არც სრულიად საყოველთაოა ის და ჩვეულებრივი, შუაში ორივე მხრით ოქროს ქსოვილით არის აღაპლაპებული. მეფურია ქლამიდის აბზინდიც, თავისი აკინძული თვლებითა და სხვა მორთულობით“⁶⁹.

სამეფო სამოსელში გამოწობილმა წათემ რომ ფეხი შედგა თავის ქვეყანაში, მას წინ მიეგებნენ ბიზანტიელი სარდლები ჯარითურთ და სათანადო პატივით წინ წაუძღვნენ საუკეთესოდ შეიარაღებულნი და მეტ წილად ცხენებზე მჯდომარენი. ლაზები კი, გახარებულნი „მიაცილებდნენ მას ჩამწკრივებულნი: ყოველგნით საყვირების ხმა ისმოდა და დროშები იყო მადლა აფრიალებული. ზემი იყო მეტად ბრწყინვალე და აღზევებული... ამრიგად, წათე ჩაუდგა სამეფოს სათავეში, შეუდგა ამიერიდან საქმეების მოწესრიგებას და უფლიდა თვისტომთ როგორც მას სურდა და როგორც მას მამა-პაპური წესი უყარნახებდა“⁷⁰.

თუ წყაროს ცნობას დაეჯერება, წათეს საკუთარი ქვეყნის მართველობა დაუწყია სრულიად დამოუკიდებლად. მამა-პაპათა წესებზე. ეს, შეიძლება, იმას ნიშნავდეს, რომ გუბაზის მკვლევობასთან დაკავშირებულ ამბებიდან ბიზანტიელებს სათანადო დასკვნები გამოუტანიათ. ისინი მიმხვდარან, რომ ლაზების თავიანთ

⁶⁹ გეორგიკა, III, გვ. 84—85.

ზედმეტი არ იქნება აქვე გავცნოთ ლაზთა უფლისწულის წათეს სამეფო ტანისამოსსა და სამკაულს, რომელსაც აღწერს თავის „ქრონოგრაფიაში“ ბიზანტიელი ჟამთააღმწერელი იოანე მალალა. იმასთან დაკავშირებით, რომ 522 წელს ხსენებული უფლისწული ჩავიდა ბიზანტიის დედაქალაქ კონსტანტინეპოლში, რათა, ბიზანტიასა და ლაზიკის შორის არსებული ურთიერთობა-დამოკიდებულების ტრადიციის თანახმად, იუსტინე მეფისაგან მიეღო ლაზიკის სამეფო გვირგვინი ი. მალალა გვაუწყებს, რომ წათე წავიდა: „თავის საკუთარ ქვეყანაში დაგვირგვინებული რომაელთა მეფის იუსტინეს მიერ, მას ემოსა რომაული სამეფო გვირგვანი და თეთრი აბრეშუმის ქლამიდი, რომელსაც ძოწეული ზოლის ნაცვლად ჰქონდა ოქროს სამეფო ზოლი, სადაც შუაში სურათი იყო თვით იუსტინე მეფის გამოსახულებით; აგრეთვე თეთრი სტიქარი—პარაგავდი, ამასაც ჰქონდა სამეფო ოქრომკედები, იმნაირადვე, თვით მეფის გამოხატულებით: წაღები, რომელთაც ატარებდა, თავისი საკუთარი ქვეყნიდან ჩამოეტანა და მარგალიტებით იყო შემკული“.

⁷⁰ გეორგიკა, III, გვ. 85

მხარეზე შენარჩუნება შეეძლოთ მხოლოდ იმით, თუ ბიზანტიელები ხელს აიღებდნენ ლაზთა პოლიტიკური უფლებების შებლაღვაზე და საერთოდ, მათს შევიწროვებაზე; საჭირო იყო ლაზების მიმართ ლმობიერი პოლიტიკის გატარება. ბიზანტიელები, უთუოდ, უცდილობდნენ გამოეწროებინათ თავიანთი "მეცოდმა," რაც მათ გუბაზის მკვლელობასთან დაკავშირებით ჩაიდინეს, თუნდაც იმით, რომ თავიანთი უყურადღებობით და დაუდევრობით მშესაძლებელი გახადეს ასეთი ბოროტმოქმედება. ბიზანტიის ხელისუფალთ არ შეეძლოთ არ გაეწიათ ჯეროვანი ანგარიში იმ კრიტიკისათვის, რომელიც მათ მიმართ ლაზთა სახალხო კრებაზე გაისმა აიეტის სიტყვის სახით. განსაკუთრებით უნდა დღაფიქრებინა ბიზანტიელები იმას, რომ ლაზებთან მტრული დამოკიდებულების შემთხვევაში, მათ, ბიზანტიელებს, როგორც აიეტი ამბობდა: "...მოუხდებათ ბრძოლა ერთსა და იმავე დროს ლაზებთან და სპარსელებთან, ისიც მტრის მიწაწყალზე".

ბიზანტიელების მხრივ ლაზთადმი ლოიალურმა პოლიტიკამ უზრუნველყო მათ შორის შედარებით გულითადი დამოკიდებულება, რამაც განაპირობა მათი შეერთებული ძალებით მოქმედება სპარსელთა წინააღმდეგ. ბიზანტიელთა და ლაზთა ამ შეთანხმებულმა მოქმედებამ ფეხი ამოაკვეთინა სპარსელებს ლაზიკიდან. აგათიას თქმით: "...ხოლო იმ აზრს დაადგა, რომ ის ვერ შეაძლებდა კოლხიდაში ფეხის მოკიდებას რომაელების წინააღმდეგ, რომელთაც ეპყრათ ზღვის სანაპირო ადგილები⁷¹".

გუბაზის მოკვლის შემდეგ ლაზიკაში ბიზანტიელებსა და ირანელებს შორის ბრძოლა არ შეწყვეტილა. ლაზიკის მრავალ ადგილას ორივე მხრით სისხლი უხვად იღვრებოდა. ირანელები ყველგან სასტიკად მარცხდებიან. ლაზთა და ბიზანტიელთა ერთობლივად მოქმედების შედეგად, როგორც ბიზანტიამ, ისე ირანმა მრავალი ენერგია და მატერიალური საშუალება შეაღწიეს ლაზიკისთვის ბრძოლას. მაგრამ განსაკუთრებით ირანისათვის იყო ომი მძიმე, რადგან სწორედ მაშინ, როცა ბრძოლა მის გადამწყვეტ სტადიაში შევიდა, ლაზებმა მას ზურგი აქციეს და საკმე გაურთულეს, ბიზანტიას კი, პირიქით, თავისი დახმარებით საკმე გაუადვილეს. განცდილი მარცხის შედეგად, ირანელები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ლაზიკაში მათი საკმე წაგებულა. ხოსრო დარწმუნ-

და, რომ ბიზანტიელების დამარცხება, რომლებიც ლაზიკაში ასეთი უპირატესობით სარგებლობენ, შეუძლებელია, და მან ლაზიკის დაპყრობაზე ფიქრს თავი მიანება. ირანმა ველარ მოახერხა ბედის შემოტრიალება, მან ველარ გატეხა ლაზების ბიზანტიელები-საკენ მისწრაფება. ირანის დამარცხებაში და მათ მიერ ლაზიკის მიმართ აგრესიის ხელის აღებაში დიდი დამსახურება თვით ლაზებს მიუძღვით... თუმცა აქ სხვა ფაქტორიც დაერთო: ირანელებს გამოუჩნდათ ახალი მტერი თურქების სახით, რამაც შეანელა მათი ექსპანსია ამიერ-კავკასიის ქვეყნებისაკენ.

გუბაზ მფვის მკვლელთა გასამართლება და მათი დასჯა

გუბაზის მოკვლის გამო ბრალსა სდებდნენ ბიზანტიელთა ჯარის სარდალს რუსტიკესა და მის ძმას იოანეს. ამიტომაც ბიზანტიიდან მსაჯულად გამოგზავნილმა ათანასიმ, მოვიდა თუ არა ლაზიკაში, რუსტიკე მაშინვე ქალაქ აფსარუნტში გაგზავნა და სატუსალოში ჩაანწყვდივინა. რუსტიკეს ძმა იოანე, რომელმაც იუსტინიანეს ზემოთ ხსენებული წერილი გამოსტყუა გუბაზის შესახებ, და რომელმაც საკუთარი ხელით მოკლა გუბაზი, ცდილობდა მიმალვით ეშველა თავისთვის და გაქცეოდა სამსჯავროს. მაგრამ თვით მზაკვარს ბედიც მზაკვრულად მოექცა, როდესაც იოანე დასამალად მიემგზავრებოდა საითყენდაც, იგი წააწყდა ერთ-ერთ იმ მოხელეს, სახელად მეტრიანეს, რომელიც ჩხვებთან ერთად, თან მოყვანა მსაჯულ ათანასის, სასამართლო პროცესთან დაკავშირებულ საქმეში დასახმარებლად. მეტრიანემ შეპყრობილი იოანე ათანასის მიჰგვარა. ამან კი ესეც აფსარუნტის საპყრობილეში ჩასვა ბორკილგაყრილი.

ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის ლაზიკის მიწა-წყალზე წარმოებულმა ბრძოლებმა ერთხანს დააყოვნა გუბაზის მკვლელთა გასამართლების საქმე, მაგრამ ბრძოლები რომ შენელდა, მსაჯული ათანასი შეუდგა თავის საქმეს.

იგი დაჯდა მალალ სავარძელზე. მას თან ახლდნენ „კაცი, რომელთაც იცოდნენ სწრაფი წერა და დაწერილის წაკითხვა სხვა-სხუპით. იყვნენ აგრეთვე სხვა მოსამსახურეებიც, მკაცრი და ამყინი და სასამართლოს ხლართების საუკეთესო მცოდნენი, ბოხხმინი მაუწყებელნი და გამამათრახებელნი“⁷².

⁷² გეორგიკა, III, გვ. 125.

ყველა ეს მოხელენი ბიზანტიიდან იყვნენ გამოგზავნილი.

ბიზანტიის მთავრობამ ეს სასამართლო პროცესი საგანგებოდ მოაწყო, როგორც საჩვენებელი პროცესი, რომელსაც ერთი მხრივ ბარბაროსების წინაშე უნდა მოეხდინა ბიზანტიური მართლმსაჯულების დემონსტრაცია საერთოდ. მეორე მხრივ, ეს იყო გაკეთებული, ლაზების გულის მოსაგებად, რომელნიც მეტისმეტად გაღიზიანებული იყვნენ ბიზანტიელ სანხედრო მოხელეთა საქციელით. ბიზანტიის ხელისუფალთ სურდათ ეჩვენებინათ, რომ პატივს სცემდნენ ლაზებსა და მათ მოკლულ მეფეს, რასაც დამტკიცებდნენ დამნაშავეთა დასჯით, თუკი მათი დანაშაული სასამართლოზე დადასტურდებოდა. თუ „ისინი გამტყუნებული იქნებოდნენ, მათ შუა ჯარში ჩაატარებდნენ მათუწყებლის თანხლებით, შემდეგ ყველას თანდასწრებით თავებს მოჰკვეთდნენ სასიკვდილო მახვილით“⁷³.

ამით უნდა მომხდარიყო ბიზანტიის მთავრობის რეაბილიტაცია.

სპეციალურმა მოხელეებმა, რომელთაც ეს დავალებული ჰქონდათ, მოითანეს ჯაჭვები კისერზე დასადებად, აგრეთვე ბადესაკრავები და ბორკილები და სხვა იარაღები საწამებლად.

რუსტიკე და იოანე შოიყვანეს სატუსალოდან და როგორც ბრალდებულნი მარცხნივ დააყენეს, მეორე მხარეზე კი დადგნენ ბრალმდებელნი „დარბაისელი კოლხები, რომელთაც უკვე კარგა ხანია შეესწავლათ ელლინთა ენა“⁷⁴.

როგორც ჩანს, ბრალმდებელნი ლაზიკის სამეფოს სახელით გამოდიოდნენ.

ბრალმდებლებმა, პირველ ყოვლისა, მოითხოვეს სასამართლო პროცესზე წაკითხული ყოფილიყო იუსტინიანეს ის წერილი, რომელიც ბრალდებულმა იოანემ ჩამოუტანა მარტინესა და რუსტიკეს და რომელიც ზემოთ იყო მოყვანილი. მსაჯულის ბრძანებით, საგანგებოდ მოხელემ წერილი შემამალლა წაიკითხათ.

ამის შემდეგ, ბრალმდებელთ გამოეცხადათ, რომ მათ შეუძლიათ წარმოადგინონ თავიანთი ბრალდებები. მათაც წარმოსთქვეს ვრცელი სიტყვა, რომელშიაც ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ გუბაზი სრულიად უდანაშაულო იყო, რომ ბიზანტიელმა

73 იქვე, გვ. 126.

74 გეორგიკა, III, გვ. 127.

ჯარის სარდლებმა უსაფუძვლოდ დასწამეს მას ცილი სპარსელთა მომხრეობაში, რომ თვით იუსტინიანეც მოატყუეს და გუბაზი მზაკრულად მოკლეს. მიუთითებდნენ, რომ საჭიროა, დამნაშავეს ჯერ ბრალდება წარედგინოს და მისი დამტკიცების შემდეგ, დაისაჯოს. გუბაზს კი, სარდლებმა ჯერ განაჩენი გამოუტანეს და მერე ბრალდება წარუდგინეს და ბრალსა სდებენ მოღალატეობაში ახლა, როდესაც მას აღარ შეუძლია თავი იმართლოსო. განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი იმას, რომ სარდლებმა ბოროტად გამოიყენეს იუსტინიანეს წერილი და იმის მაგიერ, რომ ის გუბაზისათვის ეჩვენებინათ, მათ იუსტინიანეც მოატყუეს, გუბაზია მიმართაც მზაკვრობა ჩაიდინეს, გვერდი აუარეს იუსტინიანეს სურვილს და წინააღმდეგ იმპერატორის მიერ მიცემული დავალებისა, საკუთარი სურვილის მიხედვით, დალუპეს მეფე გუბაზი.

კოლხეთის ისტორიის თვალსაზრისით, მრავალი მომენტია საინტერესო ლაზ ბრალმდებელთა სიტყვაში, ამიტომ სასარგებლოა მას მთლიანად გავეცნოთ.

მათ უთქვამთ: «ჩვენ რომ კიდევაც არაფერი ვთქვათ, მსაჯულო, თვით ჩადენილი ბოროტმოქმედება საკმარისია იმისათვის, რომ მის ჩამდენთ უდიდესი სასჯელი მიეზღოს. მაგრამ თქვენი კანონების მიხედვით, თვით აშკარა და უკანონო მოქმედებათა შესახებაც კი მიღებულია, რომ განაჩენი არ იქნეს გამოტანილი, სანამ საქმე არ იქნება გარჩეული სიტყვიერი პაექრობის საშუალებით, და ამიტომ ჩვენ შევუდგებით საქმის ვითარების განმარტებას. ამრიგად, ჩვენ მიერ შესრულებული იქნება კანონით დაწესებული, — თუმცა ჩვენი სიტყვა მარტივი და გაუმართავი იქნება, და შესაძლებელია, ჩადენილი ბოროტმოქმედების მნიშვნელობა მან ვერც კი გადმოგცეთ⁷⁵. რა გამართლება შეიძლება ვუპოვოთ იმათ, რომელთაც ისე

⁷⁵ ეს თავმდაბლობით არის ნათქვამი. აი, როგორ ახასიათებს ამ სიტყვას ნიკოლოზ კანდელაკი: «კოლხთა წარმომადგენლის საბრალმდებლო სიტყვა მწყობრი მეტყველებისა და თანამიმდევრული მსჯელობის იშვიათი მაგალითი. ის გამართულია მყარი და პირდაპირი ლოგიკური შეგნებით და განმტკიცებულია ზუსტად მიზანმიმართული ეფექტური არგუმენტებით. მთელი ქმნილება მკიდრად შეკრული და უხარვეზოდ შეერთებული ნააზრევია, რომლის იდეურ საყრდენს საზღვრავს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე სამართლიანი შურისსება. ამ შინაარსობლივ მხარეს სიტყვაში ძალას აძლევს გულგრილობის საფარველით შენიღბული შინაგანი გზნება, რომლის სინათლით შეფერილია ნაწარმოების გარეგნული სახე. აზრის, ფორმისა და დამაჯერებლობის პარამონიული შეთავსებითა და განუყოფელი ერთიანობით ხასიათდება ეს შორეული წარმო-

შეუპოვრად მოკლეს ასეთი დიდებული კაცი, თქვენი მეგობარი და მოკეთე, მოკავშირე ომიანობის დროს, უზენაესის შესახებაც თქვენ-ნაირად მოაზროვნე⁷⁶ და თქვენი წესების მიმდევარი, და რომელ-თაც უდიდესი მტრობა გამოიჩინეს თქვენ მიმართ, თქვენს მტრებს კი სამსახური გაუწიეს? მოკლული ხომ მეფე იყო, მსაჯულო, არა დაბალი გვარისა, და ვაჟკაცობით განთქმული, და რომელთა საქმე-ებისათვის მუდამ იყო მკვლევლებზე უფრო ერთგული.

უკუღმა დატრიალდა კოლხთა საქმეები და დაინგრა, განსაკუთ-რებით სახელმწიფო საქმეები თუმცა ჩვენ ქვეშევრდომი სახელმწი-ფოს ერთ, არაუმნიშვნელო, ნაწილს შევადგენთ, თქვენც აღარა გაქვთ თავისუფალი და ურყევი მდგომარეობა და საგრძნობლად დაგისუსტდათ საკუთარი ძალდონე. თუ სახელმწიფო ყოველმხრივ არ არის გამაგრებული და ერთა რომელიმე ნაწილში მოღუწებუ-ლია, ვეღარ იარსებებს წესიერად; პირიქით, ის თვის სახელწოდე-ბასაც ტყუილად ატარებს, ვინაიდან ის მოკლებულია თავისუფალი არსებობის საშუალებას.

რადგან ყველაფერ ამის ჩამდენი ისინი არიან, ამიტომ გეუბნებო-ან: ამ — თუმცა სამინელს — საქმეს კი ნუ უყურებთ, არამედ მხოლოდ ის განზრახვა უნდა გამოიკვლიოთ და მხედველობაში მი-იღოთ, რომლითაც ვხელმძღვანელობდითო; და უფრო ამჯობინებენ ზოგიერთი ბუნდოვანი — თითქოს სინამდვილის შესაფერისი — საბუ-თების საშუალებით, დაგისახონ თავისი მოქმედება, როგორც თქვენ საკეთილდღეოდ ჩადენილი, ვიდრე აღიარონ აშკარა ზარალი, საქმი-სთვის მიყენებული. ასეთ ტყუილებს ყბედობდნენ ისინი. ხშირად სასამართლოს დანიშვნამდე და ფიქრობდნენ, რომ ბევრს შეაცდენ-დნენ. თუ კი ისინი საქმის გარჩევის დროსაც ასეთსავე მოსაზრე-ბებს წამოაყენებენ, დე იცოდნენ მათ, მსაჯულო, რომ არც რომა-ელს და არც სამართლიანობას სჩვევია ასეთი ცხადი და აშკარად ჩადენილი უსამართლობა უყურადღებოდ დასტოვოს და თვი მო-ატყუებინოს ბუნდოვან მიზეზებს, რომლებიც უსაფუძვლოდაა მკვლევლების მიერ შეთხზული. შეუწყნარებელია ამის ატანა: თვი-

შობის ორატორული ძეგლი, რომელსაც თავისი ღრმა ბუნებრივი არსებისა და მაღალი ხელოვნური ოსტატობის წყალობით დღემდე არ დაუკარგავს დიდი მნიშე-ნელობა“. ნიკოლოზ კანდელაკი, ქართული კლასიკური მკვერმეტყველება. გვ-175—176.

76 აქ ბრალმდებელთ იმის თქმა უნდათ. რომ გუბაზი ქრისტიანი იყო. ისე-ვე, როგორც ბიზანტიელები.

თონვე აშკარად ამბობენ, რომ მოკლეს ის კაცი, და თანაც სტყუი-
ან, რომ ამით უდიდესი სარგებლობა მოუტანეს სახელმწიფო საქ-
მეს. როგორ თავსდება მათ თავში ეს წინააღმდეგობა, ან როგორ
შეგვიძლია ჩვენ, რომლებიც ამ საქციელს საზიზარს ვუწოდებთ,
შევაქოთ მისი ჩამდენი და ვთქვათ. რომ მისი მიზანი იყო სახელმწი-
ფოსათვის სარგებლობა მოეტანა? იმთავითვე ხომ სარგებლობა და
უკანონობა ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნებებს წარმოადგენენ, სი-
მბნეცე და სამართლიანობა ერთი მეორეს დაშორებული იყვნენ და
შეურევდნენ, მათი ერთად არსებობა არას დროს არ ყოფილა შესაძ-
ლებელი.

თუ კი მათ ზრახვებს გავაშიშვლებთ და გამოვიკვლევთ, აქაც
ისინი გამოჩნდებიან უბოროტეს მტრებად, სპარსელთა სასარგებ-
ლო განზრახვების მქონეებად, ასე რომ საკადრისიც არ არის ამსის-
ხლის მსმელებს რომაელების სახელით ვიხსენიებდეთ ან კეთილგა-
ნწყობილი ურთიერთობა ვიქონიოთ მათთან, როგორც თვისტომ-
ებთან; ისინი უნდა ჩავთვალოთ უკიდურეს მტრებად. რომლებიც
ჩვენგან გამოთიშა ბუნებრივ კანონმა, თუმცა ეს კანონი თქვენგან
ხელმოწერილი არ არის: მოწინააღმდეგესა და მტერს ხომ საქმის
მიხედვით გამოიცნობ ადამიანი და არა სიშორის მიხედვით. ცხადია,
მტრად უნდა ჩათვალო ის, ვინც იმას აკეთებს ხალისით, რაც მო-
წინააღმდეგეებს ესია მოვცებათ, თუნდაც ის შენთან ერთად ლაშქ-
რობდეს და ახლო ნათესაურ კავშირში იყოს შენთან. ეხლა: ისინი
ამბობენ, რომ მოკლეს არა მეგობარი, არა მეფე, არამედ მტერი, ტი-
რანი და სპარსელების მომხრე. კიდევ მეტი: ისინი ისეთ უსამართ-
ლობამდე მივიდნენ, რომ განსვენებულს აბრალდებენ მედიზმსაც⁷⁷:
საბრალო! სიკვდილის შემდეგაც ვერ განთავისუფლდა უბედურე-
ბისაგან და ახლაც, როდესაც მას აღარ შეუძლია თავი იმართლოს,
მოღალატეობაში ედება ბრალი. რომელი კანონი — თქვენი ან ბარ-
ბაროებისა — მოიწონებს ასეთ მდგომარეობას, რომ ჯერ განაჩენი
გამოუტანო ადამიანს და მერე წაუყენო ბრალდება? ისინი თვითონ
არიან მსაჯულებიც და ბრალმდებლებიც, ყველაფერი ერთად შე-
ასრულეს და საქმის გაურჩევლად, სრულიად უდანაშაულო კაცს ის-
ეთი სასჯელი არგუნეს, როგორიც შეეფერებოდა, მართლაც, ტირა-
ნობაში გამტყუნებულს. ახლა კი, როდესაც თავის გამართლება

⁷⁷ მედიზმი, ე. ი. სპარსელების მომხრეობა რაც ბიზანტიელებისათვის მათ
მიმართ ღალატს ნიშნავდა.

სკრდებათ, მოდიან და ბრალსა სდებენ უამართლოდ დასჯილ კაცს; სანამ მას მოჰკლავდნენ, საჭირო იყო, თუ კი ისინი დარწმუნებული იყვნენ ბრალდებათა სისწორეში, საქვეყნოდ მიეცათ ის სამართალში და თვით პირველნი გამოსულიყვნენ ბრალმდებლად და არა ისე, როგორც ახლა: როდესაც ისინი თვით ბრალდებულნი. საპასუხო პრალდებას აყენებენ. თუ ეს ყველასათვის ნებადართულია, რა გვიშლიდა ხელს ჩვენც საკუთარი ხელით დაგვეხოცნა ეს სისხლის მსმელები? ჩვენც, სამართალში მიცემულნი, მათ უკვე მიცვალბულთ, ბრალდებად წავუყენებდით მათ მიერ წინათ ჩადენილ შეცდომებს და ამით შევეცდებოდით, სრულიად სამართლიანად, სამაგიერო შეგვეცოდნა: ჩვენ ხომ ძალიან აღელვებული ვართ წინათ მათ მიერ აშკარად ჩადენილი საქციელით და სამართლიანად ვიძიებდით შურს! დავაც წესიერად წარიმართებოდა. მაგრამ არც ჩვენ, არც სხვებმა, ამგვარი რამ არ უნდა გავბედოთ, თუ სახელმწიფოს კანონებზე ვაპირებთ ცხოვრებას. წარმოიდგინეთ, თუ ყოველ მსურველს ასე ერთბაშად შეეძლება საკუთარი მტრების დახოცვა, ამგვარი საქციელის ხშირად ჩადენა მიგვიყვანდა უსაზღვრო თავხედობამდე, და როგორღა შეგრჩებოდათ თქვენ შესაძლებლობა თავისუფალი და დაუბრკოლებელი განსჯისა? ყველა რომ ქლეტას დაიწყებს და გაუღეტილი იქნება და თამამად მიმართავს ერთმანეთის წინააღმდეგ მახის დაგებას, თქვენ ველარ შესაძლებთ სასჯელის დადებას; უაზროდ დაიხოცება მთელი მოდგმა და გამოიბების საშუალებას წინასწარ მოსპობს იმათი უკანონო საქციელი, რომლებიც ყოველთვის სამაგიეროს გადახდას მიმართავენ.

თუმცა — ამბობენ ისინი—განა უბედურებაა ის, რომ ერთი კაცის, ისიც მოღალატის მოკვლით ყველა მოკავშირე უფრო გონიერად მოიქცევა? მოღალატეთა მართლაც, რომ დიდი რაოდენობა იქნეს მოსპობილი. თუმცა ამით სხვა არავითარი სარგებლობა არა აქვთ მკვლელებს, — მაგრამ თვით მოვლენა ამგვარი ხალხის დახოცვაა საკმაოდ სასარგებლოა. მაგრამ, თუ კი მიუხედავად იმისა, რომ მოღალატეობა დამტკიცებული არ არის, ერთბაშად აქრობენ და ჰკლავენ ერთ უღარესად წარჩინებულ კაცს, თითქოს ის აშკარა ბოროტმოქმედებაში დაექიროთ, რანაირად შეუწყობს ეს ხელს იმას, რომ მოკავშირეები თქვენ უფრო გონიერად მოგექცნენ? იქნება მათ უფრო ხელმეკრულებათა დაჩრდვევა დაიწყონ, რახან იფიქრებენ, რომ თქვენ ამ ბოროტმოქმედების მონაწილენი ხართ? ისინი დაასკვნინან. რომ, თუ თქვენნიანებისა და მახლობლებისადმი არ იჩინთ ღმრ-

ბიერებასა და სამართლიანობას. ძნელი საფიქრებელია, რომ ერთ-
გულნი დარჩებით უცხოელთა და გარეშეთა მიმართ, რომლებთანაც
მხოლოდ აუცილებლობის გამო გაქვთ ურთიერთობა. მაგრამ თქვენ
არ მიგიღიათ მონაწილეობა მკვლელთა გეგმაში, არც მთელ რომა-
ელ ერს მიეწერება ეს ბოროტმოქმედება, კერძოდ ჩადენილი ამათ
მიერ; ამათი ვერაგული საქციელი ვერც თქვენ შესახებ წინათ არ-
სებულ აზრს მოსპობს, სახელდობრ, რომ თქვენ ერთგულნი ხართ
თქვენი ქცევისა და ურყევნი, და სამართლიანი კანონიერებითაც
ხელმძღვანელობთ. პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ, ახლანდელი სამ-
სჯავროც ხალხის საერთო დიდებისათვის მოაწყეთ, რათა ყველა
გაეგო, რომ თქვენ არასდროს არ გდომნიათ, კოლხებს ასეთი საში-
ნელი ძალა განეცადნათ. შესაძლებელია ახლა ბევრის აზრი ხან
აქეთ იხრებოდეს ხან იქით, გაურკვეველი და მერყევი იყოს,
მაგრამ, მსაჯულო, როდესაც მსჯავრის მიხედვით ისინი მალე
დახოცილ იქნებიან, უფრო გასაგები შეიქნება, რომ თქვენ (რომა-
ელები) თავისიანების მოღალატენი კი არა ხართ, არამედ უსამართ-
ლოდ მოქმედთა მომთვინიერებელნი. თუმცა ისინი, როგორც ჩანს,
სიტყვით თავს იცავენ, მაგრამ საქმით საკუთარი თავის გასამტყუ-
ნებლად გამოდიან და აღიარებენ ამ მკვლელობის სისაძაგლეს. მე-
ფის წერილი ხომ უბრძანებს სტრატეგოსებს ბიზანტიაში მიჰგვა-
რონ გუბაზი, ჯერ დაიყოლიონ ის ბიზანტიაში წასვლაზე, ხოლო, თუ
არ დაემორჩილება მათ განგებ და წინააღმდეგობას გაუწევს, ძა-
ლით გაგზავნონ იგი; მისი მოკვლა კი არავითარ შემთხვევაში არ შე-
იძლებოდა, სანამ ის საბოლოოდ არ გადაუდგებოდა რომაელებს და
მტრულ მოქმედებას არ დაიწყებდა. ესენი კი არც სტრატეგოსები
ყოფილან, არც ნება მიუცია მათთვის ვინმეს ჩაედინათ ის, რაც
მოესურვებოდათ, უცბად მოეკლათ საცოდავი გუბაზი ისე, რომ არც
წინასწარ ეთხოვათ მისთვის ბიზანტიაში წასულიყო და არც ეცად-
ნათ იმის გასინჯვა, უდიერად შეხვდებოდა ის მეფის განკარგულე-
ბას თუ არა. თუმცა ისინი ამყობენ და ტრაზახობენ იმით, თითქოს
შეასრულეს მეფის დავალება, მაგრამ, პირიქით, როგორც ჩანს, მათ
გვერდი აუარეს მის სურვილს. წინასწარ თავხედურად შეითხნეს
გუბაზის წინააღმდეგ ყალბი ბრალდებები და წინააღმდეგ მათთვის
მეფისაგან მიცემული განკარგულებისა, საკუთარი სურვილის მიხ-
ედვით დაღუპეს კაცი; და, რაც ყველაზე უფრო უკანონოდ უნდა
ჩაითვალოს, არც კი აჩვენეს მეფის წერილი, რომ ის გაცნობოდა
მის შინაარსს და მოქცეულიყო საქიროებისამებრ.

ნუთუ ამის შემდეგ, ის, რაც მათ გაბედეს, არ უნდა ჩაგვეთვა-
ლა ნამდვილ უბედურებად და უსაზიზღრეს მკვლევლობად? ვინმეს
შიშართ უსამართლობის ჩადენა ხომ აკრძალულია და ჩვენც უნდა
ვერიდებოდეთ მის ჩადენას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს
უსამართლობა ეხება მეგობარსა და კეთილის მსურველს, იმ ადა-
მიანს, რომელიც ხშირად გაბმულა საფრთხეში მახლობელთა გული-
სათვის. ვინ იყო რომ სპარსელთაგან დანაპირებ სიმდიდრესა და ყო-
ველნაირ სიკეთეს ამჯობინა თქვენდამი კეთილი განწყობილება? ვინ
იყო, რომ ხოსროს მეგობრობა უკუაგდო და, იმ დროს, როდესაც
ეს მეგობრობა უდიდეს სიმდიდრეს უმზადებდა მას, თქვენგან მცი-
რედსაც დასჯერდა? ვინ იყო რომ წინათ, როდესაც ეს ქვეყანა დი-
დი ხნის განმავლობაში მიდიელების სათარეშოდ იყო გაზზდარი და
თქვენი დამხმარე ჯარები იგვიანებდნენ, მაშინვე გამოიცვალა საც-
ხოვრებელი ადგილი და თვით კავკასიონის მწვერვალებზე გადასახ-
ლდა, სადაც თითქმის ველურ ცხოვრებას ეწეოდა, და მან ეს უფ-
რო ამჯობინა, ვიდრე მტრის მეგობრობა გამოეყენებინა, შინ ჩასუ-
ლიყო და განცხრომით ეცხოვრა? ვინ იყო ეს? ეს იყო გუბაზი, რო-
მელიც არ უშინდებოდა არავითარ გაპირვებას, თუ კი თქვენი გუ-
ლისათვის იყო ეს აუცილებელი. სადა ხართ კანონებო, სად არის
სამართალი! მას აბრალებენ მედიზმს, ტირანობას, რომაელთა მო-
ლალატობას! ის მოკლეს რუსტიკემ და იოანემ, ამ საძაგელმა და სა-
ზიზღარმა კაცებმა მოკლეს მეფე! ის რომ მართლაც დამნაშავე ყო-
ფილიყო, ამათ მიერ კი არ უნდა ყოფილიყო ის მაშინვე მოსპო-
ბილი, არამედ მისი საქმე დინჯად უნდა გაერჩია რომაელთა და კო-
ლხთა საერთო მეფეს, როგორც უდიდესსა და ყოველთა უძლიე-
რესს, და სათანადო სასჯელი დაენიშნა. მაგრამ ვინაიდან ამათ არა
ჰქონდათ არავითარი კანონიერი საბუთი მისი მოკვლისათვის, უფრო
კი შურიანობით გამოწვეული უზომო მტრობა აღიზიანებდა მათ ბო-
როტება ჩაედინათ, სათანადოდ არ მოიფიქრეს, გონიერი მოსაზრე-
ბა არ მოიხმარეს და არც გაითვალისწინეს, თუ რა იქნებოდა სა-
სარგებლო, და ამაყურ ქვეყასა და შურისძიებას რომ დაემორჩილ-
ნენ, ჩაიდინეს დიდი თვითნებობა. ის, რაც დიდი ხანია განზრახუ-
ლი და ზედმიწევნით დაგეგმილი ჰქონდათ, სიარულში მოიყვანეს
პირველ შესაძლებლობისთანავე. ისე, რომ არც დროის ვითარებას
შიაქციეს ყურადღება და არც კარგად მოიფიქრეს. რადგან ისეთ
მძიმე ომში ვიყავით გახვეული, გონიერ კაცს მოეთხოვებოდა ეზ-
რუნა იმაზე, რომ კარგი მოპყრობის საშუალებით თავისკენ მიეზიდ-

ნა უცხო და ჯერ კიდევ უცნობი ერები. ამათ კი ისინიც კი რომაელების მტრებად გადააქციეს, რომლებიც წინათ მათი მახლობელი მეგობრები იყვნენ. და მათი ბრალთა, რომ ჩვენ მტრის მხარეზე გადავედით, ძველ მეგობრებს მზაკვრულად ვეპყრობით, რომ ეს ქვეყანა სპარსელების ხელშია და მშობლიური წესები მივიწყებულია, — ერთი სიტყვით, — ყველაფერი უწესრიგოდ მიმდინარეობს: აი, რამდენი ზარდამცემი ნიშანია აჯანყებისა და შინაური არეულობისა. ამიტომ, რადგან ყველაფერი ეს ნამდვილად ასეა და ჩვენი საქმეები ყოველმხრივ ანგრეულია, უნდა მივუყენოთ ამათ ისეთი ღირსეული სასჯელი, რომლის გამოძებნასაც კი შევძლებთ. თუ ჩვენ რომაელთა ერთგულნი ვართ ურყევად, არ იქნება სამართლიანი, მსაჯულო, რომ ამათ ჩვენი ჩვილი ხასიათით ისარგებლონ და უფრო ნაკლები სასჯელი მიიღონ. ვიდრე მათ მიერ ჩადენილ საქციელს შეეფერება“⁷⁸.

ამგვარად, ბრალმდებლებმა თავიანთი ბრალდების ცენტრი იმაზე გადაიტანეს, რომ გუბაზს ბიზანტიელმა სტრატეგოსებმა ცილი დასწამეს მოლალატობაში, მათ იუსტინიანე მეფის ბრძანება არ შეასრულეს, პირიქით ისინი მას ამოეთარნენ, რითაც გაიადვილეს თავიანთი მზაკვრული განზრახვის შესრულება და გუბაზის მოკვლით, მათ თვით ბიზანტიის სახელმწიფოს მიაყენეს უდიდესი ზიანი.

სასამართლო პროცესს ესწრებოდა „კოლხთა ლაშქარიც“. ამათ ეგონათ, რომ ბრალმდებელთა სიტყვას უმაღლე უნდა მოჰყოლოდა ბრალდებულთა დასჯა და როდესაც, ბრალმდებელთა სიტყვის დასრულების შემდეგ, მსაჯული ცოტა ხნით დაფიქრდა, კოლხებმა „დაიწყეს ბუზღუნი და უკმაყოფილების გამოცხადება, რატომ ახლავე არ მიჰყავთ. მტრები დასასჯელადო“⁷⁹. მსაჯულის განმარტებამ, რომ ბრალდებულთაც უნდა ეთქვათ თავისი სათქმელი, ხალხი უფრო მეტად აღაშფოთა და მათი დაწყენარება მხოლოდ მათი თანამოძმე ბრალმდებლებმა შესძლეს.

ამის შემდეგ, სიტყვა მიეცათ ბრალდებულთ.

ისინი შეეცადნენ გუბაზი ნამდვილ მოლალატედ წარმოედგინათ. ე. ი., რომ ის სპარსელების მხარეზე გადასვლას აპირებდა, რაც ლაზიკაში ბიზანტიელებს დიდ ზიანს უქადდა, და რომ ასეთი კაცის

⁷⁸ გეორგიკა III გვ. 129—140.

⁷⁹ იქვე, გვ. 140.

მოკვლა და დროულად გზიდან ჩამოშორება, მის მკვლელთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებად და არა. დანაშაულად უნდა ჩაითვალოსო.

ბრალდებულთა სახელით ილაპარაკა რუსტიკემ. მან თქვა: „ბედმა ერთბაშად შეცვალა და უკულმა შეატრიალა ჩვენი განზრახვები; უნდა დავმტკბარიყავით უდიდესი საჩუქრებით და ამის ნაცვლად, სიკვდილით დასჯა მოგველის. თუმცა ჩვენთვის ძალიან სასიამოვნოა ეს სამსჯავრო და უდიდესი სიამაყის მომგვრელი: ამით ყველა კარგად გაიგებს, რომ მხოლოდ ჩვენი წყალობით მოხერხდა მოლაღატისა და ტირანის მოსპობა და მეფის⁸⁰ საქმეების ნაწილობრივ უზრუნველყოფა, ასე, რომ კიდევაც რომ სიკვდილი შეგვხვდეს, სიამოვნებით, მივეგებებით მას, როგორც რაღაც საყვარელსა და სანუკვარ მძიმე ხვედრს: ჩვენ წავალთ ამიერ ქვეყნით, საუკეთესო ნუგეშის მქონენი, ვინაიდან გზაზე წაგვყვება იმის შეგნება, რომ კოლხების ბატონებად რომაელები დავტოვეთ და სხვებს არ ჩავადებინეთ ის ხელში. ეს სამსჯავრო რომ სპარსელებისა იყოს და ისინი არჩევდნენ ჩვენს საქმეს, ჩვენ მთლიანად გვიხდებოდეს იმის უარყოფა, რაც ჩაგვიდენია, გვეშინოდეს აქ მოტანილი საბუთებისა, მაშინ ჩვენ — სააშკარაოზე გამოყვანილთ — გაგვიჭირდებოდა სიტყვების მოძებნა იმ მოსამართლეთა საპასუხოდ, როლებიც მტრულად და მკაცრად იქნებოდნენ განწყობილნი მომხდარი ამბის მიმართ, და ყოველგვარ იმედს მოკლებულნი ვიქნებოდით. მაგრამ ვინაიდან მოსამართლე რომაელი კაცია, რის გულისთვის უნდა უარყოფდეთ ჩვენ მიერ ჩადენილ საქციელს? რაში გვჭირდება თავის მართლება თქვენს წინაშე იმისათვის, რომ ვალი დაგდეთ და ტირანი მოგაშორეთ? მას ხომ ჩვენ ვერ მივაკუთვნებთ მეფის საპატიო სახელს, ვინაიდან მან საქმით გვაჩვენა თავისი მტრობა, თუმცა ბრალმდებლები ბევრს ყვირიან და გაიძახიან, საშინელი ბოროტმოქმედება ჩაიდინეთ, რომ მეფე მოჰკალითო. ცხადია, რომ მეფის სახელწოდება აბზინდსა და ქლამიდს, და საერთოდ გარეგან სამკაულებს კი არ განეკუთვნება, არამედ მიეკუთვნება იმას, ვინც სამართლიანობას მისდევს, ზომას არ აჭარბებს თავის ქცევაში და მხოლოდ დადგენილ წესებს უფარდებს თავის გულისნადებს. თუ ჩვენ, ეს კაცი რომ მოვკალით, უკანონოდ მოვიქცეით, მაშინ ბრალდება სამართლიანი იქნება და კოლხებიც მართალი იქნებიან, რომ

80 იგულისხმება ბიზანტიის მეფე.

ჩვენ გვიწოდებენ მოძალადეებს, ნაჭირალებს და სისხლის მსმე-
ლებს. მაგრამ, თუ ის ასეთ ღირსებებს შორს ჩამორჩა თავისი ქცე-
ვით და მის განზრახვებში ზომიერი არაფერი იყო, პირქით, ფარუ-
ლად გვიანსინებდა სპარსელებს და მათთვის უნდოდა ეს ქვეყანა გა-
დაეცა, განა უმჯობესი არ იქნებოდა დაგვესწრო უბედურების მო-
ახლოებისათვის და გაგვემარჯვნა, ვიდრე ის, რომ მის მეფურ გა-
რეგნობას შევლალადებოდით და მტერს ჩავვარდნოდით ხელში?
როდესაც წინასწარ შეიტყობ ვინმეს მიერ განზრახულ სახიფათო
ფეგმას და შესაძლებელია მაშინვე აიცილინო ეს ვერაგობა, რამენაი-
რად უშველო შექმნილ მდგომარეობას და შემდეგ ნელ-ნელა გამო-
ასწორო მომხდარი ამბავი, დიდი სისასტიკე იქნებოდა შური გეძია
წინასწარ და არ დაკმაყოფილებულიყავი შესაძლებლობით, რომ
შემთხვევა მოგეცემოდა სამაგიერო ხიფათში ჩაგეგდო მოწინაღმ-
დეგე. მაგრამ, როდესაც გეგმა უკვე სისრულეში მოჰყავთ და აღა-
რაფერი გრჩება დასაცავად, ყველაფერი სწრაფად იღუპება, ისპო-
ბა სახელმწიფოს კეთილდღეობა და მასთან ერთად ისპობა ყოველ-
გვარი იმედი გადარჩენისა, — მაშინ გონიერმა კაცმა სწრაფად უნ-
და იმოქმედოს და ზომები მიიღოს, რათა არაფერი დაგემართოს
ისეთი, რასაც ველარ უწამლებ.

თუმცა ბრალმდებლები ძალიან იქაჭებიან, გააკვივიან უნამუსო-
ბაზე, უწმინდურობაზე, სისხლისმელობაზე და სხვა ამგვარი ტრაგი-
კული სახელებით ამკობენ ჩვენს საქციელს და გაიძულებენ თქვენ
მხოლოდ ამ მომხდარ ამბავს მიაქციოთ ყურადღება, მაგრამ, მსაჯუ-
ლო, უყურადღებოდ არ დასტოვებ, ალბათ, იმ ამბებს, რომლებიც
ჩვენ საქციელს წინ უძლოდა, ასწონ-დასწონი იმ მიზეზებს, რომ-
ლებმაც გაგვაბედინეს ის საქმე და სისწორით გაიგებ ჩვენი სა-
ქციელის ნამდვილ აზრს. ქალაქებში ხშირად ვპოულობთ ხოლმე
მანქანებსა და ქურდბატაციებს ან სხვა ამგვარი უკეთური საქმის
ჩამდენთ; რომლებისთვისაც ან თავი წაუგდებინებიათ ან ფეხი მო-
უჭრიათ, მაგრამ ამ საქციელისათვის არავის ვღებთ ბრალს, თუმცა
ესეც ძალიან უწყალო საქციელად ჩანს; არც იმ მართველ მოხელე-
ებზე ვიყრით ჯავრს, რომლებმაც დაუშვეს ასეთი შურისძიება, და
არც უწმინდურ, საზიზღარ და ბოროტ საქციელად ვნათლავთ ამას:
ჩვენ მხედველობაში ვღებულობთ ამ ბოროტმოქმედთა მიერ წინაა
ჩადენილ უკეთურ საქმეებს, ვფიქრობთ იმას, რომ მათ სასჯელი მი-
იღეს მათ მიერ ჩადენილი უსამართლო ქცევისათვის და მათდამი გა-
მოჩინილი სისასტიკე სიამოვნებას გვგვრის. სანამ ბოროტმოქმედე-

ბები არ შეწყვეტილა, არც სასჯელის დადება უნდა იქნეს მიჩნეული შეუფერებლად.

ამრიგად, გუბაზი ჩვენ მოვკალით. მერე რა მოხდა აქ საშინელი, თუ ჩვენ მოვკალით მოლაღატე ადამიანი და ჩვენი მტერი? ბრალდებლები სამართლიანად ამბობენ, რომ მტრის სახელწოდება შეუფერება არა იმას, ვინც მოშორებით, უცხოეთში ცხოვრობს, არამედ იმას, ვინც, თუმცა თვის ტომია, მაგრამ მტრისთვის სასიამოვნო საქმეს აკეთებს; ჩვენი აზრითაც ასეთი განზრახვა საუკეთესოა და უქვეშარიტესი და სინამდვილეს შეეფერება. და, რახან ორივენი თანახმა ვართ ამაში, ვისარგებლებთ ამ საბუთით და დავამტკიცებთ, რომ გუბაზი ჩვენი მტერი იყო. ხოლო თუ ეს დამტკიცებული იქნება ამ გზით, ნათელყოფილი იქნება ისიც, რომ ის მოკლულ იქნა სრულიად მართებულად. მთელი ეს ბარბაროსული მოდგმა, თუმცა ის რომაელების ქვეშევრდომია, მაგრამ თავისი შეხედულებით ძალიან დაშორებულია მათ: რომაელთა კანონების სამწყობრე ამძიებს მას და ის ისწრაფის გადატრიალებისა და აჯანყებისაკენ; სანამ სხვის ხელქვეით არას, მას არ შეუძლია მშვიდად ცხოვრება ისე, რომ უსამართლო საქმეებში არ გაერიოს. თუ ამას მარტონი ვერ ახერხებენ, ცდილობენ თავის სასარგებლოდ გამოიყენონ ის ტომები, რომლებიც მათნაირივენი არიან და რომელთა ჩვეულებაც მათ საკუთარ ჩვეულებებს უახლოვდება. გუბაზი ყველა ამ თვისებით იყო აღჭურვილი: ის ხომ წარმოშობით ბარბაროსი იყო და ამ მოდგმისათვის დამახასიათებელი მზაკვრობით იყო დასწავლული. გარდა ამისა, ჩვენ მიმართ ისეთი ბოროტებით იყო გამსჭვალული, რომ არც კი თვლიდა საჭიროდ ამის დაფარვას, — პირიქით, ისწრაფოდა განეხორციელებინა თავისი მტრული ზრახვები, რომლებიც მანამდე გულში ჰქონდა ჩათხრობილი და დაფარული. ჩვენ რომ წვალებაში ვიყავით და ყოველგვარ ხითათში ვებმოდით, რათა მტერს მისი გულის ნადები არ ასრულებოდა, გუბაზი ამ დროს ამჯობინებდა შინ მჯდარიყო თვის ტომებთან ერთად და საწვალებელ საქმეს მოშორებული ყოფილიყო. გარდა ამისა, ის ზედმიწევნით აღევნებდა თვალყურს ბრძოლის მიმდინარეობას და უთვალთვალებდა, თუ რით დამთავრდებოდა ეს ბრძოლა. თუ ვინიცობაა რომაელები ბრძოლაში წარმატებებს მიღწევდნენ და მართლაც რომ გამარჯვებულის ქვეშარიტ სახელს მოიპოვებდნენ, ის მაშინვე თავის მტრობას და შურს ამქლავებდა და ცდილობდა სასაცილოდ აეგდო ეს გამარჯვება, გაებათილებინა მიღწევის მნიშვნე-

ლობა: თვით საქმეს უმნიშვნელოდ ნათლავდა. შედეგსაც უმნიშვნელოდ თვლიდა და ამასაც ჩვენ კი არ მოგვაწერდა, არამედ ბრმა ბედს. თუ კი მოხდებოდა ისე, რომ ფეხი დაგვიცდებოდა (და განა შესაძლებელია, რომ ადამიანის საქმე უკუღმა არ წავიდეს და მუდამ ერთ მდგომარეობაში იყოს?), ის, ვითარცა მომხდარი ამბის უეჭველი მსაჯული, მაშინვე პირწმინდად გაათავისუფლებდა ხოლმე ბედისწერას ყოველგვარი ბრალდებისაგან, თითქოს მისი მონაწილეობით არა ხდებოდას ყველაფერი: მისთვის უკვე წინასწარვე იყო გადაწყვეტილი, რომ ჩვენი საქმის ცუდად წარმართვაში ბრალი მიუძღოდა მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს სულიერ სილაჩრეს, მარჯვენის სისუსტესა და გეგმის უვარგისობას. ბედის ცვალებადობას, უწესრიგობასა და მოუთქვრებლობას ის არასდროს არ მიაწერდა მტერს (ჩვენ კი ყოველთვის ამას გვაბრალებდა), თითქოს ამ მიზეზით არ ყოფილიყოს, რომ მტერი გვაჯობებდა ხოლმე ჩვენ. და აქას ის გაჰკიოდა ხმამაღლა და აშკარად, და აცნობებდა ხოლმე არა მარტო სპარსელთა ჯარებს, რომელთაც ის ყოველგვარ საქმეში შველოდა, არამედ ის მაშინვე შეიკრიკს აფრენდა ხოლმე, რომ ცნობები მიეტანათ იბერიაში, სვანთა ტომისათვის, კავკასიის გადაღმა მცხოვრებ ბარბაროსთათვის, უფრო შორს იმათ იქითაც, თუკი შესაძლებელი იქნებოდა, დედამიწის კიდეზედაც. ცნობა კი ასეთი იგზავნებოდა: „რომაელები ცუდი მეომრები არიან, ბარბაროსები მათ ამარცხებენ“. და მისი ცდა მარტო ის კი არ იყო, რომ რომაელთა მოდგმისათვის ჩირქი მოეცხო (თუნცა ესეც საშინელი რამ არის და მტრულად განწყობილი ადამიანის სულისცქეთებას ამკლავებს), არამედ უფრო მეტს იღწვოდა, რაღაც სხვას, უფრო დიდს იზრახავდა და ამზადებდა. ის საჭიროდ თვლიდა შეერყია ბარბაროსთა შორის გაბატონებული აზრი ჩვენი დიდი მეფის შესახებ, რომელიც განთქმული იყო, როგორც უძლიერესი და გამარჯვებათა შარავანდელი მოსილი მეფე; ამით მან გაათამაშა ის, ვინც წინათ შიშით და გაკვირვებით შემოგვყურებდა. განა უფრო სამართლიანი არ იქნება ასეთი საქმეების ჩამდენს მტერი ვუწოდოთ, ვიდრე მეგობარი, კეთილის მსურველი მეფე, მოკავშირე ან სხვა ამ გვარი სახელები, რომლებსაც ბრალმდებლები თხზავენ ამ ტირანის შესახებ? თუმცა ორივეს—მტერსაც და მოყვარესაც—ერთნაირად ანიჭებენ ამ სახელს, მაგრამ მოყვარის იგარჩევა მტრისაგან მხოლოდ იმის მიხედვით შეიძლება. კეთილად არის ის განწყობილი მომხდარი ამბების შედეგების მიმართ, თუ მტრულად. მაშასადამე. ვინაიდან უკვე დამტკი-

ცებულია, რომ გუბაზი კუმენვას ეძლეოდა, როდესაც ჩვენ ვიმარჯ-
ვებდით, და ხარობდა, როდესაც მარცხი მოგვედიოდა. — რაღას გაქ-
ცივიან ბარბაროსები რომაული კანონების წინააღმდეგ, რომელთა
მიხედვით ვსჯით ხოლმე, ან კიდევაც სრულიად ვანადგურებთ იმათ.
ვინც არსებულ წყობილებას ერთგვარად არყევს და ზიანს აყენებს?
თუ ეს ასეა, თავი დავანებოთ საბუთებს, მითითებებს და საექვო
მტკიცებებს; ყურადღება მივაქციოთ მხოლოდ საქმეთა ეითარებას
და ვნახოთ, სად მიგვიყვანს ის.

სპარსელებსა ჰქონდათ დაპყრობილი ონოგურისის ციხე, რომე-
ლიც მათ ჩამოეგლიჯნათ არქეოპოლისის მიდამოებიდან, და ჩვენ-
თვის აუტანელ სირცხვილს წარმოადგენდა ის, რომ მტრის ჯარი
მტკიცედ ჩამკდარიყო ზღუდის შიგნით ჩვენს მიწაწყალზე. სტრა-
ტეგოსთა თათბირზე გაიმარჯვა იმ აზრმა, რომ მთელი ჯარით ვავმ-
გზავრებულყავით იმათ წინააღმდეგ, გაგვენადგურებინა ისინი და.
ამრიგად ვავთავისუფლებულყავით მეტად სახიფათო ჩასაფრებისა-
გან. ჩვენ, რასაკვირველრა, გვექირდებოდა კოლხთა ჯარიც. არა მარ-
ტო იმიტომ, რომ კოლხები, როგორც იმ ადგილების მცოდნენი, უფ-
რო მეტად, ვიდრე ამ ადგილთა არამცოდნენი, სასარგებლო რჩე-
ვა-დარიგებას მოგვეცემდნენ, არამედ იმიტომაც, რომ რადგან ბრძო-
ლა მოგვიხდებოდა გამაგრებულ ადგილას ჩამკდარ და კარგად შე-
არაღებულ მებრძოლებთან და აგრეთვე იმათთანაც, რომლებიც ალ-
ბათ მუხიირისიდან მოვიდოდნენ მათ საშველად. — კოლხებსაც გა-
ეწიათ ჩვენთვის დახმარება, ჩვენთან ერთად ებრძოლათ. ასეთ პი-
რობებში რა უნდა ექნათ სტრატეგოსებს? რასაკვირველია, უნდა მი-
ემართნათ ერის მთავრისათვის და მოეთხოვნათ ბრძოლაში მონაწი-
ლეობა მიედო, მის შემდეგ, რაც დაუმტკიცებდნენ ამ მოთხოვნის
საბუთიანობას. და მართლაც, მიმართეს კიდევ და დაუმტკიცეს. იმ-
ან კი ისე წარმოიდგინა თავი, თითქოს მართლა მეფე ყოფილიყოს
და თითქოს მის ხელთ ყოფილიყოს თავისი ნებისამებრ ემართა, —
უარი თქვა ჩვენთან ერთად დაშქრობაზე ციხის წინააღმდეგ და
არც კი მოვიდა ჩვენთან. არავითარი მიზეზებიც კი არ დააახელა.
რომლებიც, თუმცა შეუფერებელი იქნებოდნენ, მაგრამ გარეგნუ-
ლად მაინც იკამართლებდნენ მის უარს. მან გაცილებით ამაყად და
უფრო უხეშად მოგვიტო უარი, ვიდრე ეს დაქირავებულ ქვეშევრ-
დომს შეეფერებოდა. კიდევ მეტი; ის მუდამ სიძულელით უტკე-
როდა სტრატეგოსებს და გაშმაგებით მტრობდა მათ, და ვაყა-
ცობდა და სამეფო ღირსების შესაბამისად მიაჩნდა ის, რომ ანდი-

ლად არცხვენდა სტრატეგოსებს მათ მიერ შესრულებული საქმეების გამო. და ყველაფერ ამის შემდეგ განა საჭირო იყო მეტის დაყოვნება ჩვენი მხრით? განა უნდა გვეცადნა უფრო მეტი საბუთებისათვის და გვეჩვენებინა მეფის წერილი, რათა ბიზანტიაში წასულიყო, იმ დროს, როდესაც საკუთარი მიწა-წყლის რაღაც მოკლე მანძილის გამოვლასაც კი არ ნებულობდა? მერე და, განა შესაძლებელი იქნებოდა მოგვეჩერებინა აგრე რიგად ჩვენ წინააღმდეგ განწყობილი გუბაზის გაგზავნა ბიზანტიაში ისე, რომ ამას არ გამოეწვია ათანაირი შინაური აჯანყება, მრავალი ხოცვა-ჟლეტა, აშკარა გადადგომა, სპარსელთა მოულოდნელი შემოჭრა? მოწინააღმდეგე ხომ არ გვემორჩილებოდა და გვებრძოდა, ხოლო მთელი ერი აჯანყების მოყვარულია, მას, ბარბაროსული წესის მიხედვით, ახასიათებს მისწრაფება არსებული წყობილების შერყევისადმი, მით უმეტეს, რომ ახლოს ცხოვრობენ ისინი, ვინც მათ მხარს დაუჭერს. ამიტომ, ვერაგული ზრახვების მეთაური რომ მოვკალით, ამით ძალიან ადვილად მოუღებთ ბოლო მთელ რიგ ასეთ უბედურებას, არსებულსა და მოსალოდნელს, ისე რომ სრულიად დაუჭერებელია, რომ ასეთი რამ მომავალში განმეორდეს.

ამიტომ, მსაჯულო, ნუ გვისაყვედურებენ იმ წერილის გამო, ნურც გვაგინებენ, რომ არ შევასრულეთ წერილში მოხსენებულნი დავალები. განა ცხადი არ არის, რომ ის მოწერილობა—სამეფო ქალაქში გამგზავრების შესახებ — მხოლოდ მის გამოსაცდელად იყო გამოგზავნილი, რათა გამოგვეცადნა, შეასრულებდა თუ არა ის თავისი ნებით ბრძანებას და კანონიერად მოიქცეოდა თუ არა? რადგან ჩვენ მალე შევიტყუეთ მისი შეუპოვრობა და ჭიუტობა და რადგან ის მცირე მოთხოვნასაც კი არ ასრულებდა, განა შევძლებდით მის დაყოლიებას უფრო დიდ მოთხოვნაზე და განა სასწრაფოდ არ უნდა მიგვემართნა იმ უკიდურესი საშუალებებისათვის, რომელსაც აუცილებლობის გამო მივმართეთ, რადგან ამასობაში ბევრი რამ საშინელი მოხდა? თუ ხელიდან გაუშვებ მოხერხებულ დროს და არ გამოიყენებ იმას საქმის მოსაგვარებლად, შემდეგში ველარ დაიბრუნებ იმას, რაც იამოგეპარა. იქნებ, როგორც ბრალმძებლები ამბობენ, ისლა დაგვრჩენოდა, რომ სამართალში მიგვეცა გუბაზი, ფუჰი სიტყვიერი ბრძოლა გაგვეჩაღებინა და სახელმწიფო კეთილდღეობის უზრუნველყოფის მაგიერ, სიტყვების რახა-რუხი გაგვემართნა? მაგრამ, ბედშავნო, ამის ნებას არ იძლეოდნენ სპარსელები, რომლებიც აქვე იყვნენ სამტროდ და რაზმულნი და გამზადებულნი

იმისათვის, რომ მთელი კოლხეთი ეგდოთ ხელთ იმის (გუბაზის) დახმარებით. ვინაიდან ყოველმხრივ დამტკიცებულია, რომ გუბაზი მტერი და მოღალატე იყო და ტირანის ზრახვების მატარებელი, სულ ერთი არ იყო კოლხებისათვის, ჩვენ მოვკლავდით მას თუ სხვები? გონიერი მოსაზრება მართო სტრატეგოსებსა და, საერთოდ, ძალაუფლების მქონეთ კი არ ებადებათ და მოუვათ ხოლმე, არამედ ყოველ მსურველს, ჩემის აზრით, უფლება აქვს და შეუძლია გამოექომაგოს სახელმწიფოს, რომელშიაც ის მოღვაწეობს, და შეძლებისამებრ იზრუნოს საზოგადო კეთილდღეობისათვის. თუმცა ჩვენ, მათი აზრით, საზიზღარნი და საძაგელნი ვართ, მაგრამ სინამდვილეში მეფისა და რომაელთა ერთგულნი ვართ და თავზე ხელს არ მოვუხსვამთ იმათ, ვინც ცდილობს მახე დაგვიგოს. თუ კიდევ მეტის თქმაა საჭირო, კარგად იცოდეთ, მსაჯულო, რომ ჩვენ ამ, ქემმარტიად კარგი და სამართლიანი საქმის ჩადენა გავებდეთ სწორედ დროზე, და მარტინეს თანხმობაც გვქონდა ამაზე⁸¹.

ბოროტმოქმედთათვის ძალიან ძნელი იყო და ვერც დაარწმუნეს ვინმე იმაში, რომ გუბაზი დამნაშავე იყო და მდგომარეობა მოითხოვდა დაუყოვნებლივ მის გზიდან ჩამოშორებას მისთვის სიცოცხლის მოსპობით. თვით უმაღლეს მსაჯულს ათანასის, რომელმაც: „ყველაფერი გამოიყვლია და ასწონ-დასწონა, უკვე გუბაზის მიერ ჩადენილ საქციელში აღარაფერი მიაჩნდა მისი მოღალატეობისა და ტირანობის დამამტკიცებლად; პირიქით, მისი აზრით, მკვლელობა ჩადენილი იყო უსამართლოდ და კანონის წინააღმდეგ და ონოგურისზე ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებაზე მედიზმის გამო კი არ ამბობდა უარს გუბაზი, არამედ იმიტომ, რომ ის გაჯავრებული იყო სტრატეგოსებზე იმის გამო, რომ მათ დაკარგეს ონოგურისი თავისი უგუნურებისა და დაუდევრობის წყალობით“⁸².

სასამართლოს ეს დასკვნა სრულიად სწორი და სამართლიანი იყო.

სასჯელიც დანაშაულის შესაბამისი მიეზლო მკვლევებს: „ისინი შესხეს ჯორებზე და ასე ჩაატარეს ქუჩებში, რაც როგორც ჩანს, უდიდეს და ამავე დროს შიშის მომგვრელ სანახაობას წარმოადგენდა კოლხებისათვის... როდესაც მათ ყელები გადასჭრეს, მა-

81 გეორგიკა, III, გვ. 141—152

82 იქვე, გვ. 152—153.

შინ ყველანი სიბრალულით აღივსნენ და ბრაზობას თავი დაანებეს⁸³. ჩანს კოლხებს, მიუხედავად იმისა, რომ მეტისმეტად იყვნენ გამწარებულნი გუბაზ მეფის მოკვლით, — მაინც ადამიანობა გამოუჩენიათ და დასჯილთა მიმართ სიბრალული აღძვრიათ. ესეც იმის მაჩვენებელია, თუ რაოდენ „ბარბაროსები“ იყვნენ კოლხები.

ამის შემდეგ, როგორც პირველწყარო დასძენს: „...კოლხები კვლავ ერთგულნი გახდნენ რომაელებისა და დაუბრუნდნენ ძველ გზას⁸⁴“.

დასკვნა

ლაზების მიერ კვლავ ბიზანტიური ორიენტაციის დადასტურებას მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ლაზების შემდგომი ისტორიის, ისე საერთაშორისო ურთიერთობის განვითარების თვალსაზრისითაც. თუ ლაზებისათვის ეს იმას ნიშნავდა, რომ მათ შეინარჩუნეს უშუალოდ მეზობლად მყოფ კულტურულ სახელმწიფოსთან მჭიდრო ურთიერთობა, რაც მათი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის უმნიშვნელო როლი იყო, — საერთაშორისო თვალსაზრისით, უფრო მნიშვნელოვანი შედეგი მოიტანა ამან.

როგორც აღვნიშნეთ. ლაზთა და ბიზანტიელთა ერთიანმა ძალამ აიძულა ირანი აქ აქტიურ ბრძოლაზე ხელი აეღო. ირანი დამარცხდა ამიერკავკასიაში წარმოებულ ბრძოლაში, ხოლო რადგან ეს ფრონტი ნაწილი იყო მსოფლიოში გაბატონებისათვის ბრძოლის დიდი ფრონტისა, — ეს იმას ნიშნავდა, რომ ირანმა ამ დიდ ბრძოლაში მარცხი განიცადა. მართლაც, ამის შემდეგ ირანის აქტივობა მსოფლიო სარბიელზე უკუდგება და ბიზანტია თანდათან იპყრობს მსოფლიო ბატონობის პოზიციებს.

ამგვარად, ლაზიკაში შექმნილმა ვითარებამ სათანადო მიმართულება და შინაარსი მისცა მსოფლიო ისტორიის განვითარებას. ლაზები რომ სპარსელებს მიმზრობოდნენ, რომელთაც იბერია უკვე ხელთ ეპყრათ, და ამით ირანელები ამიერკავკასიაში გაბატონებულიყვნენ, — ეგების ისინი ბიზანტიის შევიწროებასაც მოახერხებდნენ. ბიზანტიის დედაქალაქი ზომ, ლაზიკის ნავსადგურების ხელში ჩაგდების შემდეგ, შავი ზღვის საშუალებით ადვილი მისადგომი იქ-

83 იქვე, გვ. 153

84 იქვე.

ნებოდა ირანელებისათვის, როგორც ეს მაშინ ყველას მიერ იყო აღიარებული.

ერთი სიტყვით, ლაზების პოზიციამ ორ იმპერიას შორის მსოფლიო ბატონობისათვის ბრძოლის ბიზანტიის სასარგებლოდ და ირანის საზიანოდ გადაქრას დიდად შეუწყო ხელი... თუმცა ბიზანტიას დიდხანს არ შერჩენია ეს ხელსაყრელი მდგომარეობა და არაბების მსოფლიო სარბიელზე გამოსვლამ თვალაჩინო ცვლილებები შეიტანა საერთაშორისო ურთიერთობის მანამდე არსებულ ვითარებაში.

მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზაჯვარედინზე ძველი ქართული სამყაროს აქტიური და ქმედითი მონაწილეობა ნათლად მოჩანს ლაზიკის მაგალითზე.

შინაარსი

შესავალი	3
ლაზიკა და მისი მოსახლეობა	4
ბიზანტია-ირანის ინტერესთა დაპირისპირება აღმოსავლეთში და კერძოდ, ამიერკავკასიაში	8
გუბაზ მეფის მოკვლა ბიზანტიელი სარდლების მიერ	22
ლაზთა ურილობა (სახალხო კრება)	33
წათეს დანიშვნა ლაზთა მეფედ	51
გუბაზ მეფის მკვლელობა გასამართლება და მათი დასჯა	54
დასკვნა	70

ГЕОРГИЙ КОНСТАНТИНОВИЧ ГОЗАЛИШВИЛИ

ВНЕШНИЕ ВЗАИМОСВЯЗИ ЛАЗИКИ В ШЕСТОМ ВЕКЕ

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის
საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებით

*

რედაქტორი ნ. ჯანაშია
გამომცემლობის რედაქტორი ე. ბათიაშვილი
ტექნორედაქტორი ნ. ოკუჯავა
კორექტორი ლ. შაბურიშვილი

გადაეცა წარმოებას 22.5.1973; ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.9.1973;
ქალაქის ზომა 60 × 90¹/₁₆; ქალაქი № 2; ნაბეჭდი თაბახი 3.68;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3.76;
უფ 01133; ტირაჟი 3000; შეკვეთა № 1508;
ფასი 34 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниერება», Тбилиси 380060, Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380050, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР. Тбилиси, 380060 ул. Кутузова, 19